# საერთო გაზეთი

№10 (362) • 23 მარტი, 2016 წ. • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.20 ლ.




**„ხურუშიანების" მიერ სექსოდრომად ქცეული ქვეყანა და პოლიტიკა და სექსი „ნაციონალურად"**




გაეთრიეთ ჩემი საძინებლიდანო, რომ ამბობთ, მართალი ხართ, მაგრამ ყველა კადრი, რაზეც ისტერიკაა ატეხილი, სხვის საძინებელში, სხვის ქმართან ან სხვის ცოლთან რომ არის გადაღებული, ამას რა ვუყოთ?

# „ნაცმოძრაობა", რომელმაც 26 ათასი ფაილი დაგვიტოვა მემკვიდრეობად, დღესაც აგრძელებს ტერორს ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ



**„კაგებეშნიკების" დინასტია გრძელდება – საქართველოს თავზე კვლავ ნამგალი და ურო ჰკიდია**




**როდის გაეხსნება გონება და როდის იტყვის სიმართლეს ნაწილ-ნაწილ ამეტყველებული „ოქროს მოწმე" – ირაკლი ოქრუაშვილი?**



**რატომაა აუცილებელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება?**



გაგრძელება

**პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ღია წერილი ედუარდ შევარდნაძეს**

# გაეთრიეთ ჩემი საძინებლიდანო, რომ ამბობთ, მართალი ხართ, მაგრამ ყველა კადრი, რაზეც ისტერიკაა ატეხილი, სხვის საძინებელში, სხვის ქმართან ან სხვის ცოლთან რომ არის გადაღებული, ამას რა ვუყოთ?

## „ეს ჩვენ არ გვეხება!“




გამოცხადებული საპროტესტო აქცია „ეს შენ გეხება!“, რომელიც პირადი ცხოვრების ფარული ჩანაწერების გავრცელების წინააღმდეგ იყო მიმართული, შედგა. „გაეთრიეთ ჩემი საძინებლიდან!“ „ისმინეთ ჩვენი ხმა – ნუ გვისმენთ!“ და ა.შ – ეკავათ პლაკატები აქციის მონაწილეებს. აქციების მეტს რას მოსწრებია ხალხი, მაგრამ ამჯერად თვალშისაცემი იყო მნიშვნელოვანად გასაოცარი თავისებურება – აქციას ერთად ატარებდნენ ისინი, ვინც, სავარაუდოდ, გადაიღო ეს კადრები და ისინი, ვისზეც გადაიღეს.

ქალბატონმა ლომჯარიამ მოითხოვა დაუყოვნებლივი გამოძიება და იმ ადამიანების დასჯა, ვინც ამ კადრებს ავრცელებს; მოითხოვა საერთაშორისო საზოგადოების ჩართვა და ა.შ ამასთანავე დასძინა, რომ ის კადრები, რომლებიც ვინმეს პირად ცხოვრებას ეხება, არ აინტერესებს საზოგადოებას.

იქით, ვიღაც კანონმდებლობის გამკაცრებას ითხოვდა; ვიღაც – საბჭოთა წუმპედან ამოსვლას; ვიღაც – რაღაცას, მაგრამ არავის მოუთხოვია მათი გამოაშკარავება და დასჯა, ვინც აღნიშნული „მიმართულების“ კადრების გადაღება დაუკვეთა კონკრეტულ ჯგუფს; ვინც მთელი განყოფილება შექმნა სწორედ ამგვარი „საქმიანობისთვის“.

აქციის ორგანიზატორები და მასში მონაწილეები, ძირითადად, საზოგადოებისთვის ცნობილი და მეტ-ნაკლებად ცნობილი ადამიანები იყვნენ, ყოველ შემთხვევაში, სახეზე მაინც რომ სცნობენ, ისეთი. ის კატეგორია აპროტესტებდა, რომლებიც, ფაქტობრივად, ყველა ტელევიზიაში და ყოველ საღამოს მონაცვლეობით სხედან და მაყურებელს წაღმა-უკუღმა „მოძღვრავს“; ისინი, რომელიც სწორედ საზოგადოებას, დასანახად აღარ უნდა; ისინი, რომელთა სიტყვას ძაღლის წკავწკავზე ნაკლები ფასი აქვს საზოგადოებისთვის.

ამის მიზეზი გაცხადებულია – აქციაში მონაწილეთა უდიდეს უმრავლესობას „არ ეხებოდა“ როცა ქუჩებსა და საპყრობილეებში აწამებდნენ, აუპატიურებდნენ, კლავდნენ ადამიანებს; ძარცვავდნენ ბიზნესმენებსა თუ ისედაც უპოვარ ადამიანებს; როდესაც მართლაც ტოტალური თვალთვალი იყო სწორედ მათგან, ვინც დღეისათვის სალაპარაკო ფარული ჩანაწერები შექმნა...

აქცია „ეს შენ გეხება“ ჩატარდა, მაგრამ ხალხმა არ მიიღო აქცია და შესაბამისად, არც მივიდა რადგან მას აქვს საკუთარი დამოკიდებულება როგორც აქციის ორგანიზატორებისა და მასში მონაწილეთა მიმართ, ისე იმ პლაკატების მიმართ, რაც აქციაზე გამოკვეთილად გამოჩნდა.

„კაი და, ეგ ადამიანები „თავის საძინებელში“ რომ არ იყვნენ, მაგას რა ვუყოთ? საქმეც ეგაა – ეგ კახპები რომ დატეულიყვნენ „თავის“ საძინებელში“, ვერც გადაუღებდა და ვერც დააშანტაჟებდა ვერავინ! სწორედ „სხვისი საძინებლიდან“ რომ არის ეგ ჩანაწერები, რა ვქნათ? უფრო ზუსტად – უკანასკნელი „პრაშმანდოვკებივით“, ამხელა ქმარ-შვილიანი ქალები რომ „დეშოვი“ სასტუმროებში და „ბინები დღიურად“ დაყვებიან ვიღაც, ერთი კვირის გაცნობილ „პაციენტს“, ეგ არაფერი? და თან რომ ასეთი „პრაშმანდოვკები“ სახელმწიფოს ბედს განაგებენ, ეგეც არაფერი? კარგი ის არის, რომ ეს პლაკატი ცნობილ ტვინით ავადმყოფ ბაია პატარაიას უკავია და არა რომელიმე ნორმალურ ქალს... იმედია, ეს და ამნაირი რეგვენები ვერ შეძლებენ ვერანაირი გავლენის მოხდენას ნორმალურ ქალებზე! ისე, მართლა გავმართავდი აქციას ასეთი პლაკატით „დეეტიე, შე ჩემანალა შენს საძინებელში და ვერავინ გადაგიღებს იქანა!“

„ჩვენს საძინებელში ნუ იხედებითო! მართალია, არ უნდა იხედებოდნენ შენს საძინებელში, მაგრამ ყველა კადრი, რაზეც ჯერჯერობით ისტერიკაა, სხვის საძინებელში და სხვის კაცთან ან ქალთანაა გადაღებული. ამას, ბოზობა ჰქვია, მეგობრებო და რას იცავთ?“

„არა, ეგ არ მეხება, იმიტომ რომ უზნეოდ არ ვცხოვრობ! – აი, ასეთ აქციას შევუერთდებოდი სიამოვნებით. დააყენებენ 50 გამოშტერებულს ხელში რაღაც ტუტუცური შინაარსის პლაკატებით და აკეთებენ კომენტარებს „დამაჯერებელი“ სახით – „საზოგადოება ერთხმად აფიქსირებს საკუთარ პოზიციას. ამ თემაზე ჩვენი მოსახლეობის განწყობა ცალსახაა.“ ისემც თქვენ გაგარტყით რეგვენ თავებში!

„ვინც იმ აქციაზე იყო და ასევე, არ იყო, მაგრამ თვლის, რომ „ეს მას ეხება“, დატოვონ პოლიტიკა და აქტიური მოღვაწეობა, თუ რამენაირად ხალხსა და სახელმწიფოს უკავშირდება, რადგან ეჭვშეუვალია, რომ მათ იციან მათზე გადაღებული კადრების არსებობის შესახებ და შესაბამისად, როგორც წლების განმავლობაში იყვნენ ვიღაცის მუჭში, შანტაჟის შიშით ასე იქნებიან მუდამ. რა ჯანდაბად გვინდა დაშანტაჟებული, ანუ საეჭვო რეპუტაციის „დამრიგებელი“?

„თურქეთში, სტამბულში, ტერორისტულ აქტს 5 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, დაშავებულია 20...

რუსეთში, დონის როსტოვში „ფლაიდუბაის“ თვითმფრინავის ჩამოვარდნას 62 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა...

ეს მე მეხება და გულს მტკენს!

საქართველოს ქალაქებში მიმდინარეობს მასკარადი, რომლის მონაწილეებიც ცდილობენ, თავიანთი ბინძური საცვლები ევროკავშირის ვარსკვლავებიან დროშად შემოგვასაღონ...

ეს მე არ მეხება!

ეს მე გულს მირევს!“

„მეუბნებიან პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებზე, რომ მე მეხება. მე კი გეუბნებით, რომ მოსახლეობის 90%-ს ეს არ ეხება და არც არასდროს შეეხება – სულ ფეხებზე ჰკიდიათ ჩემი და მოსახლეობის 90%-ის ტრაკის ნახვა ყველას“.

თუ მართლა გაინტერესებთ რა გვეხება, გეტყვით: ლარის კურსი, უმუშევრობა, დაბალი ხელფასები, წართმეული ტერიტორიები, ბანკის პროცენტები და ა.შ კიდევ უამრავი რამ, რაზეც არც კლიპები მახსოვს და არც გაკეთებული საქმეები. ასე რომ, რაც არ გვეხება და არასდროს შეგვეხება, ნუ გვტენით!“

„ვისაც ეხება, ისინი გაჰყვირიან თავისი მიქარულიდან გამომდინარე, ანუ კუდი ეწვით! მე და ჩემნაირებს საერთოდ არ გვაინტერესებს რას გამოაქვეყნებენ! ადრე, კომუნისტების დროს, მიჩიოდნენ, ქეიფობსო და ვერაფერი დამაკლეს, ახლა – მითუმეტეს, თანამდებობაზე აღარ ვარ, მე თვითონ ვაქვეყნებ ჩემი ქეიფის მომენტებს!“

„საქმე ისაა, რომ მაგ „ტიგრიცას“ დღეშია მანდ ყველა, ამიტომ იყვნენ ერთად.

„პირადი ცხოვრების კადრების გავრცელება ნამდვილად პირადი თავისუფლების შელახვაა, ამდენად, მიუღებელი და ყველანაირად დასაგმობი, მაგრამ უფრო დიდი უზნეობაა, როცა ისინი, ვინც მუდმივი მოსმენისა და თვალთვალის სისტემას გუშინ ნერგავდნენ, დღეს მორალზე და ამორალიზმზე ქადაგებენ. „რუსთავი-2-ის“ მთლიანი კოლექტივი ფეხზე დამდგარი რომ წინ აღუდგება „ტერორს“; როცა ჩერგოლეიშვილი შეშფოთებული სახით მორალზე საუბრობს და საზოგადოებრივ საფრთხეებზე გვაფრთხილებს, მეცინება, მეტირება და მეცოდება საზოგადოება, რომელსაც ამგვარად დასცინიან!“

„თვალი ვერ მოვკარი 1 მლნ ლარის ჯილდოდ დამწესებელ პარლამენტის თავმჯდომარეს; ვერც მის მეუღლეს, ვერც ბატონ აგულაშვილს – რაშია საქმე, ხომ მშვიდობაა ამ მხრივ მათ თავს? თუ, პირიქით?“

ახლა, ვინ ვისი საძინებლიდან გაეთრევა, აზრი აქვს დაკარგული, რადგან ვინც ვის საძინებელში შეეთრა, უკვე გადაღებულია და სანამ საძინებელ-საძინებელ მოსიარულეები მათზე თუ მათ სამეგობროზე შექმნილი „შედევრების“ გავრცელების გაპროტესტებით ორთქლს უშვებდნენ, ამასობაში, უცხოურმა საიტებმა მაღალჩინოსანთა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გაყიდვა დაიწყეს.

სექსი, ორალური და ანალური სექსი, ორგიები, ციხის წამების 38-საათიანი კადრები – ასარჩევადაა „ჟანრი“!

პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო 8 000 დოლარი ღირებულა, ანუ „მთავარი როლის შემსრულებელი“ თვითონვე შეიძენს, მაგრამ რამდენ პირად არის გადაღებული, განა, რამდენჯერ უნდა შეიძინოს, სად არის, ვინ მისცემს გარანტიას რომ ასლები არ არსებობს? (რატომღაც, დავით ბაქრაძე გაახსენდება კაცს – კადრების გავრცელება მორალური ტერორია და ამაში მთავრობაა დამნაშავეო. რატომ არ ჰკითხა ჟურნალისტმა, კი, მაგრამ, როცა იღებდით, „ოსკარზე“ წარსადგენად იღებდითო?)




**გიორგი ჩხეიძე**
234 28 97

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; შაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის პერიოდში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასაპალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აბულაძის 39

◆ ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

# იმ დროს სად იყავით, პრეზიდენტო, მეშახტეები რომ გაიფიცნენ? მაშინ არ იყავით მეშახტე?



მე ვინ ვარ, რომ ეჭვი შევიტანო ბატონი პრეზიდენტის სიტყვებში და მჯერა, რომ გვიცავს, მართალია, ცოტა ვერ გავიგე, სექსისგან გვიცავს თუ უსექსობისგან, მაგრამ გავჩუმდი, რადგან უფრო მნიშვნელოვანი კითხვა გამინდა – იმ დროს სად იყავით ბატონო პრეზიდენტო, როცა მეშახტეები გაიფიცნენ? – მაშინ არ იყავით მეშახტე? ან როცა ქვეყანაში ამდენი სოციალურად დაუცველია, რომელთა დაცვაც თქვენთვის არავის დაუშლია, რატომ არ აკეთებთ განცხადებას, რომ თქვენც ისე გიცხოვრიათ, ან იცხოვრებთ, როგორც ის ბავშვები, რომლებიც მთელ წელს ერთ წყვილ ბოტასში ატარებენ? იქნებ, ჩვენსავით კრედიტი აიღოთ და ვერ გადაიხადოთ, ბატონო პრეზიდენტო, ან გადაიხადოთ, მაგრამ ჩვენს გასამხნევებლად განცხადება გააკეთოთ – მეც ვერ ვიხდი კრედიტსო, ისე, ტყუილად, ნუ, როგორც ეხლა გააკეთეთ... მაგრამ ეს განცხადებები არამოდურია, ჰო, ბატონო პრეზიდენტო? აი, მდიდრული სექსი კი სულ სხვაა, გლამურულია, ფანტაზი-




ის აღმძვრელია... მადის აღმძვრელია...

საზოგადოება მხარს გვიჭერსო? საზოგადოებამ სოლიდარობა გამოგვიცხადა – როგორც არასოდესო? – სად? როდის? რა ფორმით? პროტესტის და კრიტიკის ქარცეცხლშია facebok-ი გახვეული, ძუკნებს, ბოზებს, „დავერბოკებულებს“ გეძახიან... რით ვერ გაიგესო, რომ არც სექსი გვიკვირს და არც ბოზობა, მაგრამ ხომ გვაქვს უფლება, ბოზები არ გვინდოდეს მთავრობაშიო?

ეს შენ გეხებაო, გვითხრეს! შენ, ვინც ბაზრობაზე დგახარ მთელი დღე ლუკმა-პურის საშოვნელადო, მეტროს მემანქანეს, ვინც დილის 5 საათიდან გვირაბშიაო, გლეხებს, რომლებიც საგაზაფხულო ხვნა-თესვის მზადებაშიაო – რანაირად გვეხება ახლა ეს ჩვენ – ჩვენ ისე ვიღლებით, ჩვენ ისე მძიმე ცხოვრება გვაქვს – მდიდარი სექსისთვის კი არა, ღარიბი სექსისთვის კი არა – გასამრავლებლად, შვილის ჩასასახადაც არ გვრჩება დრო და ძალ-ღონე... არა, გენაცვალე,. ეს თქვენ გეხებათ, ვისაც ახლა გაგახსენდათ, რომ სექსი გაქვთ (შეყვარებულებთან კი არა, საყვარლებთან კი არა და „იობრებთან“), როცა პორნო ვიდეო მოგხვდათ ცხვირზე და აგეწვათ, როცა შეგეშინდათ, რომ თქვენს ვიდეოსაც გამოააშკარავებდნენ, ან გადაიღებდნენ და ამოაშკარავებდნენ... ამიტომ ამორალობის ლეგიტიმაცია გადაწყვიტეთ... თუ თანამდებობაზე ადამიანის დანიშვნისას გვიყვებოდით, რომ ეს ადამიანი გარდა იმისა, რომ მცოდნეა, ზნეობრივად და მორალურად ჩამოყალიბებულია, გვაცნობდით მის ოჯახს, ცხოვრების წესს – ახლა გვეუბნებით, რომ სულ არ არის ჩვენი საქმე, ზნეობრივად და მორალურად არის თანამდებობის პირი ჩამოყალიბებული თუ არა. უფრო მეტიც, თუ უზნეობაშია შემჩნეული თანამდებობის პირი, არც ეგაა ჩვენი საქმე, იმიტომ რომ ეს მისი პირადი ცხოვრებაა... ჰოდა, მაშინ ყველამ თქვენს ბოზს მამიდას ისე რომ მიხედოთ, ჩვენ არ გვეხებოდეს, არა? თუ ასე გინდათ, მისცეთ თქვენს ფანტაზიებს გასაქანი, მიეცით, მაგრამ მაშინ თანამდებობაზე რომ არ მოხვიდეთ და არ იჟურნალისტოთ, არა? ვინ ეხმაურება თქვენს მდიდარ ან ღარიბ სექსს, მაგრამ ბოზობა რომ არ მოგვწონდეს, არა? ისე, ქართველი ხალხი რომ ლიბერალია, ქართველ ხალხს რომ არც შეყვარებული უკვირს და არც საყვარელი, ეს ყველაზე უკეთ ბატონმა პრეზიდენტმა იცის, ჰო, იმ თქვენმა ჰუმანურმა პრეზიდენტმა, იმიტომ რომ ასეთი ლიბერალი რომ არ ყოფილიყო ქართველი ამომრჩეველი, პრეზიდენტი რომ ვერ გახდებოდა, ხომ ცხადია?

არავისთვისაა საიდუმლო, რომ თანამდებობაზე დანიშვნამდე ადამიანს აკვირდებიან, მის ცხოვრების წესს სწავლობენ... და თუ რაიმე ხინჯი უპოვეს პირად ცხოვრებაში, ის თანამდებობაზე ვერ მოხვდება.

ქართველი საზოგადოება გონიერია და რამდენი ცნობილი ბოზიც არ უნდა შეიკრიბოს ერთად, მაინც არ მოხდება ასეთი პირადი ცხოვრების დაკანონება... ქართველი საზოგადოება მომთმენია, ხედავს, რომ გადაცემებში სულ ის ხალხი მოგყავთ, სულ იმ ხალხის აზრებს აშუქებთ, ვისაც ეს თქვენი ბოზური გასაჭირი ეხება და ჯიგარს უწვავს, ვინც თავადაც „დავერბოვკებული“, სულწაწყმედილია, მაგრამ ელოდება, ელოდება კიდევ რამდენჯერ ალაპარაკებთ ერთი და იგივე სახეებს, ელოდება და უკვირს – რამდენი ბოზი გვყოლია და ცირკის შენობის წინ დამდგარი ადამიანების „იმედად“ რატომ ვიყავითო, რატომო?

პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებიო... ჰო, ეს მართლა ძალიან პირადულია, იმიტომ რომ, ეს იმ დროს მოასწრო, როცა ქმარს ეგონა ქვეყნის საქმეებს აგვარებს სამინისტროშიო და მე, რიგით ამომრჩეველს, მეგონა კიდევ ქვეყნის საქმეების მოგვარებისგან დაღლილი ოჯახთან ერთად ისვენებს– თქო... ევროპასა და ამერიკაშიც აქვთ პირადი ცხოვრებაო, არავის უკვირსო იქო... დასავლეთსა და ამერიკაზე გსურთ საუბარი? კი, ბატონო, დავიწყოთ.

ბილ კლინტონი სასაწაულებრივად გადაურჩა იმპიჩმენტს მონიკას მონთხრობის გამო და ერთ-ერთი ბრალდება, რასაც მას უყენებდნენ – ეს იყო ტყუილი, ტყუილი ხალხის და ოჯახის წინაშე... და 2000 წელს დემოკრატების კანდიდატის დამარცხება ზუსტად კლინტონის უზნეო ქცევის პირდაპირპროპორციული გახდა. 2000 წელს საზოგადოებას კიდევ ახსოვდა 1998 წლის სკანდალი და ამ სკანდალის დამსახურება იყო ჯორჯ ბუშის გამარჯვება. დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრ ჯონ პროფიუმს მსუბუქი ყოფაქცევის ქალთან ურთიერთობის გამო მოუხდა თანამდებობის დატოვება. კოლორადოს შტატის სენატორი ჰარი ჰარტი საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის ფავორიტი იყო, მაგრამ რა წამსაც ოჯახს გარეთ მისი რომანის შესახებ გახდა ცნობილი, კანდიდატის რეიტინგი მყისიერად – 32%-იდან 17 %-მდე დაეცა და პოლიტიკიდა წასვლა მოუწია. ჩრდილოეთ ირლანდიის პრემიერ–მინისტრის პირეტ რობინსონის მეუღლე, პარლამენტარი ქალბატონი, მეუღლის ღალატის ფაქტში ამხილეს თუ არა, მიუხედავად იმისა, რომ რობინსონმა აპატია ცოლს, ქალს მაინც მოუხდა მანდატის დატოვება, უფრო მეტიც – პრემიერ–მინისტრიც გადადგა... ბარაკ ობამას ფავორიტმა კონგრესმენმა ენტონი უინერმა ტვიტერში ტრუსებში გადაღებული ფოტო გაუგზავნა რამდენიმე ქალბატონს და არ აპატია საზოგადოებამ. ამერიკელებისთვის მისაბაძ პერსონად წოდებული სენატორი, რომელიც 11 წელი ნევადას შტატს წარადგენდა ამერიკის კონგრესის ზედა პალატაში – ასევე ოჯახს გარეთ სასიყვარულო ისტორიის გამო ჩამოაცილეს პოლიტიკას. ლარი კრაიგი – 28 წელი პოლიტიკაში, აქედან 18 წელი სენატში გაატარა, 2008 წელს მინეაპოლის აეროპორტის საპირფარეშოში გარყვნილი საქციელის გამო შეიძულა ამერიკელმა ხალხმა, არც აღიარებამ უშველა, არც 28 წლის უზადო რეპუტაციამ, არც ბოდიშის მოხდამ – მისი კარიერა განადგურდა. თავის დროზე ბერლუსკონის განცხადებას „მე ანგელოზი არ ვარ“ – ძალიან თამამი და არაკორექტურლი უწოდეს, ბერლუსკონი ის ადამიანი იყო, ვისაც მართლა ჰქონდა მდიდარი სექსუალური ცხოვრე-

**დასავლეთთან კარის გაღება ჩვენს ზნეობრიობას კი არ უქმნის საფრთხეს, პირიქით, დაე, ისინი ძრწოდნენ ჩვენი შიშით, დაე, იმათ უდარაჯონ თავიანთ კარიბჭეს, რადგან მივალთ და გავაბოზებთ, ჩავალთ და დავუკანონებთ ბოზობას – საჭირო და სავალდებულო პირად ცხოვრებად. ჩავუსახლდებით და გასწავლით, რომ პატიოსანი კაცი ან ქალი უნდა იჯდეს სახლში და უწესო – ხელისუფლებაში...**

ბა, ღმერთმა დამიფაროოს, არც თქვენს შესაძლებლობებში მეპარება ეჭვი, ბატონო პრეზიდენტო, მაგრამ მას „ანგელოზად არ ყოფნა“ არ აპატია ხალხმა და თქვენ კიდევ გინდათ „მდიდრული სექსის“ ეგიდით გაგვაერთიანოთ... – ჩამოთვლილთაგან არც ერთს, აი, არც ერთს არ გამოუჩენია სითავხედე, საზოგადოებისთვის ეთქვა, ჩემი ამორალური ქცევის ამსახველი ფოტო ან ვიდეო მასალა შენ გეხებაო, არც ერთს არ დაუსხამს ლაფი ამომრჩევლისთვის და არ უთქვამს, ჩემი პირადი ცხოვრება შენ არ გეხებაო... თითოეულმა მათგანმა აღიარა, რომ ამომრჩეველი მოატყუა, რომ ამომრჩეველთან მართალი და გულწრფელი არ იყო, თითოეულმა მათგანმა ბოდიში მოიხადა და არც ერთი პოლიტიკოსი, არც ერთი ჟურნალისტი არ გამოსულა მათ „დამცველად“ – მეც მყავს საყვარელი, ამ მეც ვიღებ ტრუსით ფოტოებსო... გამოდის, იქ იცავენ თუ იცავენ ზნეობრივ კოდექსებს, გენაცვალე, იქ უფრთხილდებიან თუ უფრთხილდებიან ოჯახის ფასეულობებს... ჰო, ჰყავთ იქ მეგობარი გოგონა, ან მეგობარი ბიჭი, კი ბატონო, მაგრამ ეს დაქორწინებამდე, აი ყოველდღე ახალი „შეყვარებული“ იქაც ბოზობაა. ასე რომ, გამოდის, ევროპასთან და ამერიკასთან ურთიერთობა (რა ურთიერთობა ჩვენ გვაქვს, მაგრამ მაინც) კი არ მოქმედებს მავანთა ჰორმონებზე ასე ცუდად, თუ ასე კარგად, დასავლეთთან კარის გაღება ჩვენს ზნეობრიობას კი არ უქმნის საფრთხეს, პირიქით, დაე, ისინი ძრწოდნენ ჩვენი შიშით, დაე, იმათ უდარაჯონ თავიანთ კარიბჭეს, რადგან მივალთ და გავაბოზებთ, ჩავალთ და დავუკანონებთ ბოზობას – საჭირო და სავალდებულო პირად ცხოვრებად. ჩავუსახლდებით და ვასწავლით, რომ პატიოსანი კაცი ან ქალი უნდა იჯდეს სახლში და უწესო – ხელისუფლებაში...

**თამო კეშელავა**
555 46 08 04

# ჩვენ ვიმყოფებით უდიდესი საფრთხის წინაშე და დრო ჩვენს სასარგებლოდ არ მუშაობს!

## გვესაუბრება თბილისის საკრებულოს დეპუტატი, ბატონი სოსო მანჯავიძე



**— გასულ კვირას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგორი კარასინმა საქართველოს პრეზიდენტისა და თავდაცვის მინისტრის რიტორიკა რუსეთის მიმართ მკაცრად გააკრიტიკა. როგორია თქვენი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით?**

— ჩვენი ე. წ. ლიბერალ-მედასავლეთეების დამოკიდებულება რუსეთისადმი ერთდროულად არის კომიკურიც და ტრაგიკულიც. კომიკურია არაადეკვატურობის გამო და ტრაგიკულია იმიტომ, რომ ამათ ხელშია ჩვენი ქვეყნის ბედი.

საქართველოში შემუშავებული იქნა ცენზურა, რომელსაც მისდევს მთელი ელექტრონული მედია, აქვთ ტაბუირებული თემები. ამ თემებზე რეფლექსიის დაწყება კი იწვევს აგრესიას და მოდით, ასე ვთქვათ, რეპრესიებსაც.

**— კერძოდ, რა თემებია ეს?!**

— რუსეთის თემის განხილვა ობიექტურად, დადებით კონტექსტზე არაა საუბარი, იწვევს სამშობლოს მოღალატის იარლიყის მიწებებას დაუყოვნებლივ.

როდესაც მე ვისაუბრე რუსეთის სახელმწიფოს ახალ პოლიტიკურ და სამხედრო მოდერნიზაციაზე და იმაზე, რომ ეს ქვეყანა ავნაგიშგასაწევია არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის, მსჯელობისას ვეყრდნობოდი ამერიკელ და ევროპელ ექსპერტებს, მსგავსმა ტვინგაცხელებულებმა რუსეთის აპოლოგეტადაც კი გამომაცხადეს.

მე რომ ვთქვა, ვერმახტის არმია იყო ძალიან ეფექტური, იანიჩრები იყვნენ უძლეველები თავის დროზე, თურქეთის სულთანატის პატრიოტი ხომ ვერ ვიქნები?! მოწინააღმდეგე ან მხარდამჭერი უნდა შეაფასო რეალურად.

თბილისიდან 40 კმ-ში დგას რუსეთის მოდერნიზებული არმია, ხოლო თავდაცვის მინისტრად გვყავს ადამიანი, რომელიც განუწყვეტლივ ეწევა ამ არმიის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ლანძღვა-გინებას, მუქარას და ა.შ. თანაც პრეზიდენტიც იგივე საქმით არის დაკავებული, რადგან თავდაცვის მინისტრიც და პრეზიდენტიც ერთი პოლიტიკური მიმართულების წარმომადგენლები არიან. გასაგებია, რომ მათ ვიღაცები აგულიანებენ, რომ დარჩნენ გამაღიზიანებელ ფაქტორად რუსეთის მიმართ. ამ ფონზე მმართველობაში არსებობს სხვა პოლიტიკური ძალა, რომელიც ამბობს, რომ სურს დალაგდეს ურთიერთობები რუსეთთან.

ყოფილ პრემიერს ბიძინა ივანიშვილს აკრიტიკებენ, რომელმაც თქვა, რომ საქართველო არ არის არც მსოფლიო მოთამაშე და არც მსხვილი რეგიონული მოთამაშე. ეს რატომ თქვაო, ამის გამო გავქრით მსოფლიო რუკიდან, სადაც 9 წელიწადი მყარად ვიდექითო და ა.შ.

ეს იმდენად ბრიყვული და ყოველგვარ რეალობას მოკლებული განცხადებებია, იმდენად არაპრაგმატული და მავნებელი, ამაზე, წესით, საერთოდ, ყურადღებას არ უნდა ვამახვილებდეთ, მაგრამ არ ეშვებიან ამ აბსურდულ რიტორიკას, რითაც, მოსალოდნელია მეტი საფრთხეები ქვეყნისთვის – შეიძლება დაკარგო, საერთოდ, სახელმწიფოებრიობა და მეტიც, ფიზიკური არსებობის განადგურების საფრთხის წინაშეც დადგე.

მით უმეტეს, ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორმა აშშ-მა არაერთხელ უკვე თქვა და მიგვანიშნა: რუსეთს ომს ვერ გამოვუცხადებთ თქვენს გამოო. ამასწინათ ისიც აღნიშნეს, არც უკრაინის გამო ვაპირებთ ამასო.

მეტიც. ყველამ ვნახეთ, რა მოხდა სირიაში.

მე თვითონ ვიყავი ევროპის ეკონომიკურ ფორუმზე კრინიცაში,სადაც სხვათა შორის, ხიდაშელიც მონაწილეობდა პლენარულ სხდომაზე და მოუწოდებდა ევროპელებს, რუსეთი იზოლაციაში მოაქციეთ, თუ არ დასჯით, უარესს გააკეთებსო. იმ სამიტზე ღიად თქვეს ევროპის შესაბამისი წრეების წარმომადგენლებმა და აუხსნეს ქალბატონ ხიდაშელს, რომ მათ არ შეუძლიათ სახმელეთო ძალები გააგზავნონ მახლობელ აღმოსავლეთში თუნდაც დევნილთა საკითხების დარეგულირების თვალსაზრისითო.



საქართველოში კი გამოდიან და ამბობენ, რომ მიგრანტების თემა რუსეთის გამოწვეულია, მაშინ, როცა მიგრანტების პრობლემა მანამდე იდგა, სანამ რუსეთი ჩაერეოდა სირიის კონფლიქტში.

ანუ ჩვენ ახლა თუ ობიექტურად ვიმსჯელებთ, ე. წ. ლიბერალი მედასავლეთეები იტყვიან, რომ ჩვენ პრორუსული განწყობით ვმსჯელობთ.

ის არის პრორუსულობა, რომ მოწინააღმდეგე ობიექტურად დაინახო და შეაფასო, თუ დახუჭო თვალი და თქვა, როგორც რომელიღაც ნაციონალმა „ბრძენმა“ თქვა, რუსეთი აღარ არსებობს, ჩრდილოეთით ოკეანეაო.

კარგი, მაგრამ ოკეანე რომ ღელავს, ამას ვერ ხედავ?!

ყველაზე უფრო ღრმა ლიბერალსაც კი გაუჭირდება არ დაინახოს, საითკენ მიდის პროცესები.

მაგალითად, მიგრანტების გამოდევნას ევროპა ვერ მოახერხებს, პოლიტიკურ ინერციას ვერ დაძლევენ და თანაც ხალხის ნების განხორციელების ინსტრუმენტები არის იმ ძალების ხელში, რომლებიც შხამებით წამლავენ ეროვნულ ძალებს და როგორც კი მსგავს გამოხატულებებს შეამჩნევენ, არქმევენ ფობიებს – ქსენოფობია, ფაშიზმი და ა.შ.

ტერმინოლოგიებით მართავენ ადამიანებს და ქვეყნებს.

საერთოდ, ტერმინოლოგია ცალკე საუბრის თემაა.

მაგალითად, ამბობენ, რომ მამათმავლობა ატარებს სიძულვილის ენის ნიშნებს, მაგრამ ლგბტ თემი – არა და ჩვენ არ გვაქვს უფლება გამოვიყენოთ ის სიტყვა, რაც მიგვაჩნია, რომ ზუსტად გამოხატავს ამა თუ იმ პირის, მაგალითად, ორიენტაციას.

ესაა ცენზურა,რომელიც თუ მიუშვი, ჩრდილოეთ კორეულს გადააჭარბებს სიმკაცრით და აბსურდულობით.

არასამთავრობო ორგანიზაციების ზოგიერთ უწიგნურს და უსაქმურს, ტელევიზიების მიერ შექმნილი აქვსყალბი რესპექტაბელურობა. ამისთვის იყენებენ სხვადასხვა ტიპის ვარცხნილობას, ჰალსტუხებს, შარვალკოსტუმებს და კიდევ 25 საკრალურ სიტყვას, რომლითაც ოპერირებენ.

**— 25 საკრალურ სიტყვას!..**

— დიახ, დიახ, მაგალითად, როგორიცაა, რუსეთი, ოკუპანტი, ტოლერანტობა, იდენტობა, გენდერი, ლგბტ თემი, ევროატლანტიკური არჩევანი, მაპი, ნატოსკენ სწრაფვა, შეშფოთება და ა. შ. და ა. შ.

საერთოდ, ტერმინებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ვერც კი ვაცნობიერებთ, რამხელა დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს თითოეულ ტერმინს.

წარმოიდგინეთ, როგორ იცვლება ეს აქსიოლოგიური შკალა. ვთქვათ, იგივე სიტყვა მამათმავალი არის ცუდი, უარყოფითი. ამიტომ ეს სიტყვა უნდა ამოაგდო ხმარებიდან და შემოიტანო ისეთი ტერმინი, რომელიც იგივე შინაარსის იქნება, ოღონდ არაგამაღიზიანებელი. შეიტანონ ტერმინოლოგია სასკოლო განათლებაში, რომ ახალგაზრდებს არ ჰქონდეთ ისეთი დამოკიდებულება, რაც მათ მშობლებს ჰქონდათ. ამით ვითომ ნერგავენ ტოლერანტობას საზოგადოებაში და ჩვეულებრივი მოქალაქე ფიქრობს: რა არის ცუდი ტოლერანტობაში? მაგრამ გააჩნია, რის მიმართ ტოლერანტობაში.

25-წლიანმა ნეოკოლონიალიზმმა დამღუპველი გავლენა იქონია ჩვენზე და ჩვენი საზოგადოების წინააღმდეგობის გაწევის უნარი დაჩლუნგებულია. ის ინსტრუმენტები, რომლებიც საზოგადოებას, ასე ვთქვათ, უნდა აკვალიანებდეს, მომსპარია.

საქართველო დარჩენილია სამეცნიერო ინსტიტუტების გარეშე. ვერ ხდება აზრის ფორმირება, არსებული სიტუაციიდან დასკვნების გამოტანა.

ჩვენი თვითმყოფადობის, ეთნორელიგიური, კულტურული არსებობის გადარჩენას განსაზღვრავს ჩვენი სწორი პოლიტიკური ორიენტირები.

მმართველობის სისტემა პრინციპულად უნდა შეიცვალოს. პოლიტიკური პასუხისმგებლობა და მაღალი ლეგიტიმაციაა საჭირო უნდა დაფუძნდეს ძლიერი საპრეზიდენტო ინსტიტუტი. პრეზიდენტს მმართველობისთვის ჰქონდეს, მაგალითად, 7 წელი, როგორც საფ-

რანგეთში.

გახსოვთ ალბათ როგორ ჩამოაცილეს დე გოლი ხელისუფლებას, როდესაც მიხვდნენ, რომ პრეზიდენტი კონტროლიდან გადიოდა, მოუწყვეს სტუდენტური რევოლუცია,გადააყენეს,ხოლო მის მემკვიდრეებს შეამცირებინეს საპრეზიდენტო ვადა, რადგან ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება თავისთავად გულისხმობს მაღალი სუვერენიტეტის მოპოვების შესაძლებლობასაც.

— **თავისთავად მივედით კითხვამდე, რომელიც, ალბათ, მოახლოებულ არჩევნებს შეეხება...**

— როცა განუვითარებელი ქვეყანა განუწყვეტელი არჩევნების რეჟიმშია, მას ძალიან გაუჭირდება განვითარება.

გარდა ამისა, ჩვენი საკონსტიტუციო მოდელი ქმედუუნაროს ხდის სახელმწიფოს.

პრეზიდენტი, რომელიც ხალხის არჩეულია,ხელისუფლებას არ ფლობს, ხოლო პრემიერი, რომელიც ინიშნება, ფაქტიური ხელისუფალია, თუმცა არა აქვს სახალხო ლეგიტიმაცია.

აი, თქვენ მკითხეთ რუსეთთან ურთიერთობის მომავალზე. ვინ უნდა იურთიერთოს რუსეთთან,როდესაც ასეთი ვითარებაა?

ამ ქვეყანაზე კონტროლი გვქონოდა, დავკარგეთ სადავეებიო. უკრაინაზეც საუბრობს, მაშინ, ძალიან საინტერესოდ და ამბობს: ჩვენ მივიღეთ გაბრაზებული რუსეთი. მე ვიცნობ მათ. ისინი ამას არ შეგვარჩენენ და პრობლემად მიგვიბრუნდებიანო.

ჯორჯ ბუშის ეს სიტყვები ერთგვარ წინასწარმეტყველებად შეიძლება ჩაითვალოს.

ბრიქსის და შოსის ფორმატში რუსეთი კვლავ გახდა ძალიან ძლიერი, უზარმაზარ სახსრებს მოუყარა თავი და რაც ყველაზე საშიშია, აღურიცხავ სახსრებს ფლობს. როგორც ცნობილია, რუსეთი აკონტროლებს თავის ყველა მილიარდერს უსაფრთხოების სამსახურის საშუალებით, აკონტროლებს უზარმაზარ შავ ფულს მსოფლიოს მასშტაბით. შემუშავებული აქვს ისეთი ტიპის სადაზვერვო მოქმედებები, მაგალითად ყირიმის დაბრუნების ოპერაციაც გამოდგება. არავინ ელოდა ასეთი ტიპის ეკიპირებით მოქმედებებს მისგან. ამ დროს ჩვენ ვართ ილუზიების ტყვეობაში. წარმოდგენაში ჩაგვრჩა რუსეთი ისეთი, როგორიც ის უკვე აღარ არის და ვუყეფთ, ფაქტობრივად, ქიმერებს.

რუსეთი, როგორც ჩანს, საქართველოსგან ელოდება



ვის უნდა ელაპარაკოს რუსეთი? აქ საუბარი პიროვნებებზე არაა,დიდ პატივს ვცემ პრემიერ კვირიკაშვილ,აქ სისტემურ პრობლემაზეა საუბარი.. ასეთ ვითარებაში ვერ მოვაგვარებთ პრობლემებს ვერც რუსეთთან, ვერც დასავლეთთან და ვერც ვერავისთან და ვართ ასე ბედს მინდობილი.

რაც ეხება თვით რუსეთს. ამ ქვეყანასთან ჩვენ გვაქვს ერთგვარი, რელიქტური შეხედულება. ეს არის ახალი ტიპის სახელმწიფო, სხვა პოლიტიკური ელიტა ჩამოყალიბდა, სხვა ენაზე მოსაუბრე, სხვა წონის მქონე.

ჯორჯ ბუში უფროსი, რომელიც იყო ყველაზე უფრო სერიოზული პოლიტიკოსი ბოლო პერიოდის ამერიკელ პრეზიდენტებს შორის, სხვათა შორის, 90-იან წლებში ნანობდა: არ უნდა დაგვეშვა საბჭოთა კავშირის დაშლა, რადგან ეს ქვეყანა კონტროლიდან გამოვიდა და იმის მაგივრად, რომ ჩვენ

პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას. მაგრამ, ეტყობა, ბოლომდე ვერ გაერკვია, რა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, რადგან საქართველო დამოუკიდებლად ვერ გადადგამს ვერავითარ ნაბიჯს, რადგან ჩვენი თავი ჩვენ არ „გვეყუდნის“. შესაბამისად, ვერც რუსეთის მიმართულებით გადავდგამთ რაიმე სახის მკვეთრ და პრაგმატულ ნაბიჯებს და ვერც ვერსაითკენ, სანამ ასეთი ტიპის მორჩილებაში ვართ.

უნდა ვეცადოთ, ავიმაღლოთ დამოუკიდებლობის სტატუსი და ეროვნული ინტერესები გამოვკვეთოთ ჩანერგილი ფინიების, რომლებიც, სინამდვილეში, აგენტურის ნაწილი არიან, ყეფის გარეშე. არ მივაქციოთ ყურადღება ამ ე. წ. მეხუთე კოლონის ყვირილსა და წკავწკავს. უნდა ვიცოდეთ, რომ ვიმყოფებით ეგზისტენციალური საფრთხის წინაშე და დრო ჩვენს სასარგებლოდ არ მუშაობს.

**ირანდა კალანდაძე**

593 56 11 18

# „ნაცმოძრაობა“, რომელმაც 26 ათასი ფაილი დაგვიტოვა მემკვიდრეობად, დღესაც აგრძელებს ტერორს ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ



გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი დიმა ლორთქიფანიძე

— **ბატონო დიმა, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებამ, გასულ კვირას დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. კადრების მთავარი გმირის დასაცავად ლიბერალი საზოგადოება მაშინვე დაირაზმა, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ამ საკითხთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. როგორ შეაფასებთ ყოველივეს?**

— პირველ რიგში, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო: ბატონი მარგველაშვილის განცხადება სექსუალური გამოცდილების მრავალფეროვნების, სიმდიდრის შესახებ, ასევე, დეკლარირებული აქტი ქალბატონი ინგა გრიგოლიას მხრიდან სექსის ქონის თაობაზე, ვფიქრობ, არც ქალს და არც მამაკაცს, ანუ, მათ ღირსებას ნამდვილად არ ჰმატებს. ქალბატონმა ინგამ, ბატონმა პრეზიდენტმაც და მათთან ერთად ამ ტენდენციის მიმდევრებმა ალბათ, უნდა იცოდნენ, რომ სექსუალობის გამოყენების შეუზღუდაობამ ცივილიზაციები შეიწირა. სექსუალური მადის დემონსტრირება რომ თავისთავად უზნეობის აქტია, ამის შესახებ ძალიან ბევრი მეცნიერი და ფილოსოფოსი თავის შრომებში ღიად აღნიშნავს. ლგბტ აქტივისტები მთელს მსოფლიოში პერფორმანსებსა და აღლუმებს მართავენ, რითაც ღიად და უტიფრად აყენებენ შეურაცხყოფას ქვეყნების დიდ უმრავლესობას და, ზოგადად, ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას, უკვე, მთელი ცივილიზებული სამყარო შეგუებულია. როგორც ჩანს, ჩვენი ორიათასწლოვან ქრისტიანულ კულტურაზე დაფუძნებული სახელმწიფოებრიობა და ახალგაზრდა დემოკრატია ჯერ იმდენად მყიფეა, რომ აქ, საკმაოდ ადვილია ამ მავნე ვირუსის შემოღწევა. სწორედ, ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ უკვე, ბატონი პრეზიდენტიც აღარ იშურებს თავისი ლექსიკიდან ისეთი სიტყვების მარაგის გამოყენებას, რომლითაც სწორედ, ამ სექსუალურ თემაზე აღმოცენებული უზნეობის პირდაპირი ღია აპოლოგეტი ხდება. აქ იგულისხმება, როგორც ე.წ. ლგბტ თემატიკა ასევე, ზოგადად, სექსიზმი, სექსისტური დამოკიდებულებები, განსაზღვრებები, რაც უხვად სჭვივის დღევანდელი მედიიდან, კინოფილმებიდან, ტელესერიალებიდან, რაც მომავალ თაობებში, პირდაპირ, უზნეობის ინსტალაციას ემსახურება. ქვეყნის მტრებს — სულიერს თუ ხორციელთ, ჩემი მამების, ჩვენი, თქვენი თაობა როდი აინტერესებთ, არამედ ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების. რაც უფრო პატარა ასაკიდან ჩაიგდებენ მათ ხელში და შეძლებენ სახიფათო სოციალური ექსპერიმენტების გატარების გზით უზრუნველყონ თაობებს შორის სოლიდარობის აქტის წყვეტა, მსოფლიო ბატონობისა და ერთპოლარული პოლიტიკური სამყაროს შექმნის მზაკვრულ გეგმას მით უფრო სწრაფად განახორციელებენ. სწორედ ესაა მათი მიზანი და სხვა არაფერი — მამებისა და შვილების თაობას შორის განხეთქილების ჩამოგდება, რაც მათი მოქმედების ერთ-ერთი ღია, დაუფარავი ბერკეტია.



— **როგორ ფიქრობთ, რამდენად აქვთ ასეთ პირებს პოლიტიკაში, სახელმწიფო სტრუქტურებში ყოფნის უფლება?**

— ეს ძალიან საინტერესო თემაა. რეალურად, ჩვენ ვხედავთ, რომ ასეთი თანამდებობის პირების შერჩევა გაუგებარი მოტივებით ხდება და, პირველ რიგში, ესაა ნეოლიბერალური ღირებულებებისადმი ერთგულება, ანუ, პრინციპით — თუკი ადამიანს სურს, ყველაფერი მოსულა. ანუ, ეს ახალი რელიგიის სუროგატია, როდესაც მთავარი მოქმედი პირი — ადამიანი თავადაა ღმერთი და ყველაფერი მის სურვილსა და ახირებას უნდა დაექვემდებაროს. ლიბერალიზმი, თუ ამ ცნებას ილიასეული გაგებით შევაფასებთ და იმ დოზით თავისუფლებად მივიღებთ, რა დოზაც ჩვენს ბედნიერად ყოფნას უზრუნველყოფს, თავისთავად, ცუდი არაა. ჩვენი ბედნიერად ყოფნის კრიტერიუმები გარკვეული ჩარჩოებითაა შემოსაზღვრული და ვიცით, იმის

6 გვ. →

5 გვ.

# „ნაცმოძრაობა“, რომელმაც 26 ათასი ფაილი დაგვიტოვა მემკვიდრეობად, დღესაც აგრძელებს ტერორს ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ

იქით რასაც სხვამ შეიძლება ბედნიერება უწოდოს, ჩვენთვის უბედურება და უზნეობაა. მაგრამ გამოჩდნენ ადამიანები, რომლებიც იმ ტიპის ბედნიერებას უწევენ ლობირებას და იმ ხარისხის თავისუფლებით მონიჭებულ ბედნიერებას, რომელიც ნებისმიერ ჩვენს წარმოდგენას უზნეობაზე საერთოდ აქარწყლებს, რამდენადაც მათ მიაჩნიათ, რომ ადამიანისთვის, რომელსაც სურს რომ რაღაც გააკეთოს, იქნება ეს ნარკოტიკები თუ მრუშობა და სიძვის ცოდვის ინსტალირება, ყველაფერი მოსულა. იმიტომაც არის ატეხილი ასეთი ისტერიკა მარიხუანას ლეგალიზაციასთან დაკავშირებით. ამიტომაც არის ატეხილი კამპანია – მე მაქვს სექსი – ეს უკვე ლიბერალურად განწყობილი ჟურნალისტებისა თუ პოლიტიკოსებისთვის სლოგანად იქცა. ჩვენი პოლიტიკური სისტემა უნდა ემყარებოდეს მდგრადი, მორალური ღირებულებებით მოსაზრდოვე ადამიანების ხელისუფლებაში მოყვანას. ეს აუცილებელია. კომუნისტებიც კი, ბოლშევიკების შემდგომ პერიოდში, მნიშვნელოვნად აცნობიერებდნენ პოლიტიკურ თანამდებობებზე მორალურად მდგრადი ადამიანების საჭიროებას. როდესაც პირებს დახასიათება ეძლეოდათ და მათი დაწინაურების საკითხი დღის წესრიგში დგებოდა, ერთ-ერთი პირველი რაც უნდა განეხილათ, იყო ჰყავდა თუ არა მას ოჯახი, იყო თუ არა ეს ოჯახი მტკიცე და რა მორალური ღირებულებებით საზრდოობდა. ეს ყველაფერი იმდროინდელი უშიშროების კვლევისა და ოპერატიული დადგენის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი იყო, რომელიც საფუძვლად ედებოდა პიროვნების დაწინაურებას ან მის შეჩერებას შემდგომი კარიერული ზრდის თვალსაზრისით. ჩვენთან, დღეს, ოჯახის ინსტიტუტის დასანგრევად, ყველაფერი კეთდება – პირველ რიგში, მოწოდებები პოლიტიკოსებისგან, ავტორიტეტული ადამიანებისგან, პოპულარული ჟურნალისტებისგან. წარმოიდგინეთ, ამ თემას „თოქშოუებიც“ კი ეძღვნება. ე.წ. ჯაჯანიძისა და ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ, უმრავლეს შემთხვევაში, სექსისტური თემატიკისაა, რომელთა მიზანია ახალგაზრდა თაობაში სტიგმატიზირების მოხსნა, სირცხვილის გრძნობის მოსპობა და ყველაფერი მოსულას ხმამაღალი აღიარება. ვფიქრობ, ეს სწორედ, გარედან დაკვეთაა, მათგან ვისაც ქართული ტრადიციული ოჯახი და ქართული სახელმწიფოებრივი მოწყობის სისტემა ნერვებს უშლის, ალიზიანებს და იმის ბარიერად მიაჩნია, რომ საკუთარი ძალის ჰეგემონია მინიმუმ, რეგიონის დონეზე უზრუნველყოს.

**– ფაქტობრივად, გარყვნილება ტაბუახსნილია. აქ, მხოლოდ სექსზე არაა საუბარი. კონკრეტულმა პირმა უღალატა ოჯახს, მეუღლეს, შვილს, სახელმწიფოს, რელიგიას და ჩვენ, ამ საქციელს ვიცავთ?**

– თაკო, ეს ადამიანი, დღეს, მორალურად მკვდარია. ეს ძალიან მძიმე თემაა დამოდით, კონკრეტულად მისი განსჯისგან თავს შევიკავებ, ვინაიდან, საბოლოო ჯამში, არა არს დაფარული, რომელი არა გამჟღავნდეს. ზოგადად, სახელმწიფოს უნდა მართავდეს, მინიმუმ, ადამიანთა ისეთი ერთობა, რომელთათვისაც ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტი უფრო მაღლა დგას, ვიდრე ნებისმიერი ქარტიითა თუ კონვენციით დაკისრებული ვალდებულებები. პოლიტიკოსი რომელიც თვალთმაქცობს – ერთი მხრივ, ამბობს, რომ მამა და ტრადიციული ოჯახის წარმომადგენელია, მაგრამ მეორე მხრივ, ამბობს, რომ ადამიანის უფლებების დაცვისთვის ყველაფერს გააკეთებს, მათ შორის, უმცირესობების, ლგბტ უფლებებისა თუ ერთსქესიანთა ქორწინებების დაცვის კუთხით, უკაცრავად, მაგრამ სწორედ ასეთი ადამიანი ღალატობს თავის ოჯახს, ცოლ-შვილსა თუ ქმარ-შვილს გაცილებით უფრო დიდ ხარისხში, ვიდრე ის ვინც რაღაც კონკრეტული ვიდეო-ფირებით ამხილეს. ამ ადამიანს შანსი აქვს კონკრეტული ცოდვა მოინანიოს, მაგრამ როდესაც შეგნებულად, პოლიტიკური მართვის მიმართულებად ირჩევ იმას, რასაც შენ გარედან გახვევენ და ამას ერთჯერადი სახე არ აქვს, არამედ განგრძობადია, ეს უკვე გამოუსწორებელი ზიანის მომტანია და თუ ადამიანმა ამ პოლიტიკური მოდელირების პროცესს დროულად არ დაუსვა წერტილი, ეს მას აუცილებლად დაღუპავს. ასე, რომ პოლიტიკურ მეძავობასა და ფაქტობრივ სიძვა-მრუშობას შორის, ამ შემთხვევაში, განსხვავება ისაა, რომ ეს როგორც დენადი დანაშაული გარდაუვალი დაღუპვის თანამდევია, ხოლო ადამიანი მომაკვდინებელი ცოდვით რასაც სიძვა-მრუშობის ერთჯერადი, გნებავთ მრავალჯერადი ან მანკიერი მიდრეკილება ჰქვია, იგი მხოლოდ საკუთარ თავს და მას ვნებს, შეურაცხყოფს, ვისთანაც სარეცელს იზიარებს.

**– როგორც ამბობენ, ასეთი კადრები ბევრია. ასეთი ადამიანები რამდენად გამოადგებიან ქვეყანას მსახურებად. ისინი ხომ ამ ცოდვების მონები, შანტაჟის მსხვერპლნი არიან?**

– უნდა ინიშნებოდნენ თუ არა თანამდებობებზე ისეთი ადამიანები, რომელთა მაკომპრომეტირებელი ხასიათის ინფორმაციის არსებობის შესახებ ცნობილია იმ პირთათვის, ვინც მათ ნიშნავს. სხვათა შორის, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ძალიან გულწრფელი განცხადება გააკეთა როცა აღნიშნა, რომ ახალი ხელისუფლების მაღალჩინოსნების მიმართ სხვადასხვა ვიდეო-ფირებით დაშანტაჟების მცდელობა იყო და რომ თითქოს, დღევანდელი პოლიტიკოსები მასთან მიდიოდნენ და შესჩიოდნენ რა ვიღონოთ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლადო. მან, იქვე, აღნიშნა, რომ ოჯახი მისთვის უპირველესია და ამ კუთხით, ვერავის დაეხმარებოდა. ეს საინტერესო განცხადება იყო და არ იყო შემთხვევითი. ეს განცხადება მათთვის იყო ვისაც ყური და თვალი ება და ვისაც შეეძლო ეს იმ დროისთვის გაეზიარებინა, სანამ ასეთი შანტაჟით მათზე თავდასხმა რეალურად, მოხდებოდა. 26 ათასი ფაილის არსებობა ნიშნავს, რომ ქვეყანაში ხორციელდებოდა ინსტიტუციური ხასიათის დევნა. 26 ათასი ფაილის უკან, ბუნებრივია, ნაცმოძრაობის ხელისუფლება იდგა, რომელსაც საქართველოს სტარტეგიული პარტნიორის აშშ-ს სახით თავისი კურატორი ჰყავდა და არა მხოლოდ ერთი მიშა სააკაშვილი. ვინც არ უნდა მითხრას რომ ეს ასე არაა, შევეცდები საპირისპირო დავუმტკიცო. მიყურადების მაღალი ტექნოლოგიები, არ იყო აპრობირებული მეთოდებით რიგითი მიყურადება ტელეფონით, ან სკაიპის მეშვეობით. ეს იყო სამზარეულოში ჩაწერილი საუბარი, რომელიც იმ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით გადმოიტანეს, რომელიც ქვეყანაში ჯერ კიდევ 2006 წელს კიბერუსაფრთხოების წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი სამთავრებო სისტემის დონეზე შემუშავდა. ეს მრავალასეულათასიანი პროექტი აშშ-მ დააფინანსა, რომელსაც ერთი შეხედვით სრულიად კეთილშობილური მისია ჰქონდა – ერთიანი სამთავრობო სივრცე და ინსტიტუტები კიბერსაფრთხეებისგან დაეცვა. მაგრამ მეორე მხრივ, სააკაშვილის ჰაკერებმა, რომლებმაც ადგილი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში დაიმკვიდრეს, ანუ მოდერნიზირებული უშიშროების სისტემის ერთ-ერთ ქვედანაყოფში, უზრუნველყვეს ის, რომ უახლესი პროგრამების გამოყენებით ათეულათასობით აბონენტს უსმენდნენ ყველა იმ წყაროსთან დაკავშირებული მოწყობილობებიდან, რომელიც ინტერნეტ სივრცეს უკავშირდებოდა. ყველა ის წყარო რომელიც ინტერნეტს უკავშირდებოდა, ასეთი ფარული მიყურადებებისთვის იყო გამოყენებული – რა ხდებოდა ოჯახში, სამზარეულოში, სააბაზანოში, საძინებელში. მათ შორის, იყენებდნენ 16 წლის მოზარდებსაც და მათ აწინაურებდნენ კიდეც. როდესაც 16 წლის მოზარდს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში სამმართველოს უფროსის მოადგილედ ნიშნავ, გარდა იმისა, რომ ამით შრომის კანონმდებლობას არღვევ და სისხლის სამართლის დანაშაულს ჩადიხარ, მეორე მხრივ, უმატებ კიდევ მეორე სისხლის სამართლის დანაშაულს, როცა არასრულწლოვანს ანტისაზოგადოებრივ საქმეში აბამ, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლით ისჯება.







**– ბატონო დიმა, როგორ ფიქრობთ, იმ პირებმა, ვის შესახებაც მსგავსი აუდიო-ვიდეო მასალა არსებობს, უნდა დატოვონ თუ არა თანამდებობები?**

– იმ პირებს, რომელთაც ზუსტად იციან, რომ მათზე გარკვეული ტიპის მაკომპრომეტირებელი პირადი ცხოვრების ამსახველი სიუჟეტები არსებობს, გია ხუხაშვილმა, პირდაპირ, პოლიტიკიდან წასვლა ურჩია. ადამიანმა თავად უნდა განსაზრვროს, მისი ნამოქმედარის შედეგი მოსჭრის თუ არა კბილს მის მომავალ თაობას. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ყველა მიმართულებით, სწორი დასკვნები იქნას გამოტანილი. „ქართულმა ოცნებამ“ მინიმალური სტანდარტების დონეზე მაინც უნდა უზრუნველყოს დანაშაულებრივი სინდიკატის დამნაშავე პირთა დასჯა, გამოძიებამ დაადგინოს საიდან მოხდა კადრების გავრცელება, რა კონკრეტული მიზნებით, ვის მიერ. ამას მხოლოდ ქართული სპეცსამსახურები და შსს-ს საგამოძიებო ორგანოს მუშაკები ვერ უზრუნველყოფენ. საქართველოს სივრცეში „იუ-თუ-ბის“ ქსელის გადაკეტვა, გამოსავალი არაა. მით უმეტეს, როდესაც აღნიშნული ინფორმაცია, უამრავი ადამიანის მისამართით, ინდივიდუალური პოსტის საშუალებით იგზავნებოდა. ეს მიზანმიმართული შანტაჟია. თანაც, მას თავისი პირობები გააჩნია – თარიღები, პოლიტიკოსთა სია, რომელთა წასვლასაც ითხოვენ. ძალიან საინტერესოა, ვინ არიან ის პოლიტიკოსები. ვინაიდან მათი ვინაობის გამხელის შემთხვევაში, უფრო ნათელი გახდებოდა სურათი, თუ რა მიმართულებასთან, ვისთან გვაქვს საქმე. „ქართულმა ოცნებამ“ ამ ტიპის დანაშაულისთვის სასჯელები უნდა გაამკაცროს.

**– ბოლოს მინდა გკითხოთ, როგორ უყურებთ უსუფაშვილის განცხადებას მილიონი ლარის დაწესების თაობაზე?**

– როცა მილიონ ლარზეა ლაპარაკი, მინიმუმ, მილიონ ადამიანს მაინც უნდა შეეკითხო ამაზე თანახმაა თუ არა. ვფიქრობ, აქ, შეიძლება სხვა თემებიც ამოვიკითხოთ. დღეს „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი ბევრი პოლიტიკოსი თვლის, რომ „რესპუბლიკელებთან“ ერთად მომავალ არჩევნებში წასვლა ხარაკირის ტოლფასი პოლიტიკური აქტია, რასაც თავად უსუფაშვილიც კარგად აცნობიერებს. საბოლოო ჯამში, კარგი იქნება თუ 2%-იანი „რესპუბლიკური პარტია“, რომელმაც რეიტინგი ვერაფრით აიმაღლა, ამომრჩეველთან პირისპირ დარჩება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

# მოსწავლეებმა ტესტირებაში ჩაჭრილი მასწავლებელი გაკვეთილიდან გააძევეს?

**გაზეთის წინა ნომერში პედაგოგთა საგნობრივი გამოცდის დასრულების შემდეგ გამოქვეყნებულ სტატისტიკაზე და მოსალოდნელ შედეგებზე ვწერდით, რასაც ამ მონაცემების გასაჯაროება გამოიწვევდა. მასალის გასვლის შემდეგ რედაქციაში ერთ-ერთი პრესტიჟული სკოლის პედაგოგი გვესტუმრა. ქალბატონმა თინამ თავისი სტატუსისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები გვაჩვენა და იმ პირობით, რომ გაზეთში მის ვინაობას არ გავამხელდით, ერთ-ერთ სკოლაში მომხდარი შემთხვევის შესახებ გვიამბო.**

– სანამ საუბრის ძირითად თემას შევეხებოდე, გეტყვით, რომ სამეცნიერო ხარისხის მქონე, სერტიფიცირებული პედაგოგი ვარ და ტესტირებაზე ჩაჭრილი, განაწყენებული მასწავლებლის პოზიციიდან არ გესაუბრებით. მოსალოდნელი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, ვინაობის დასახელებისგან თავს შევიკავებ, თუმცა გაჩუმებაც არ შემიძლია. ის, რაც ამჟამად პედაგოგების თავს ხდება, სასიკეთოდ არც ქვეყანას, არც განათლების სისტემას და არც მომავალ თაობებს არ წაადგებათ. დავიწყებ იმით, რომ „ზოგადი განათლების შესახებ კანონის“ თანახმად, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია დაცულია. სკოლის დირექცია მასწავლებელს მკაცრად აფრთხილებს, რომ ერთი მშობლის თანდასწრებით, მეორე მშობელს შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ არაფერი უთხრას და მხოლოდ ინდივიდუალურად ესაუბროს. ამ დროს, განათლების სამინისტრო და მისი ქვესტრუქტურები ტელევიზიით აცხადებენ, რომ სისტემა უვიცი მასწავლებლებითაა სავსე. საინტერესოა, როდემდე უნდა გაგრძელდეს მასწავლებლის დისკრედიტაცია და ვის წისქვილზე ასხამს ეს ყველაფერი წყალს? მოგეხსენებათ, რომ მოსწავლეებს ისედაც საკმარისი უფლებები აქვთ. მასწავლებელთა ტესტირების შემდეგ კი კიდევ მეტის უფლება მისცეს საკუთარ თავს და ბევრ სკოლაში პირდაპირ იერიში მიიტანეს მასწავლებლებზე. უწოდეს მათ უვიცები და საკლასო ოთახში შესვლა აუკრძალეს.

– **ამის კონკრეტული ფაქტები არსებობს?**

– დიახ. ერთ-ერთი სკოლის მეათე კლასმა ბრწყინვალე ქართულის პედაგოგი გაკვეთილიდან გამოაძევა იმის გამო, რომ სერტიფიცირებაზე ქულა დააკლდა. რა თქმა უნდა, სკოლას და მასწავლებელს ვერ დავასახელებ, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი შემთხვევა მხოლოდ ერთ სკოლაში არ მომხდარა.

– **იქნებ დაგვიკონკრეტოთ, მოსწავლეებმა მასწავლებელს გაკვეთილის დატოვება მოთხოვეს?**

– ასე გამოვიდა. სერტიფიკატი ვერ აიღეთ და ჩვენ რა უფლებით გვასწავლითო? როგორც ვიცი, მასწავლებელი ძალიან ცუდად გახდა და გაკვეთილიდან ტირილით გამოვიდა. ვიცნობ რა დღევანდელი მოსწავლეების და მათი მშობლების პრეტენზიებს, ფიქრობ, ასეთი შემთხვევა ბევრ სკოლაში მოხდებოდა. როგორც სერტიფიცირებულ და 25–წლიანი პრაქტიკის მქონე მასწავლებელს მაინტერესებს, რას უფლება აქვს განათლების სამინისტროს, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომებს აუქმებს? რა უფლება აქვს, რომ წლების მანძილზე სიმბოლურ ხელფასზე მომუშავე მასწავლებელს, რომელმაც სკოლა და თავისი მოსწავლეები არ მიატოვა, თავზე ლაფს ასხამს? ხალხი პენსიის წინ სიბერე გაუმწარეს და სკოლებს ტირილით ატოვებინებენ და ასე თუ გაგრძელდა, ნამდვილად მივიღებთ ამერიკულ სკოლას, სადაც მოსწავლეები იარაღით შედიან და ერთმანეთს და მასწავლებლებს ხოცავენ. სამწუხაროდ, ჩვენს სკოლებში უფროსის და მასწავლებლის მიმართ პატივისცემას ველარ ვხედავ. ადათ-წესებისა და ტრადიციების დაფასებაზე საუბარი ზედმეტია, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ დღეს თუ პედაგოგი ითელება, ხვალ მშობელი, ნათესავი და მეზობელი გაითელება და ვიღაც უნდა დაფიქრდეს, ეს ყველაფერი სადამდე მიიყვანს ქვეყანას.

– **პრობლემას, რომელზეც თქვენ საუბრობთ, მასწავლებელთა საკვალიფიკაციო გამოცდების გაუქმება ან მისი შედეგების გასაიდუმლოება ვერ უშველის.**

– პრობლემას თუ ვერ ვშველით, არ უნდა გავაღრმავოთ მაინც.. დღეს, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევარია, სკოლას მოაწყდა დაუსაქმებელთა არმია.. სამსახურის მაძიებელი სხვადასხვა სპეციალობის ადამიანები, რომლებიც ტრენინგებს გადიან და სერტიფიკატის აღებას ახერხებენ. ასეთი კატეგორიის სკოლაში შემოდინების შემდეგ იწყება სრული ანარქია, რადგან მათ არა აქვთ პედაგოგიური და ფსიქოლოგიური მომზადება და ვერ ახდენენ იმ გავლენას ბავშვებზე, რასაც დღევანდელი სტანდარტები მოითხოვს. ამიტომ ტესტირების შედეგების გამოცხადებისას უნდა დაეკონკრეტებინათ, ჩაჭრილი მასწავლებლები მოქმედი პედაგოგები არიან თუ უმუშევართა არმიის წარმომადგენელი მაძიებლები, რომლებიც სკოლაში შემოსვლას ცდილობენ და ყველა „ერთ ქვაბში არ მოეხარშათ“. საერთოდ, როცა სისტემაში რაიმე რეფორმა ტარდება, ის კარგად დასაბუთებული უნდა იყოს.

– **უკვე გადაწყდა, რომ 2017 სასწავლო წლიდან სკოლებში ახალი საგანი „მე და საზოგადოება“ ისწავლება. როგორ ფიქრობთ, რა აუცილებლობამ განაპირობა ამ საგნის სკოლაში შეტანა?**

– მიუხედავად იმისა, რომ ღარიბ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ბევრ ოჯახს აქვს საშუალება, რომ შვილს განათლება ოჯახში მიაღებინოს, მაგრამ ამას იმიტომ არ აკეთებს, რომ ბავშვი საზოგადოების ნაწილია და საზოგადოებასთან ურთიერთობა უნდა ისწავლოს. სკოლის ძირითადი ფუნქცია სწორედ ისაა, რომ მოსწავლეს საზოგადოებასთან ურთიერთობა ასწავლოს. არ მესმის, რა საჭიროა ველოსიპედის გამოგონება, როცა ის არსებობს. პირდაპირ გვითხრან, რა უნდათ და რის დანერგვას ცდილობენ სკოლებში. როგორც ვიცი, საუბარია იმაზე, რომ ახალი საგანი ითვალისწინებს როლურ თამაშებს, სადაც გოგონამ ბიჭის როლი უნდა შეასრულოს და პირიქით. ერთია ინსცენირებული გაკვეთილი და მეორეა როლური თამაში, როცა მე არ მინდა როლის თამაში და შენ მავალდებულებ. რისთვისაა საჭირო ეს ყველაფერი?

– **„მე და საზოგადოება“ რომელიმე საგნის პედაგოგებმა უნდა ასწავლონ თუ სპეციალურად ამ საგნისთვის მოხდება პედაგოგების გადამზადება?**

– არ ვიცი, მაგრამ ამბობენ, რომ ამ საგნის მასწავლებლები, უმეტეს შემთხვევაში, არატრადიციული ორიენტაციის ადამიანები იქნებიან. ალბათ, რევერანსებით უნდა ველაპარაკოთ, რომ არ გვიჩივლონ და სკოლა არ დაგვატოვებინონ. ორიოდე სიტყვას რელიგიაზეც ვიტყვი.. შარშანწინ ერთი კვირით ჩვენი მეგობარი ქვეყნის დედაქალაქში სტამბულში გახლდით და ყოველ დილას მოლას ძახილი მაღვიძებდა. ჩვენ რომ საქართველოს დედაქალაქში ყოველ დილას მორწმუნეებს ზარების ხმამაღალი რეკვით ტაძრებში მოვუხმოთ, სხვა რელიგიების მიმდევართა უფლებების დარღვევას დაგვაბრალებენ და გვიჩივლებენ. მაინტერესებს თუნდაც ამ თვალსაზრისით, რატომ არ არის ქრისტიანის უფლებები დაცული? „ენა მამული სარწმუნოება“ ხელში შემოგვადნა. მამული შაგრენის ტყავივით პატარავდება, საქრისტიანოში ქრისტიანობის ლანძღვა მოდად იქცა, მხოლოდ ენა შეგვრჩა და ისიც სკოლაში აღარ ისწავლება. ენის სწავლების გარდა, განათლების სისტემაში იმდენი პრობლემა დაგროვდა, რომ წესით „მე და საზოგადოების“ მსგავსი „თითიდან გამოწოვილი“ პრობლემებისთვის არ უნდა გვეცალოს. ჩემი აზრით, 12–წლიანი სწავლების მოდელი გადასახედია. არაა აუცილებელი, რომ 5 წლის ბავშვი სკოლაში გვყავდეს. ვაცადოთ ბავშვებს ბავშვობა და შევიყვანოთ იმ ასაკში, როცა შარდის ბუშტიც ეკეტება, ხერხემალიც გამაგრებული აქვს და ტვინიც უჭრის. არც ის მგონია გამართლებული, რომ წვერულვაშიანი მამაკაცები მერხებში გვყავს ჩატენილი. ჩემი აზრით, უნდა გაკეთდეს პროგრამა, რომელიც 9-10 წლის განმავლობაში ამა თუ იმ დისციპლინაში ზოგად განათლებას მისცემს და ის ორი და სამი წელი უმაღლეს სასწავლებელს დავუმატოთ. მივცეთ ახალგაზრდას საშუალება, რომ სადაც მისი ინტერესების სფეროა, იქ მეტი დრო ჰქონდეს სამუშაოდ.



– **საუბრის დაწყებამდე ბრძანეთ, რომ მასწავლებელს სურვილი და მოტივაცია არ გააჩნია, რომ საკვალიფიკაციო გამოცდებზე გავიდეს. თქვენი აზრით, ხელფასზე საკვაკლიფიკაციო დანამატი არასაკმარისი მოტივატორია?**

– სანამ ხელფასის თემას შევეხებოდე, გეტყვით, რომ არ მესმის რატომ შემოაქვთ ჩვენთან უკვე დაწუნებული მეთოდი, რომელმაც სხვა ქვეყნებში არ გაამართლა. მხედველობაში მაქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა. რატომ ცდილობენ დანერგონ სქემა, რომელიც არც მასწავლებელს, არც მოსწავლეს და არც მშობელს არაფერში არგია. როგორც მასწავლებელს გული მტკივა, როცა ვხედავ, რომ საიდანღაც მოტანილი სქემით ცდილობენ საქართველოს მომავალი მახინჯ ჩარჩოებში მოაქციონ. რაც შეეხება მოტივაციას, მაქვს სამეცნიერო ხარისხი, გავლილი მაქვს უამრავი ტრენინგი, ვფლობ ყველა სერტიფიკატს, რაც 2002 წლიდან დღემდე არსებობს, მაგრამ ვხედავ, რომ ცოდნა და გამოცდილება არავის სჭირდება. ტექნიკური შეცდომის გამო მასწავლებლის პირად მონაცემებში წამყვანის ნაცვლად უფროსი მასწავლებელი მიწერია, თუმცა სურვილი არ მაქვს, რომ სამინისტროში მივიდე და შეცდომა გავასწორებინო. დღეს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, უფროსი მასწავლებელი ვიქნები თუ წამყვანი, იმიტომ, რომ კერძო სკოლაში ვასწავლი და ეს ჩემს ხელფასზე დანამატის სახით არ აისახება. ამ მხრივ კერძო სკოლა მიტოვებულია. სამინისტროს არ შეუძლია, რომ სკოლის დირექტორს მასწავლებისთვის კვალიფიკაციის შესაბამისი ანაზღაურების მიცემა დაავალდებულოს. განათლების სამინისტრომ და პედაგოგთა პროფესიულმა კავშირებმა მშვენივრად იციან, რომ კერძო სკოლებში სრული განუკითხაობაა. მასწავლებელს არ ჰყავს დამცველი და სამსახურის დაკარგვის შიშით, იძულებულია ყველანაირი ზეწოლა მოითმინოს, რადგან ვერც პროფკავშირები დაიცავს და ვერც სამინისტრო. როგორც კი რომელიმე ჩვენგანი ხმას ამოიღებს, იმ სკოლაში ხელშეკრულება აღარ გაუფორმდება.

– **იმაზე თუ გიფიქრიათ, რომ თქვენი სტატუსით და მონაცემებით, შეგიძლიათ ნებისმიერ საჯარო სკოლაში დასაქმდეთ.**

– არათუ მიფიქრია, 2005-2006 წლიდან მოყოლებული, საჯარო სკოლაში გადასვლას ვცდილობ, მაგრამ როგორც წესი, სკოლის დირექტორებს მაღალი ანაზღაურების მქონე პედაგოგის აყვანას პრაქტიკოსის მიღება ურჩევნიათ. ბევრმა ჩემმა ახლობელმა დაიწყო საჯარო სკოლაში მუშაობა, მაგრამ დაიწყო იმ კატეგორიის ხალხმა, ვისაც პედაგოგიური განათლება არ მიუღია და მარტო სერტიფიცირება გაიარა. სამწუხაროდ, დირექტორს ურჩევნია, რომ სკოლის ბიუჯეტიდან ნაკლები ხელფასი გასცეს და პრაქტიკოსი დაასაქმოს, ვიდრე წამყვანი პედაგოგი აიყვანოს და ხელფასზე დანამატები აძლიოს. მერწმუნეთ, ვერ ვნახე ისეთი დირექტორი, რომელსაც სკოლაში მაღალკვალიფიციური კადრები ჭირდება. იმიჯისთვის და რეკლამისთვის ერთს ამბობენ, მაგრამ ერთია რას ამბობენ და მეორე რას აკეთებენ.

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# „ხურუშიანების“ მიერ სექსოდრომად ქცეული ქვეყანა და პოლიტიკა და სექსი „ნაციონალურად“

მთავარი ქინძის მიხეილ სააკაშვილის მიერ ჩადენილი რომელიმე ქმედება თუ გამაკვირვებდა, ნამდვილად არ მეგონა, რადგან ის, რაც მისი „მეფობის ხანაში“ ხდებოდა არაფერ ჰქონდა საერთო ადამიანურთან. 2014 წელს მოწყენილ პრეზიდენტყოფილს აშშ-ში 19 წლის გოგონა გაუცნია, რომელიც 17 წლის ასაკში ბიჭი ყოფილა და რამდენიმე რთული ოპერაციის შემდგომ ქცეულა ლამაზმანად. ამბობენ, იგი მიშას უფროს ვაჟთან ედუარდთან ერთად სწავლობდაო. მიშას გოგონა ალექსი პირდაპირ თავის მდიდრულ აპარტამენტში შეუტყუებია ავენიუზე, რომელიც რაღა თქმა უნდა, დახვეწილი გემოვნებით ყოფილა მოწყობილი და სულ რამოდენიმე მილიონ დოლარად არის შეფასებული. ბიჭად ყოფილი გოგონასთვის ქართული „მაგარი“ღვინო შეუთავაზებია „მაღალს“, რომელშიც განსაზღვრული რაოდენობის ნარკოტიკიც დაუმატებია და გათიშული, 17 წლის, აშშ-ს კანონმდებლობით არასრულწლოვანი გაუუპატიურებია. გამთენიისას ალექსს სელფი გადაუღია, სადაც რაღა თქმა უნდა, კარგად ჩანს მძინარე პრეზიდენტყოფილი, რამოდენიმე ფოტო გადაღებულია მისი აპარტამენტის სხვა ოთახებშიც. მათ შორის, საპირფარეშოშიც, საინტერესოა, მის „ნაშებს“ ,რატომ უჩნდებოდათ სურვილი ტუალეტში სელფის გადაღების. საზოგადოებას, ალბათ, ახსოვს მასაჟისტი დოროთი, რომელიც „მაღალმა“აშშ-დან თავისი თვითმფრინავით ჩამოიყვანა და იმდენი თანხა დაახარჯა, ერთ სოფელს რომ ააშენებდა. სხვათა შორის, მოგვიანებით დოროთიმ და ალექსიმ თურმე ერთმანეთი გაიცნეს და შთაბეჭდილებები გაუზიარეს ერთმანეთს“მაღალზე“. ღვინოში ნარკოტიკის ჩაყრა არც დოროთთან ურთიერთობისთვის დავიწყებია მაღალს. თურმე ლოდინი არ უყვარდა და „პირდაპირ საქმეზე“გადასასვლელად იყენებდა ამ ხერხს. ალექსი იხსენებს, რომ მიშა ძალაუფლებაზე იყო შეყვარებული და დარწმუნებული იმეორებდა, რომ ის აუცილებლად დაბრუნდებოდა საქართველოში და დაიბრუნებდა „გვირგვინს“. თუმცა მას გეგმები დროებით შეეცვალა, ალექსი დაპატიჟა წვეულებაზე, სადაც მისთვის უჩვეულოდ, ყველა თავისთვის ილხენდა და საქმიან შეხვედრას უფრო ჰგავდა, ვიდრე „ფართს“. მან თავისი თვალით ნახა უკრაინელი, ამერიკელი და ქართველი პოლიტიკოსების ჯგუფი (ამოიცნო მიშას ბიძაც), რომლებიც რაღაც საკითხს განიხილავდნენ, იმ საღამოს ალექსს „რიგმა“არ მოუწია, რადგან მაღალთან სხვა გოგონა დარჩა. სამაგიეროდ, ალექსს მტკიცებულებები ჰქონდა და შეურაცხოფილი შურისძიებაზეც ფიქრობდა. თუმცა მეგობრები აფრთხილებდნენ, რომ „შარში“ იყო გახვეული. „მაღალთან“გადაღებულმა ფოტოებმა მისი სამეგობრო მოიარა. მიშასთან შეხვედრა კიდევ ერთხელ მოასწრო ალექსმა. მიშას უთქვამს, რომ მას უკრაინაში სთავაზობდნენ სამსახურს, ეტყობა, ფერადი რევოლუციის მოწყობაც სამსახურია. შემდგომ ალექსი ტელევიზიით ადევნებდა თვალს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს, არც უკრაინული „გატაცებები“დარჩენილა მისი ყურადღების მიღმა, ამიტომაც ბიჭუნად ყოფილმა შურისძიება გადაწყვიტა და დაწვრილებით უამბო „ნტვ“-ჟურნალისტს მიშას ამერიკული არდადეგების შესახებ. წინა ხელისუფლების პოლიტიკური „პორნოდრომის“ არქივს თუ გადავხედავთ, არაერთ „საგმირო“ საქმეს აღმოვაჩენთ. ნარკომანობიდან დაწყებული, იმ ქალბატონებით დამთავრებული, რომელთაც პოლიტიკაში მოხვედრამდე და ხალხისთვის ჭკუის სწავლებამდე „მაღალთა ამა ქვეყნისათა“ ლოგინები მოიარეს. პოლიტიკაში ხომ ბევრ ფულს შოულობენ და მყისვე მიხვდნენ ზოგიერთები, რომ მათი დრო დადგა! პრეზიდენტყოფილს პოლიტიკა და სექსი ერთ რანგში ჰყავდა აყვანილი და ზედაც უხვად აყრიდა „კოკაინს“, რადგანაც მიშა უკულმართი იყო, მეც ბოლოდან დავიწყე მისი სექსოდრომის განხილვა. სააკაშვილმა პრეზიდენტობის ბოლო წლებში, მინისტრებად ახალგაზრდა საზოგადოებისათვის უცნობი ქალბატონები რომ დანიშნა. ალბათ, იფიქრა, „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო“, კანადაში ვერა ქობალიას გამომცხვარი პური ისე მოსწონებია „ბულას“, რომ მყისიერად განათებია კოკაინით დახშული გონება და ზეციური ხმაც გაუგია: „ვერა დააყენებს ქართულ ეკონომიკას ფეხზე“-ო და სასწრაფოდ თვითმფრინავის ბილეთი შეუძენია მისთვის. სამინისტროს ერთი სიტყვა, მდგრადიც დაუმატეს, ფეხზე დაყენებული ეკონომიკა რომ მალე არ ჩამოშლილიყო. სანამ ხელისუფლება ახალი მინისტრის პაიროთ იყო დაკავებული, ინტერნეტში ქობალიას პიკანტური ფოტოები გამოქვეყნდა, სადაც მეგობრებთან ერთად ბარში ერთობოდა. თუმცა მძაფრი რეაქცია სულაც არ ჰქონია მიშას, „აპატია, როგორც ძმამ და მეგობარმა!“

მეორე ქალბატონი მინისტრი, რომელიც საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა, ხათუნა კალმახელიძე გახლდათ. სასჯელაღსრულებაში მიმდინარე ცემა-ტყეპა და წამება ისე მოეწონა თაყვანისმცემელიც კი დაჰყავდა „სეირის“ საყურებლად. მინისტრყოფილი, ჯერ კიდევ 2011 წელს ეძებდა აკაკი წერეთლის საფლავს სოფელ სხვიტორში, რომ მისთვის მირთმეული ყვავილები მგოსნის საფლავზე დაეწყო. ეს კი ის მომენტი იყო როცა არ მუშაობს სლოგანი“ – ვინც ეძებს, ის პოულობს“. სამაგიეროდ, 2011წელს „სად“-ის #5 დაწესებულებაში უცხოელ სტუმრებთან ერთად მყოფი იუბილარი მინისტრი მიშამ „ვახტიდან მოხსნა“და ევროპაში „გაიტაცა“დაბადების დღის აღსანიშნავად და რასაკვირველია, „ამბავიც“ ისევ „სად“-მა „გაუბაზრა“. „უმადურმა“ ქართველებმა გამოუქვეყნეს ფოტოც, სადაც კალმახელიძე ვიღაც მამაკაცის მუხლებზე მოკალათებული ამაყად პოზირებდა. 2008 წელს, ნოემბერში, როცა ქართველი ხალხი ჯერაც რუსეთთან ომით მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდა, ქვეყნის მთავარსარდალმა „მის უკრაინის“ კონკურსში მონაწილე 2 ლამაზმანი „შეუკვეთა“ ვანო მერაბიშვილს. ვანომ ეს საქმე გივი თარგამაძეს გადააბარა, რომელიც იმჟამად ოდესაში იმყოფებოდა.

გივია თარგამაძე სასწრაფოდ გადაფრინდა კიევში, რადგან მიშას მოწონებული ორივე ქალი კიეველი აღმოჩნდა. მიშას 2 დღეში, ორივე უკრაინელი მოდელი ჩამოუყვანეს თბილისში, მათ 4 დღე დაჰყვეს აქ და სასტუმრო „ჰოლიდეი ინ“-ში ცხოვრობდნენ.

წყაროს ინფორმაციით, ამ უკრაინელი ქალების პრეზიდენტის მომსახურების საფასური ამ ბანკის სპეცანგარიშიდან გადაიხადეს თავისი სასტუმროს ხარჯებიანად. თუმცა, იმჟამად, „მადნეულის“ გენერალურმა დირექტორმა კობა ნაყოფიამ პრეზიდენტის მეძავებს ძვირადღირებული საჩუქრები უყიდა და აეროპორტშიც თავად მიაცილა. სხვათა შორის, ნაყოფია ერთ-ერთია იმ ბიზნესმენებიდან, რომელიც სისტემატურად რიცხავდა ფულს ბანკის „სამეძავო ანგარიშზე“. ნაყოფია სააკაშვილის ყველა ახირებას უსიტყვოდ ასრულებდა, ამიტომაც იყო, კახა ბენდუქიძის რჩეულმა პრეზიდენტის კარზე გავლენა მალევე მოიპოვა, დეპუტატიც გახდა და საქართველოში გამართულ ტენდერებსა და აუქციონებსაც უპრობლემოდ იგებდა. 2009 წლის სექტემბერში, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ლონდონში გასეირნება გადაწყვიტა 2 დღით.

მან თან გივი უგულავა და





კიდევ ორი მეგობარი მამაკაცი იახლა. ცხადია, ორივე დღე ქეიფსა და მოლხენაში გაატარეს, მეტი რაღა საქმე ჰქონდათ, აწყობილი და დალაგებული ქვეყანა დატოვეს და 2 დღით განტვირთვა ამ ღვაწლმოსილი ხალხისთვის რა ბედენა იყო? ჰო, 4-კაციანი დელეგაცია უპრესტიჟულეს სასტუმრო „რიცში“ დაბინავდა. მიშამ პირველსავე დღეებში მოისურვა რომელიღაც ბრიტანელ ქალბატონთან სექსი, ცხადია, მოდელთან და ისიც ნათელია, რომ მისი მომსახურება საქართველოს რამდენიმე სოფლის ერთად აღებულ წლიურ ბიუჯეტს აღემატებოდა. საქმის გაჩარხვა გიგი უგულავას მიანდო მიშამ. გიგიმ ვანო მერაბიშვილს დაურეკა თბილისში, მიშველე, მიშას ესა და ეს მოდელი უნდა და თუ არ მივუყვანე სასტუმროში, კი იცი, რა შავ დღესაც დამაწევსო. ვანომ თბილისიდან მოაგვარა ყველაფერი.

გიგის ისღა დარჩენოდა, ლიმუზინით სახლში მიეკითხა მოდელისთვის და სასტუმროში მიეყვანა. 2010 წელს საქართველოს დელეგაცია ვაშინგტონში იმყოფებოდა. დელეგაცია სასტუმრო „კარტონ-რიცში“ დაბინავდა. საქვეყნო საქმეებს რომ მორჩნენ, მიშამ და მისმა გარემოცვამ სასტუმროს რესტორანს მიაშურეს და გვარიანად მოულხინეს. კარგად გამოთვრნენ.

მიშა საპრეზიდენტო ნომერში რომ ავიდა, მაშინ მოითხოვა ქალი. საბედნიეროდ, ამ დელე-




გაციაში ვანო მერაბიშვილიც იმყოფებოდა და მიშას სურვილის დაკმაყოფილება მან ითავა. ვანომ სასწრაფოდ მოიძია ელიტარული ბოზი, მიშას შეუგზავნა ნომერში და ეს „ცხოველიც“ დაშოშმინდა. 2012 წელს საქართველოს დელეგაცია კვლავ ამერიკას სტუმრობდა. ამჯერად სამთავრობო ვიზიტი მეტად მნიშვნელოვანი იყო — მიხეილ სააკაშვილი ამერიკის პრეზიდენტს, ბარაკ ობამას უნდა შეხვედროდა. საქართველოს დელეგაცია ვაშინგტონში,

სასტუმრო „მანდარინა ორიენტალში“ გაჩერდა. სააკაშვილის და ობამას შეხვედრა სულ 15 წუთს გაგრძელდა. ცხადია, დელეგაციის სხვა წევრებმაც გამართეს შეხვედრები ამერიკის პოლიტიკური ისტებლიშმენტის წარმომადგენლებთან. ეს უკვე ის დროა, როცა სააკაშვილის „ნაცმოძრაობას“ საპარლამენტო არჩევნები წაგებული აქვს და მიშა, ევროპასა და ამერიკაში, ხელისუფლებაში დაბრუნების უმოკლეს და ანტიკონსტიტუციურ გზებს ეძებს, რაღაცას „ვარდების რევოლუციასავით“. ცხადია, ამ გეგმის განსახორციელებლად და უკანონობის „გასაპრავებლად“, უპირველესად, ამერიკის მხარდაჭერა სჭირდებოდა. მიშას ეს გეგმა და სურვილი სწორედ 30 ნოემბერს, ვაშინგტონში, ბარაკ ობამასთან შეხვედრისას ჩაიშალა. ობამამ მკაცრად გაუმეორა სააკაშვილს ის, რასაც მას არჩევნების შემდეგ ყველა გავლენიანი ამერიკელი პოლიტიკოსი ეუბნებოდა: შენი დრო დამთავრდა, ორჯერ იყავი ქვეყნის პრეზიდენტი და ახლა დროა, ქვეყნის მმართველობას ჩამოსცილდე და ძალაუფლება მშვიდობიანი გზით გადასცე მომდევნო პრეზიდენტსო.

სააკაშვილი თეთრი სახლიდან სახეშეშლილი, რომ იტყვიან, წაშლილი გამოსულა. ცხადია, საშინელ ხასიათზე იყვნენ მისი დელეგაციის წევრი ბობოლა „ნაციონალები“. უგუნებობის გამოსასწორებლად ყველამ ერთად რესტორანს მიაშურა. წყარო აცხადებს, რომ სააკაშვილი რესტორანშივე გვარიანად გამომთვრალა, შემდეგ კი სასტუმროში მისულს, ბარში გაუგრძელებია სმა. ბარში ყოფნისას მოუთხოვია ქალი და მისი გარემოცვის წევრებიც დატრიალებულან: არიქა, ბელადს საწადელი ავუსრულოთ და ერთი ლამაზმანი ჩავახუტოთო. მიშა მეტად გულუხვი გამომდგარა იმ დღეს: მარტო მე კი არა, დელეგაციის ყველა წევრ კაცს თითო ქალი მოუყვანეთო, უბრძანებია.

„ნაციონალების“ ვიპ-ლიდერებმა, ვაშინგტონის ვიპ-ბორდელების ადგილმდებარეობა ისე კარგად იციან, თვალდახუჭულები აგნებენ თურმე. პირველად ხომ არ იყვნენ ვაშინგტონში, და არც მიშას ეს ახირება იყო მათთვის პირველი და უცხო.

მოკლედ, ათზე მეტი მეძავი მოუყვანიათ „მანდარინა ორიენტალში“ და ბარიდან რესტორანში გადაუნაცვლებიათ. ერთი ჟივილ-ხივილი აუტეხავთ სააკაშვილსა და მის ხროვას, დაუმხიათ თავზე ყველაფერი.

მათდა საუბედუროდ, იმავე სასტუმროში იტალიის საპარლამენტო დელეგაციის წევრები ცხოვრობდნენ, რომლებიც ამერიკელ კონგრესმენებთან მოლაპარაკებაზე იყვნენ ჩამოსულნი. რამდენიმე იტალიელი დეპუტატი იმ დროს, როცა სააკაშვილი და მისი ბიჭები რესტორანში ილხენდნენ, იმავე რესტორანში ვახშმობდა დეპუტატური სიდარბაისლით. იტალიელებს პროტესტის ნიშნად, რესტორანი დაუტოვებიათ და სასტუმროს ხელმძღვანელობისთვის უთქვამთ, ხვალ სხვა, უფრო წყნარ და კომფორტულ სასტუმროში გადავალთ და ჩვენს უვახშმობას არ გაპატიებთო. ადმინისტრაციას დაცვა გამოუძახებია, მაგრამ მიშა და მისი გუნდი არც მათ დანებებიან. დაცვამ სამჯერ გააფრთხილა ქართველები და გამომთვრალებს რომ ვერაფერი შეაგნებინა, პოლიცია გამოიძახეს. აი, მაშინ კი გამოფხიზლებულან მიშა და მისი ამალის წევრები, რადგან საერთაშორისო სკანდალის სუნი იკრეს. ალბათ იფიქრეს, ამერიკა დემოკრატიის დედა და მამაა, თუ კანონს დაარღვევ, გინდა პრეზიდენტი იყავი, მაინც პასუხს გაგებინებენო. სკანდალსა და საერთაშორისო შერცხვენას გადაურჩნენ მიშა და მისი ბიჭები. იმ შუაღამისას, საქმეში ამერიკელი რესპუბლიკელი კონგრესმენები, ჩარლზ დენტი და სინტია ლუმისი ჩაერივნენ, რომლებიც პირადად სააკაშვილმა წამოყარა თბილი ლოგინებიდან. კონგრესმენებმა საქმე ჩაფარცხეს — თავიანთი სტუმრები, იტალიელი დეპუტატებიც გააჩერეს, პოლიციაც და სასტუმროს ადმინისტრაციაც. ცხადია, იმაზეც იზრუნეს, რომ ინფორმაციას არ გაეჟონა და ეს ამბავი ამერიკულ მედიას არ გაეგო. თუმცაღა, ამერიკის პოლიტიკური ბომონდის არაერთმა წარმომადგენელმა გაიგო სააკაშვილისა და მისი დელეგაციის წევრების ამ აყალმაყალის შესახებ. 2010 წლის 24 ნოემბერს ლისაბონში გამართული ნატო-ს სამიტის შემდეგ საქართველოს დელეგაციის წევრებმა, ლისაბონის სასტუმრო „ტიარაში“ 70 მეძავი აიყვანეს, სასტუმროს ადმინისტრაციას კი ეს ბოზები საკუთარ ცოლებად წარუდ-



გინეს. გაგიჟდნენ „ტიარას“ თანამშრომლები: რა უბედურებაა, ყველა ქართველს პორტუგალიელი ცოლი როგორ ჰყავს, თანაც, ყველა ლისაბონელიო. ეს ამბავი მალე გასკდა. პორტუგალიურმა გაზეთმა „ჩორეირო და მანჰამ“ ამ კოლექტიური სექსსკანდალის დეტალები მთელ ქვეყანას მოსდო.

ამ გაზეთს 250 000 აქვს ტირაჟი და ცხადია, ყველა საგაზეთო მასალა მის საიტზეც იდება. ამ საქმის ჩაფარცხვა ვეღარ მოახერხეს სააკაშვილმა და მისმა გუნდმა. გაზეთამდე მას შემდეგ მივიდა ეს ინფორმაცია, რაც სასტუმროში ქართული დელეგაციის წევრებმა, თითქმის შიშვლებმა დაუწყეს დევნა პორტუგალიელ მეძავებს და მათი გაჟიმვა ლამის ფოიეშივე მოინდომეს. ქართველთა ხმაურით შეწუხდა საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი, რომელიც თავის დელეგაციასთან ერთად მეხუთე სართულზე ცხოვრობდა, ერთი სართულით მაღლა, ვიდრე ქართველები და ლისაბონის პოლიციას სწორედ ფრანგებმა დაურეკეს. სხვათა შორის, იმავე სასტუმროში, ნატო-ს წევრი კიდევ ორი ქვეყნის პრეზიდენტი და მათი დელეგაცია ცხოვრობდა, მაგრამ ქართველთა ჩაშვება მაინც სააკაშვილის ძმაკაცს, სარკოზის დაჰბრალდა.

მიშას და მისი ხროვის უამრავი სექსსკანდალის გახსენება შეიძლება კიდევ, თუმცა, მთავარია, ვინ უზრუნველყოფდა მათი არცთუ იაფი ავხორცობის დაფინანსებას. ცნობილი ფაქტია, რომ სპეცანგარიშები, რომლებზეც „საპროცესო“თანხები ირიცხებოდა და რის გამოც დღეს მოსახლეობის ლამის 50% სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება, დღესაც გაურკვეველია. არსებობდა სხვა გაურკვეველი ანგარიშებიც, რომლის შევსებასაც პირველ ეტაპზე ფინანსური პოლიციის ყოფილი შეფი დავით კეზერაშვილი უზრუნველყოფდა .2007 წლიდან კი ამ საბანკო ანგარიშზე სოლიდური თანხის მობილიზების საკითხს ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი უზრუნველყოფდნენ, მთელი ფული მიშას ქალებში გრიალს და გართობას ხმარდებოდა. ავი ენები ამბობენ, „მაღალს“ კაცების მიმართაც ჰქონია ლტოლვა,მაგრამ „მოგუდულში“ ხდებოდა ეგ საქმეო. აღნიშნულ სპეცანგარიშზე სოლიდურ ხარკს რიცხავდნენ ბიზნესმენებიც.

იმ ბიზნესმენთა ნაწილმა იცოდა, რისთვის იხდიდა ხარკს, ნაწილმა კი არაფერი იცოდა ამის შესახებ. ცხადია, ბიზნესმენთა უმეტესობას შანტაჟის, მუქარისა და სხვა უკანონო გზებით აიძულებდნენ, გადაეხადა სოლიდური თანხები. არ გადაუხდიდნენ მიშას „საგულაო“ ფულს და უკეთეს შემთხვევაში, ბიზნესს საერთოდ დაკარგავდნენ, თუ უფრო გაჯიქდებოდნენ და ვანო და ზურა მთლად დედას უტირებდნენ — ან თავად „გაამგზავრებდნენ“ ამ ბიზნესმენს ციხეში, ანდა ოჯახის რომელიმე წევრს დაუჭერდნენ შეთითხნილი ბრალდებით. მე თქვენ გეტყვით და ამგვარი ფაქტების ნაკლებობა გვქონდა ამ 9 წლის მანძილზე და გაუკვირდებოდა ვინმეს. თუმცა ამაზრზენი ის არის, რომ ბიზნესმენთა დიდმა ნაწილმა წინასწარ იცოდა, რომ ფულს პრეზიდენტის ვნებების დასაკმაყოფილებლად იხდიდა და მორჩილად აკეთებდა ამას, პროტესტი არც ერთს არ გამოუხატავს. მეტიც, ზოგიერთები სიამოვნებით აკეთებდნენ ამას. „დიდი“ ვანო აღნიშნულ ხარკს „პრეზიდენტის სირის გადასახადს“ უწოდებდა.

**(გაგრძელება იქნება)**

**ქეთევან ზარნაძე**
599 526 030

# მარგველაშვილმა „სექსოლოგიის“ დარგში სააკაშვილსაც გადაასწრო...



## გვესაუბრება მწერალი მერაბ შათირიშვილი

**— ბატონო მერაბ, 14 მარტს გასაჯაროებული ფარული კადრების გამოქვეყნების შემდეგ პოლიტიკურმა ფიგურებმა, ჟურნალისტებმა და თავად პრეზიდენტმაც კი გააკეთეს, ჩემი აზრით, არაადეკვატური განცხადებები.**

— ამ საკითხს არ უნდა შევხედოთ ისე, რომ საქმე მხოლოდ სექსთან და მის პროპაგანდასთან, ან დაგმობასთან გვაქვს. დღითიდღე ვრწმუნდები, რომ თემა, რომელიც უკვე კვირაა აქტუალურ ფაზაშია და არ იხსნება ქართული პოლიტიკის სცენიდან — უკვე პოლიტიზირებულია. ფარული კადრების მოპოვება, ფარული მოსმენები, შეიძლება ახლა ამას რომ ვიტყვი, ვიღაცას არ ესიამოვნოს, მაგრამ დასავლური პოლიტიკის ნაწილია და მოდის დასავლეთიდან. „დავერბორკებებიც“ ოდითგანვე იყო პოლიტიკაში. ამაზრზენი, როცა ადამიანს იღებენ, ადამიანს უჭვრეტენ და მის პირად ცხოვრებაში იჭრებიან, მაგრამ არსებობს ერთი რაღაც, როცა გაქვს პრეტენზია იმისა, რომ შენ გახდე ხალხის რჩეული, გახდე შენი ქვეყნის სახე — აი, ასეთ პირად ცხოვრებას უნდა მოერიდო და იცხოვრო ასკეტურად, ნებისმიერი ხელისუფალი, ნებისმიერი პირველი პირი, განა იმისათვის უნდა იყოს მზად, რომ მან უზნეობის მეტასტაზები მოიშოროს, ის იმისთვის უნდა იყოს მზად, რომ სიცოცხლე გაიღოს ხალხის და ქვეყნის ინტერესების გამო. როცა საქმე ეხება პირად ცხოვრებას, რომელიც გამოგიქვეყნდება და სულიერად გკლავს, ეს ცხადია, მოქმედებს ნებისმიერ ადამიანზე ცუდად და დასაგმობია ერთმნიშვნელოვნად, მაგრამ, როცა გამოგიქვეყნდება პირადი ცხოვრების კადრები, თავმოყვარეობა უნდა გეყოს, შენ თვითონ გააკეთო განცხადება. იმ ადამიანებს, რომლებიც გიცავენ, უთხრა, რომ ისინი იცავენ უზნეობას და შენ თვითონ უნდა აღიარო, რომ ხარ ცოდვილი და ეს ცოდვა საზოგადოებას არ უნდა მოახვიო თავს, არ უნდა აძებნინო რომელიღაც ჯგუფს ან პარტიის წარმომადგენლებს ამაში გამართლება, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ გამყოფი ხაზი გადის ზნეობასა და უზნეობას შორის, საქართველოს მომავალი წავა ან ზნეობისკენ, ან უზნეობისკენ. პირადი ცხოვრებაა დანაშაულიც, პირადი ცხოვრებაა ქურდობაც და ავირჩიოთ ის, ვინც ქურდობს, ხალხის რჩეული გავხადოთ ის. ნარკოტიკიც პირადი ცხოვრების დამახასიათებელია, გავხადოთ ისინიც ხალხის რჩეულები.

**— როცა ეს ადამიანები თანამდებობაზე ინიშნებოდნენ, მათ წარადგენდნენ როგორც ზნეობრივ, მორალურად სწორად მოაზროვნე კადრებად... თუ დანიშვნისას, არჩევისას საჭიროა, რომ კანდიდატს ჰქონდეს მოწესრიგებული პირადი ცხოვრება, ამის დაცვა მას შემდგომში, თანამდებობაზე ყოფნის დროს აღარ უნდა ევალებოდეს?**



— მეტსაც გეტყვით, საარჩევნო კამპანიის დროს პოლიტიკოსი უნდა იყოს ხალხთან გულწრფელი, მათ შორის პირადი ცხოვრებაც გულწრფელად უნდა აღიაროს, არავინ ეკითხება მას საპირფარეშოში რას აკეთებს და რამდენჯერ, მაგრამ არის საკითხები, რომელზედაც საზოგადოებამ უნდა იცოდეს, სანამ ამა თუ იმ კანდიდატს აირჩევს.

წარმოიდგინეთ ახლა, რომ დეპუტატი, ხალხის რჩეული მოხვედი და მომატყუე, რომ შენ პირადი ცხოვრება გაქვს ანგელოზური, დალაგებული და შემდეგ შენ გამოგიჩნდება, რომ შენი პირადი ცხოვრება ყოფილა უზნეო — შენ ხომ ამით შეურაცხყოფა მომაყენე, გამაბრიყვე, ლაფი დამასხი, შენ გაგხადე ჩემი სახე, ჩემი ქვეყნის სახე და შენ ღალატობ შენ თავს, შენს ოჯახს, შენს შვილებს და ახლა მეუბნები, ესაა არჩევანი საქართველოსიო, ახლა მეუბნები — შენ ეს უნდა დაიცვაო, ამ ქვეყნის პრეზიდენტი, პირველი პირი, რომელიც უნდა იყოს ზნეობის მაგალითი, რომელიც უნდა იყოს სახე საერთაშორისო არენაზე, სახე ქართული კულტურის, სახე ზნეობის, აი ეს კაცი ჩადგა ამ რიგში, მეტიც, ამ უზნეოთა ბანაკის მეთაური გახდა, იმიტომ რომ სხვა მეთაურობა მან ვერ გამოიჩინა, სხვა მთავარსარდლობა მან ვერ მოირგო.

**— მდიდარი სექსი — მოიაზრებს ალბათ პარტნიორების ხშირ ცვლას? ყოველ შემთხვევაში, მე ასე მესმის, და ფაცებოოკ-ზე სტატუსებიდან, როგორც ჩანს, მოსახლეობამაც ასე გაიგო...**

— პრეზიდენტი ამ გამოსვლით ახალისებს და იცავს გარყვნილ ცხოვრებას. ნებისმიერ ნორმალურ სახელმწიფოში მსგავსი რამ რომ ეთქვა პრეზიდენტს, მეორე დღეს ის აღარ იქნებოდა პოსტზე. შეიძლება უზნეო ადამიანების, უზნეო ქცევების დასაცავად გამოდიოდეს პრეზიდენტი? რომ ეთქვა ჯანსაღიო, კიდევ ვიფიქრებდი, ღმერთმა შეარგოს თქო. საერთოდ, ვინც ამ დღეებში გამოვიდა, არც ერთს არ უთქვამს ჯანსაღი სექსი მაქვსო, იმიტომ რომ, არ უნდათ ამის თქმა, არა, უნდათ, როცა მოესურვებათ, ვისთანაც და როგორარადაც, ისეთი ჰქონდეთ... ეს ახალი სექტაა, რომელიც ურტყამს, პირველ რიგში, ოჯახს და შემდეგ სახელმწიფოებრიობას. პრეზიდენტს, საჯარო მოხელეს, პოლიტიკოსს, აქვს ვალდებულბები ხალხის და ქვეყნის წინაშე და ეს ვალდებულებები უნდა იყოს მოქცეული ეროვნულ ჩარჩოებში და ფასეულობებში. თუ შენ იმ ფასეულობებს არღვევ და ლეგიტიმურობას ცდილობ უზნეობის, მაშინ გამოდის, მე შენ მომატყუე არჩევანში.

ჩვენ ვართ ტრადიციული, კავკასიური ქვეყანა. ტყუილად გვახვევენ თავს ევროპული ქვეყანა ვართო. ჯერ გეოგრაფიულადაც არა ვართ ევროპა. ჩვენ ვართ კავკასიის ნაწილი, ვართ კავკასიელი იბერები, რაც საკმარისია, რომ ჩვენი სახელი გვერქვას. ევროპასთან ურთიერთობა და ასოცირება ჩვენთვის გამოცდილება და სიბრძე იქნება, მაგრამ ის, რომ ამ უზნეო ქცევას ვიღაცას მიაწერენ, რომ ეს არის დასავლური ფასეულობები — ეს არის აბსურდი, ასეთი საქციელი დასავლეთშიც არ მოსწონთ. ნებისმიერ ამერიკელ ან დასავლურ პოლიტიკოსს, რომელსაც უპოვიან რაიმე ხინჯს პირად ცხოვრებაში, რაც დასაგმობია, საზოგადოებისათვის, მას ხსნიან არჩევნებისან. ის თავის თავს იხსნის, იმიტომ რომ იცის, რომ მაინც არ აირჩევენ. დემოკრატია არის ურთიერთობა ამომრჩეველსა და ასარჩევს შორის და პირველი პირობა არის რომ არ უნდა მომატყუო მე, ამომრჩეველი. საზღვარგარეთ თუ პიროვნება არის გეი — ამბობს, რომ გეია. არ მალავს პირად ცხოვრებას და ხალხი არჩევანს აკეთებს. შენ აქ მალავ რაღაცებს, თქვი, რომ გყავს საყვარელი — მერე ან აგირჩევ ან არა, თქვი, რომ გიყვარს ორალური სექსი — ან აგირჩევ, ან არა. ტყუილებით მოდიხარ ესე იგი. ყველა სახელმწიფოშია ფარული ჩანაწერები, მიყურადება, კონტროლი, სახელმწიფო კონტროლი, ოღონდ ეს სჭირდებათ იმისათვის, რომ სახელმწიფო თანამდებობის პირი ვერ გახდეს არასწორ რაღაც-რაღაცებში მხილებული ადამიანი. ფარული იმიტომ ჰქვია, რომ ინახება კარტოთეკებში. მარტო ამ ქალბატონის ჩანაწერი არსებობს? უამრავი ჩანაწერი ინახება კიდევ. „ნაცმოძრაობამ“ ცხოვრების წესად აქცია ფარული კადრებით მანიპულირება ადამიანებზე და მათი მართვა. ვისზეც კომპრომატი აქვთ, მათ არ ეუბნებიან, შენ გეკრძალება, შენ ვერ მოხვალ ხელისუფლებაში, არა პირიქით, ზუსტად ასეთი ადამიანები მოჰყავდათ ხელისუფლებაში, რადგან ისინი ადვილად იქნებოდნენ მართულნი...

**— ეს მაინც „ნაცმოძრაობის“ კიდევ ერთი მემკვიდრეობითი სენია — თავისუფალი ურთიერთობები, თანაგუნდელების ცოლებთან საყვარლობა, თანაგუნდელების საყვარლების ცოლად მოყვანა და ა.შ.**

— მე მაგალთად ხაზგასმისთ მინდა ვთქვა, ვერ დაიკვეხნის მარგველაშვილი სექსის სიმდიდრეს ისეთს, სააკაშვილს რომ ჰქონდა, მაგრამ სააკაშვილსაც არასოდეს უთქვამს ასე პირდაპირ — მე სექსი მაქვსო... ახალ იდეოლოგიას ქმნიან ესენი პრეზიდენტის მეთაურობით? შეიტანონ მაშინ პარლამენტში კანონპროექტი, როცა პატრული ნახავს მოსიყვარულე წყვილს მანქანაში თუ ბუჩქებში — ნუღარ დააჯარიმებს — თუ ეს მისაღებია, დაშვებულია, ლეგიტიმურია, მაშინ სახელმწიფო რატომ აჯარიმებს ამ „მდიდრული სექსით“ გართულ ადამიანებს?

**თამო კეშელავა**
555 46 08 04



# როდის გაეხსნება გონება და როდის იტყვის სიმართლეს ნაწილ-ნაწილ ამეტყველებული „ოქროს მოწმე“ – ირაკლი ოქრუაშვილი?

**ვინ იფიქრებდა, რომ სააკაშვილის დროინდელი შსს მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, გენ. პროკურორი და ორიოდ ტელევიზიის მეწილე, ციხეში აღიარება გაკეთებული და შემდეგ ქვეყნიდან უპრობლემოდ წასული, აწ უკვე „ოპოზიციონერად“ მონათლული ოქროს მოწმე, ირაკლი ოქრუაშვილი არათუ ჩამოვიდოდა, არამედ მეტად საგულისხმო, მრავლისმთქმელ განცხადებებს გააკეთებდა?**

დიახ, ჩამოვიდა კიდეც და „გორის მაზრაში“ გამწესებასაც უპირებენო – დააანონსა მედიამ! არც თვითონ უარუყვია – „ჩემზე კარგი მრჩეველი ვინ ეყოლებათო?“ – დაიმდაბლა თავი და უფრო მეტი მარგალიტიც მიმოაფრქვია „მავანთა“ გასაგონად, ვინც არამხოლოდ ვიდეო-კადრებში ვიხილეთ შიშვლები, არამედ მათი მისამართითაც, ვისაც ჰგონია, რომ შემოსილია და სინამდვილეში კი გახდილია!

„მეგის ფიქჩერ პროდაქშენ“ – ასე ხუმრობენ ხალხში, სამეგრელოს ტყეებში აღმოჩენილი „კასრების ვიდეოინდუსტრიის“ შესახებ, მაგრამ იგივე ოქრუაშვილიც რომ მონაწილეა ამ ყველაფრის – ერთეულებსღა ახსოვთ! არაერთეულები ხმამაღლა ამბობენ, თორემ ხსომებით ყველას ახსოვს, მაგრამ ვის აინტერესებს მათი აზრი საჯაროდ გატელევიზორებული?

მოკლედ, ოქრომ – ოქროს „სუნდუკს“ თავი აჰხადა და დაინახა, რომ წარსულში გერმანიის ელჩის, ხოლო შემდგომ კი 2012 წლიდან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის ძმა, ნარკოტიკებთან არამხოლოდ მეგობრობდა, არამედ თურმე მის რეალიზაციასაც ახდენდა და მთელი ვერა-ვაკე მისი გაყიდული წამლით ყოფილა გაჯერებული!

კი, ბატონო, ჩვენც ვიცოდით ეგ ამბავი, მაგრამ იმასაც ხომ გააჩნია ვინ იტყვის და როგორ, რა დროს იტყვის ამას?

„ოქროს ბიჭი“ იმასაც ამბობს ფანჯიკიძის ძმის „წამალს“ თაობა ემსხვერპლა და მოიწამლაო, მაგრამ – თავის წილ დანაშაულს იმთავითვე გამორიცხავს და ხელს მხოლოდ რეჟიმისკენ ანუ იმ სააკაშვილ-მერაბიშვილ-ადეიშვილისკენ იშვერს, „სამი მუშკეტერივით“ ერთი რომ აკლდათ და დაიმატეს დარტანიანის სახით!

დიახ, ოთხნი იყვნენ, ოთხი სისხლისმსმელი და ცივსისხლიანი სადისტი.

დავუბრუნდეთ თემას – ნარკოტიკების რელიზაციას ფანჯიკიძის ძმის მხრიდან... ამ ფაქტს ბევრი ადასტურებს, ვინც ვერა-ვაკეში ცხოვრობს, მაგრამ როგორ დავიჯერო შსს ყოფილმა მინისტრმა, ასევე ყოფილმა გენპროკურორმა არ იცოდეს, კიდევ ვისი ხათრით შეიძლებოდა ეპატიებინათ ფანჯიკიძეებისათვის ესოდენ დიდი დანაშაული, რომელიც სამუდამო პატიმრობას გულისხმობს?

ვიდრე „ოქრო“ ამოაქარვებს სათქმელს, მოდით, მე ვიტყვი იმას, რასაც ასე საგულდაგულოდ მალავს, როგორც ოქრუაშვილი, ისე ბევრი ხელისუფლებაში მყოფი!

საქმე იმაში გახლავთ, რომ **ნარკოტიკების რეალიზაციაში ოქრუაშვილის მიერ მხილებული ფანჯიკიძე – სიძე გახლავთ დღევანდელი პრეზიდენტისა, ანუ მრავალფეროვანი სექსით დაკავებული გიორგი მარგველაშვილისა!** მარგველაშვილის ალალი დეიდაშვილი, გვარად ბაგრატიონი, ჰყავს ცოლად გურამ ფანჯიკიძის ვაჟს და ეს ამბავი ნახევარმა ვერა-ვაკემ ზეპირად იცის!!!

აბა, რა გეგონათ – სხვისი დარდი ჰქონდა მარგველას, როცა გამოდგა და სექსმუშაკივით დაგვმოძღვრა, არავისი საქმე არ არის ჩვენი პირადი ცხოვრებაო?!!

ერთი ანეგდოტივით მოარული ამბავი გამახსენა მარგველაშვილის და მისი დამქაშების ვიშ-ვიშმა და ახლავე მოგიყვებით... (შეიძლება თქვენც გსმენიათ)

მოკლედ, „კგბ“-ეს ერთი მომავალი, არცთუ ძალიან ნიჭიერი ქალი ჰყავდა მომღერლად მოსანათლი და იმდენი „იჩალიჩეს“, რომ დღეს მის ვარსკვლავობაში ეჭვი აღარავის ეპარება! იმ პერიოდში კი, ისეთი ბუმი იყო კარგი და ძლიერი ხმების თვალსაზრისით, რომ იმავე „კგბ“-მ სხვა რომ ვეღარაფერი მოიფიქრა, ამ ნიჭიერი ქალების „ბოზებად“ შერაცხა დაავალა ხმების გავრცელების სამსახურს... მათ შორის, ქმრიანი მომღერლებისაც...

ასეა დღესაც... რიგითი ადამიანების მხრიდან ღალატი ბოზობაა, ხოლო „კგბ“ ნომენკლატურის მიერ განხორციელებული მიუღებელი ქმედება „პირადი ცხოვრების“ ინდულგენციაა!!!

**ისე... ველოდები, იგივე ირაკლი ოქრუაშვილი რას იტყვის თავის კოლეგა მინისტრის ოჯახზე და ამ შემთხვევაში ვგულისხმობ თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელს, რომლის ალალი ძმაც, სააკაშვილის რეჟიმის დროს – შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსი გახლდათ?**

ვერაფრით დავიჯერებ, რომ ოქრუაშვილმა თუნდაც ის არ იცოდეს, რის გამო გაანთავისუფლეს თინას ძმა სამსახურიდან და რა ბედი ეწია მას სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ?

თუკი მხოლოდ ფანჯიკიძის მისამართით სტყორცნა ისრები ყოფილმა გენ-პროკურორმა, ყოფილმა შსს და თავდაცვის მინისტრმა – „რესპუბლიკელებისთვის“ რატომ ვერ გაიმეტა თუნდაც ერთი ასეთი „მოგონება?“

იქნებ იმიტომ, რომ „რესპუბლიკელები“ ხელშეუხებლები არიან და მათ ყველაფერი ეპატიებათ?

ვიდრე ოქრუაშვილი, თინა ხიდაშელის ძმაზე „სიტყვას ფასს დაადებს“ მოკლედ და ფაქტებზე დაყრდნობით, ასევე მისი ყოფილი თანამშრომლების მოყოლილ კონკრეტულ ისტორიებს მოგახსენებთ, ძვირფასო მკითხველო და შემდეგ დასკვნები თავად გააკეთეთ, ეს ვითომცდა „დემოკრატი“, „რჩეული რესპუბლიკელების“ პარტია, „მედასავლეთე და ლიბერალური იდეებით“ გაჯერებული „სტუკაჩების“ ერთობა – როგორ ებრძოდა შევარდნაძის, ხოლო მოგვიანებით სააკაშვილის რეჟიმს! აღარაფერს ვიტყვი გამსახურდიას ხელისუფლების დროს რა მეთოდებს მიმართავდნენ მშობლიური „კგბ“-ს გულის მოსაგებად და საამებლად!



როგორც უკვე მოგახსენეთ, დღევანდელი თავდაცვის მინისტრის ალალი ძმა – სააკაშვილის ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურის, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენ-ინსპექციის ნარკომანიასთან ბრძოლის სამსახურის უფროსად მუშაობდა! იმ პერიოდში – თანამშრომელ ნარკომანებზე და ზოგადად ნარკომანიასთან ბრძოლის თვალსაზრისით ბევრ თანამშრომელს სამსახურს მარტივი წესით ატოვებინებდნენ – შარდის ანალიზის ჩაბარება ყოველ 3 თვეში სავალდებულო იყო! მაგრამ, თუკი ტესტის დადებითი პასუხი, ანუ ნარკოტიკების მოხმარება იმას დაუმტკიცდებოდა, ვინც ან შიგნით, ან გარეთ (მოთვალთვალედ, ანუ აგენტად) დასჭირდებოდათ, ზოგ შემთხვევაში ტოვებდნენ სამსახურში და ზოგ შემთხვევაშიც ათავისუფლებდნენ ყოველგვარი სასჯელის გარეშე!!! ე. ი. თუკი „პატრონიანი“ ან „ნაცების“ მოკავშირე ნარკომანი ან რეალიზატორი თანამშრომელი გამოვლინდებოდა – კანონი მიღმა რჩებოდა და რჩებოდა გარკვეული სახის ინტერესები!

ასე ჩააბარა თინა ხიდაშელის ძმამაც (როგორც სამსახურის უფროსმა) რიგითი შემოწმების დროს შარდის ანალიზი და ლაბორატორიულად დაუდასტურდა, რომ ნარკომანი იყო! თუ მის ყოფილ თანამშრომლებს დავეყრდნობით, იგი ოპერატიული „მოხმარების წამალსაც“ იპარავდა და რეალიზაციას უკეთებდა! ციხეს კი გადაურჩა მხოლოდ ერთადერთი მიზეზით – ალალი დაც და სიძეც სააკაშვილის უახლოესი მეგობრები იყვნენ!

აბა, როგორია, ჰა? ნარკომანიასთან ბრძოლის სამსახურის უფროსი ნარკოტიკებსაც მოიხმარდა, ოპერატიულ „წამალს“ ტეხავდა და ყიდდა? აბა, სხვა ყოფილიყო, ვინმე „უპატრონო“ და მართლაც ურჩი ოპოზიციონერის ოჯახის წევრი, რა დღეში ჩააგდებდა სააკა?!!

ვიდრე ოქრუაშვილი იტყვის, მინდა ვთხოვო და შევახსენო კიდევ ერთი ისტორია იმავე „რესპუბლიკელების“ მოღვაწეობიდან და ვკითხო: ბატონო ოქრუაშვილო, იქნებ თქვენ მდიდარ „ოქროს“ ინფორმაციებში მოძებნოთ და გააჟღეროთ – რა დანაშაულისთვის იხდიდა სასჯელს „რესპუბლიკელი“ **დავით ზურაბიშვილი** და მისი ბიოგრაფიის „შავი ლაქა“ რა მანქანით ამოიშალა ოფიციალურ მონაცემთა ბაზაში?!

იქნებ ზურაბიშვილის შემთხვევაშიც ნარკოტიკები ფიგურირებდა, გვითხარით, ბატონო და გვეცოდინება მაინც, რომ ნარკომანების, ბარიგების პარტია ყოფილა დამსმენების პარტიის პარალელურად და გავუშვებთ იქ, სადაც დიდი ხანია ელოდებიან და სადაც 0000,1 გრ გამო დღესაც იხდიან სასჯელს ის ადამიანები, ვინც „ცნობილი სახეების“ მიერ გაყიდული წამლის ან მომხმარებლები იყვნენ, ანდა ბარიგების სახლიდან საკუთარ სახლამდე ნარკოტიკის გადამტანები!!!

იქნებ, ის უცნობილესი ოჯახებიც ჩამოასახელოთ, ბატონო ირაკლი, ვინც დღესაც ამ საქმიანობით არის დაკავებული და ვისზეც ხალხი ამბობს – ზღვისპირეთში აგარაკები ვანოს მარჯვენა ხელის ბიჭებმა ამ საქმიანობის გამო აუშენესო?!!

მოსაყოლის მეტი რა გვაქვს, დალოცვილო, გადარჩევით კი ნუ ჰყვები, მისხალ-მისხალ მოყევი და შენი წილი ჩადენილი დანაშაულებიც არ დაივიწყო, კარგი?!!

**ირინე გოგოსაშვილი**
555 25 43 35





# „კაგებეშნიკების“ დინასტია გრძელდება – საქართველოს თავზე კვლავ ნამგალი და ურო ჰკიდია

**გასული საუკუნის 80-იან წლებში ერთმა თბილისელმა და ზედმეტად მოკრძალებულმა კაცმა, ჭეშმარიტად ინტელიგენტი ოჯახის შვილმა და, უბრალოდ, თბილისის კოლორიტმა, რეჟისორმა დიმა ბათიაშვილმა ფილმი გადაიღო სახელწოდებით „არასერიოზული კაცი“... ფილმის მთავარი გმირი კი ზედმიწევნით განათლებული, ინტელექტუალი ნიკოა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ გამორჩეული იყო უბნელებსა თუ თანატოლებში, უსამართლობის და ბედის მუხანათობით საგიჟეთში მოხვდება... გაგახსენდათ, ხომ?**



— აი, ჩვენ უკვე დავამთავრეთ თქვენი მკურნალობა და ახლა თქვენი ჯერია, არ უნდა ინერვიულოთ, ეცადეთ იმ მეგობრებს მოერიდოთ, ვინც თქვენს ჯანმრთელობას არად დაგიდევთ, ალკოჰოლზე და სიგარეტზე უარი უნდა თქვათ, მპირდებით? — ეუბნება ნიკოს მკურნალი ექიმი და თან მის სამედიცინო ანკეტას დასცქერის... თქვენ რამდენიმე ენა გცოდნიათ, მართალია ეს?

— დიახ, ვიცი გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული, ცოტა ესპანური, — პასუხობს ნიკო და უხერხულად იშმუშნება.

— მერე, დაიწყეთ სადმე მუშაობა, განა ასე ძნელია სამსახურის პოვნა? — ჭკუას არიგებს ექიმი...

— ეჰ, რა ვიცი, სანამ აქ მოვხვდებოდი, ვეცადე, მაგრამ ეტყობა, ჯერ ჩემთვის ვერ მოიცალეს...

ამ შესანიშნავი და ძალიან ღრმა ტრაგედიის მატარებელი ფილმის მთავარი გმირი ის რიგითი ქართველია, რომელიც მართალია, სკოლაში, ინსტიტუტში, უბანსა თუ სამეგობროში გამორჩეულად ნიჭიერია, მაგრამ არ აქვს ყველა დროში საჭირო მთავარი რამ — არ ჰყავს გავლენიანი მშობლები და ნათესავები., ვერ იტანს უსამართლობას, მლიქვნელები სძულს და მეტიც, მუდმივად იმეორებს „სულ ასე ხომ არ იქნება? ერთხელ ჩვენც ხომ გადმოგვხედავენ მოწყალე თვალითო? ანუ, ნიკოც იმ დროშია დაბადებული, როდესაც „კაცის კაცების“ ეპოქაა, როდესაც ნიჭიერება უნიჭობით არის ჩანაცვლებული, როდესაც პატიოსნებას უწესობა ამარცხებს, მეგობრობას ჯიბის მეგობრობა და ზოგადად, ფილმი ისე მთავრდება, რომ ნიკოს მხოლოდ ერთადერთი პატიოსანი ინტელიგენტი ნაცნობი პედაგოგი ეხმარება, რომელიც რაიონში გერმანულის მასწავლებლის ადგილს იშოვის მისთვის...

რატომ ხდება ასე? აი, კითხვა, რომელიც ნებისმიერ ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს უჩნდება ფილმის ყურებისას თუ მუსი დამთავრების შემდეგ...

არადა, პასუხი მარტივია — ნიკოსნაირ რიგით ადამიანებს „კვაჭი“ მამიკო-დედიკო, ბიძია-ბაბუა და მამიდა-ბიცოლა რომ ჰყოლოდა, კარიერულ მწვერვალებს უცბად დაიპყრობდაო!

დიახ, რომ ჰყოლოდა.

„პატრონიანი“ არსებები, ამ მხრივ დაცულნი არიან, რადგან მათზე დიდი ხნის წინ იზრუნეს მამებმა ან დედებმა, ბაბუა-ბებიებმა, ბიძებმა და ოჯახის მეგობარმა ბიძებმა, რომლებსაც შავი ტყავის „პლაშჩები“, შავი ხრომის „ჩექმები“ და სამხრეებიანი სამოსი ჰქონდათ! ასეთები თვალისდაუხამხამებლად ხვრეტდნენ იმ ეშელონებს, რომლებშიც საქართველოს ჭეშმარიტი პატრიოტები საქონელივით დაყრილი ჰყავდათ. ვიღაცის მამა ჯალათი იყო და ისე, რომ ხელი არ უკანკალდებოდა, მაუზერით შუბლს უხვრეტდა მიხეილ ჯავახიშვილს, პაოლოს, ტიციანს... ვიღაცის ბაბუა ევგენი მიქელაძეს ყურებში სადირიჟორო ჯოხს უყრიდა და უყვიროდა „ახლა ხომ კარგად გესმის შენი მუსიკაო?“ ვიღაცის დედა — ერის ნაღები შვილების მეგობარი, ცოხტა ხანში იმიტომ, რომ თვითონაც გადარჩეს და მისი ოჯახიც — თავის მეგობრებს დაასმენს და შემდეგ, მოგვიანებით, იტყვის: „სხვა გზა არ დამიტოვეს, ოჯახს ამომიწყვეტდნენო!“

ბინები, აგარაკები, მანქანები, პრივილეგიები ყველგან და ყველაფერში, აი, მაშინდელი და დღევანდელი ინდულგენციები მათთვის, ვისთვისაც პირადი კეთილდღეობა ყველაფერზე მაღლა დგას და ვისთვისაც სამშობლო, მისი მომავალი — არაფერია!!! მათი კეთილდღეობა ხომ ყოველთვის, შუბლის ძარღვის გარეშე აღწევდა იმას, რასაც „ძარღვგაწყვეტილი“ ვერასოდეს შესწვდებოდა?

სისტემა, რომელიც ბოლშევიკებმა შექმნეს, ზედმიწევნით მიესადაგება მათივე შექმნილ საბჭოთა სიმბოლოს — ნამგალსა და უროს, რადგან ნამგლით (რომელიც ვითომდა მშრომელი გლეხის სიმბოლო იყო) მათ ჭრიდნენ ვინც წინ აღუდგებოდათ, ხოლო უროთი — ისე ჩასცემდნენ, ისე ღრმად ჩაფლავდნენ მიწაში, რომ მათ საფლავს ვეღარავინ მიაკვლევდა! ათასობით მაგალითია ამის დასტური, გვსმენია, წაგვიკითხავს და დოკუმენტური კინოკადრებით გვიხილავს კიდეც!!!

ბოლშევიკების სისხლიანმა რეჟიმმა, მოგვიანებით იმათთვისაც თავისივე ჯალათების, დამსმენების თუ პარტიული ამხანაგებისთვის მოიცალა და როგორც მოღალატეები, ზოგი დახვრიტა და ზოგიც ციმბირის მოუსავლეთში „მიავლინა“.

„ხალხის მტრები“ დაარქვა განადგურებულ ერის გონსასც და მათაც, ვინც მართლა ხალხის სისხლში ცურავდა!

რასაკვირველია, „ხალხის მტრებს“ — ორივე მიმართულებით, ერის მოღალატე სისხლისმსმელ ჯალათსაც და გულმხურვალე პატრიოტსაც დარჩათ შთამომავლობა, ჰოდა, მშობელ პარტიას მათზე ხომ უნდა ეზრუნა? იზრუნა კიდეც, აცმევდა, აჭმევდა, ასწავლიდა და მათ შორის, სხვადასხვა ნიჭით დაჯილდოებულებს საშუალება მისცა ეწერათ, დაეხატათ, გადაეღოთ კინო, დაუფლებოდნენ მეცნიერების სხვადასხვა დარგებს, ოღონდაც ერთი პირობით — თუკი „ხალხის მტრის“ შვილები მათ (ბოლშევიკ-კომუნისტებს) „სიკეთეს“ არ დაუვიწყებდნენ და საკუთარი პროფესიის პარალელურად „სამშობლოს ინტერესებსაც“ არ დაივიწყებდნენ! „სამშობლოს ინტერესი“ კი იმაში გამოიხატებოდა, რომ ახალი „ხალხის მტერი“ არ მომრავლებულიყო და თუკი ასეთები გამოჩნდებოდნენ, დაესმინათ იქ, სადაც ცოტა ხნის წინ მათი მშობლები დაასმინეს, ანუ შინსახკომის სახელშეცვლილ უწყება „კგბ“-ში! (კომიტეტ გოსუდარსტვენნოი ბეზოპასნიოსტი) სამაგიეროდ, ყოველ ასეთ დასმენაზე, თავის მხრივ, „კგბ“ დამსახურებისა და ინფორმაციის ხარისხის მიხედვით, მარჯვნივ თუ მარცხნივ „უშურველად“, გასცემდა რეკომენდაციას, რათა ასეთები კმაყოფილები ყოფილიყვნენ და უფრო დიდი მონდომება გამოეჩინათ!



არ არის ახალი ის ამბავი, რომ „კგბ“ არა მხოლოდ გადაბირებულ, მათივე დამსმენებს ევლებოდა თავს, არამედ მათ შვილებსა თუ შვილიშვილებსაც, ანუ, „დინასტიური“ მიდგომა ჰქონდა ამ კუთხით და რაღა შორს წავიდე, ამის დემონსტრირებას ერთი უმნიშვნელო მაგალითითაც შევძლებ... ცნობილი დედ-მამის შვილი, პროფესიით მხატვარი ერთ მშვენიერ დღეს „სუკში“ (კგბ სახელმონაცვლე) ეროვნული უშიშროების სამსახურში დაიბარეს და უთხრეს (90-იან წლებში): ძმაო, ხომ ხედავ, შენი მშობლები დაბერდნენ. დამსხურებული, ცნობილი ადამიანები არიან, არადა, ვიცით, რომ სახლში ლუკმა-პურის ფული არ გაქვთ... მოდი ჩვენთან, ითანამშრომლე და ასეთი პრობლემები აღარ გექნებაო, — შესთავაზა მთლად „უფროსმა“... „უი, როგორ გეკადრებათ, მე მხოლოდ ხატვა ვიცი, სხვა არაფერი, არა მგონია, რამეში გამოგადგეთო“, — უპასუხა მხატვარმა და ფეხზე ადგა წამოსასვლელად. „მომისმინეთ, თქვენ როგორ ფიქრობთ, აქ ტყუილად დაგიბარეთ? ჩვენი ინფორმატორები, ძირითადად, ცნობილი ოჯახები და მათი შვილებია, დაფიქრდით, რამდენ სიკეთეზე ამბობთ უარს, ახლა მიბრძანდით და ხვალ ან ზეგ თქვენი საბოლოო პასუხიც თქვენივე პირით მოგვახსენეთო“... „უფროსის“ კაბინეტიდან გამოსულ მხატვარს. იქვე მომლოდინე, ასევე ცნობილი ადამიანი დაუნახავს, მისალმებიან ერთმანეთს და უცბათ... მიტრიალდა მხატვარი, თითქოს რაღაც დარჩა, კაბიონეტში შევიდა და ეუბნება — „კი, ბატონო, თანახმა ვარ თანამშრომლობაზე, ოღონდ ის მითხარით, გარეთ რომ ადამიანი გელოდებათ, ის რა საქმეზე გყავთ დაბარებულიო? გასცინებია უფროსს... ეეჰ, ბატონო ჩემო, მაგ ადამიანმა ზვიად გამსახურდიას დამწვარი სახლიდან რაღაც ნივთები წამოიღო, ეს ერთი და მეორე ის, რომ დიდი ხანია, ჩვენთან თანამშრომლობს სხვადასხვა მიმართულებითო! — უპასუხია „ამხანაგ უფროსს“ მხატვრისთვის...

ხომ საინტერესოა, რა ბედი ეწია იმ მხატვარს და მის ოჯახს? მშობლები გარდაიცვალნენ და პატივით დაიკრძალნენ კიდეც იმიტომ, რომ ხალხისთვის საყვარელი მოღვაწეები იყვნენ, ხოლო მათი შვილი დღეს ერთ-ერთი სამინისტროს მინისტრის მოადგილე გახდა, სწორედ „ძლიერთა ამა ქვეყნისა“-ს წყალობით!!! ალბათ, გაინტერესებთ, საიდან ვიცი ეს ისტორია, ხომ? თავად აქვს მოყოლილი ჩემთვის ოღონდაც ერთი „უმნიშვნელო დეტალის“ გამოკლებით — „მივედი მესამე დღეს და ვუთხარი იმ ბოზ პოლკოვნიკს — სულ რომ მშივრები დავიხოცოთ, ამ სამარცხვინო თანამშრომლობაზე არასოდეს დაგთანხმდებითო!“ — ანუ, ჩემთან კარგ ბიჭად დარჩენა გადაწყვიტა, ხოლო „იქ“ პირიქით მოიქცა და კი არის ძალიან კმაყოფილი, იმდენად კმაყოფილი, რომ ამასწინათ იმ სამინისტროში მისულს, ფოიერში თვალი ამარიდა ვითომცდა არ მიცნობდა... მისი შვილიც „დაკვალიანებულია“ და იმიტომ, რომ მამაზე ბევრად ნიჭიერია, „თლა ზევით, ქვეყნის მოამაგეთა ამალაშია დამკვიდრებული“ მათი შთამომავლებიც ასევე იქნებიან და რა შეუშლით ხელს — ხალხის ხბოს



აღტაცება ასეთებთან მიმართებით თუ ბღავილი, „გვშია, გვცივა, ბავშვები გვეხოცება, სამშობლო გაიყიდა“ და ა. შ.?!!

გასული კვირა ამ გადმოსახედიდან, ერთობ დამუხტული იყო, რადგან ასევე გამორჩეული ოჯახის შვილის ერთობ პიკანტური ვიდეოჩანაწერის მხილველი გახდა საზოგადოება... ატყდა ვაი-უშველებელი, მითქმა-მოთქმა: ნეტავ, ლოგინში პარტნიორი მამაკაცი ვინრა იყოო? ეს ვიდეო ვინ გადაიღო, ძველმა თუ ახალმა ხელისუფლებამო? ვის აქვს უფლება პირადი ცხოვრების ხელყოფისაო? გვისმენენო, გვიღებენო, სულს გვხდიან და მორალურად გვანადგურებენო და ა.შ., მაგრამ არავის, არც ხელისუფლებას და არც მათივე ნაწილის, ანუ ე. წ. ოპოზიციის არც ერთ წარმომადგენელ დეპუტატსა თუ არასამთავრობოს არ უთქვამს მთავარი: კი, მაგრამ, ქვეყნის საგარეო უწყების ხელმძღვანელზე ასეთი შინაარსის კომპრომატი თუ არსებობდა, თავის დროზე ან ელჩად როგორ დაინიშნა, ანდა მოგვიანებით ერთ-ერთი წამყვანი სამინისტროს ხელმძღვანელობა როგორ ებოძაო?!



ამ რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ გაზეთში „კგბ“ ყოფილი მაღალჩინოსნის ანზორ მაისურაძის ერთგვარი აღსარება-ინტერვიუ წავიკითხე, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ მისი უწყება ამა თუ იმ სამსახურში კარგად „შემოწმებულ“ ადამიანებზე გასცემდა რეკომენდაციებს, რომ „კგბ“-ში არსებობდა სპეციალური განყოფილება, სადაც დედ-მამა, ბებია-ბაბუა თუ ბიცოლაც კი სანდო იყო „სახელმწიფოებრივად“ და რომ უპირატესობა დასანიშნ თანამდებობებზე მხოლოდ და, უპირატესად, ასეთი „დეტალურად შესწავლილი“ ოჯახის წევრებზე გაიცემოდა — რეკომენდაციის სახით!!!

ამ ყველაფრის შემდეგ ნეტავ, რა გიკვირთ, ხალხო? იქნებ კიდევ გიჩნდებათ რაიმე შეკითხვა ანდა კონტრშეკითხვა — როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეო? წერილის დასაწყისში, აკი, გაგახსენეთ ფილმის გმირი ნიკო, რომელიც გამორჩეულად ნიჭიერი და მცოდნე იყო, მაგრამ მამიკო და დედიკო არ ჰყავდა „კარგად შემოწმებული?“ აკი, ისიც გითხარით და გაგახსენეთ, რომ ნამგალი ნიკოსნაირების მოსაკვეთად აქციეს სიმბოლოდ და საბოლოო დასამარებისთვის კიდევ უროც გამზადებული ჰქონდათ? აბა, გაიხსენეთ, რამდენი გინახავთ თქვენს გვერდით ისეთი, ვინც ამდაგვარად გაანადგურეს? ისიც გაიხსენეთ, ვის აგზავნიდნენ უცხოეთში მიმავალ ანსამბლებსა თუ სამეცნიერო კონფერენციებზე, გამოფენებსა თუ ფესტივალებზე წარმოდგენილ მოღვაწეთა სათვალთვალოდ, „კგბს“ ყურად, თვალად და ხელად? ხომ ვიცით, ვინც იყვნენ და თუ გნებავთ, დღემდე არიან? ისიც ხომ გახსოვთ, რომ მოთვალთვალეები დიდი ნიჭიერებით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ „კგბ“ ზრუნავდა იმაზე, რომ ასეთები ხშირად დაესვათ ტელევიზიებში, რათა მაყურებლისთვის „ერისკაცებად“ და მოაზროვნეებად შეესაღებინათ, ხოლო დაუმორჩილებლებისათვის — „ლოთის“, „მოღალატის“, უნიჭოს იარლიყი მიეწებებინათ!

თუკი ადრე, რომელიღაც განყოფილებაში ერთი ფარატინა ქაღალდით, ხელმოწერით „ვთანამშრომლობ“, წყდებოდა ამა თუ იმ ინდივიდის მომავალი, ახლა, ტექნოლოგიური თვალსაზრისით დაიწვეწა და გამდიდრდა მიდგომები გადაბირებისა და თანამშრომლობის თვალსაზრისით, ჰოდა... სრულებითაც არ არის გასაკვირი ის, რომ უშიშროების სამსახურის „კასრები“, როგორც ნებაყოფლობითი სექსუალური კავშირით დაწყებული, ასევე წამებით მოპოვებული კომპრომატებით არის სავსე და ჩვენ რომ ჯერ კიდევ არ ვიცით — ასეთები რამდენი ექნებათ?

შთამომავლობითი თანამშრომლობა „კგბ“-სთან, ან თუ გნებავთ, „სუკ“-თან (რაც არსით ერთი და იგივეა) ამით არ შემოიფარგლება და საფუძველი სწორედ იმ სასწავლო დაწესებულებებში ეყრება, სკოლა და უმაღლესი სასწავლებლები რომ ჰქვია!

დააკვირდით, ვინ იყვნენ და დღეს სად, რომელ თანამდებობაზე არიან ყოფილი სტუდკავშირის ლიდერები? პრეზიდენტის მრჩევლები, მაღალი შემოსავლების მქონე სამსახურების ან უფროსები, ანდა პიარის უფროსები, ბანკების მმართველები, ხელშეუხებელი ბიზნესმენები და პარლამენტის თავმჯდომარეებიც ხომ არა? დიახ, ისინი არიან — ზოგი კომკავშირიდან, ზოგიც ე. წ. ეროვნული მტავრობიდან და ზოგიც ისეა, არ ჩანან, მაგრამ ყველგან არიან რამდენიმეპროცენტიან წილებში, ხან — ბანკში, ხან ბიზნესში, ხან მედიაში და ხანაც უჩინარი მრჩევლების სახით. სისტემური ნამგალი და უროს კონფიგურაცია რომ არ დაირღვეს და რაც მთავარია, არ გაწყდეს ის ჯაჭვი, რომელიც ასეთებს არა მხოლოდ საკუთარი სიმჭიდროვისთვის, არამედ ბოლშევიკური სისტემის დაურღვევლობისთვის აგრერიგად სჭირდებათ!

ამაზე დიდი მხილება, ვიდრე თუნდაც თოთო-ბარტყებად გადმოყრილი „სკანდალური ჩანაწერებია“, რაღა უნდა იყოს?! პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მოკალათებული „რჩეულები“ პანიკაში არიან და ძრწოლით ელოდებიან, მათ სიშიშვლეს როგორ და რა დოზით გამოჰფენს „იუთუბი“! აწყობენ დემონატრაციებს, გამოაქვთ პლაკატები: „ეს შენ გეხება“, „გაეთრიე ჩემი საძინებლიდან“, „პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია“ და ა. შ., მაგრამ ავიწყდებათ, რომ პირადი ცხოვრება იქ მთავრდება, როდესაც სახელმწიფო მოხელეები ხდებიან და ჩვენ მათ მსუყე ხელფას-პრემიებს იმიტომ არ ვუხდით, რომ სადაც გაეხარდებათ, ფეხები აიშვირონ, ვისთანაც გაეხარდებათ და სადაც გაეხარდებთ, იქ ჩაფრინდნენ და ჩვენს ხარჯზე „იგრიალონ“!

პარლამენტის თავმჯდომარეს რესპუბლიკური პარტიიდან, რასაკვირველია, აქვს პირადი ცხოვრება, მაშინაც ჰქონდა, პარტბილეთი რომ აიღო და 9 აპრილის ტრაგედიას „გლოვობდა“, მაგრამ, როგორც კი საჯარო მოხელე გახდა — მისი პირადი ცხოვრება გვერდზე უნდა გადაედო და ხმამაღლა უნდა ეთქვა, რომ — არა ორი, არამედ სამი შვილი ჰყავს და რომ მისი უფროსი ვაჟიშვილი დათო — სააკაშვილის კანცელარიაში მუშაობდა ისევე, როგორც მისი მამის რჩეული დედა გვარად არჩვაძე! უფრო მარტივად რომ ვთქვა — დავით უსუფაშვილის „ახალგაზრდობის შეცდომად“ (თავად ასე ამბობს) დაუჯდა შვილი, ასევე დავითი, რომელიც დღემდე დედის გვარზეა და მას დავით არჩვაძის სახელ-გვარი აქვს! რესპუბლიკური პარტიის დამაარსებლად, ამ საქმეში კარგად ჩახედული ადამიანები „კგბ“ ცნობილ მინისტრს, გენერალ ალექსი ინაურს მიაწერენ, მისივე დამსახურებით წაიწია წინ თიკუნად „დელფინის“ მატარებელმა ლევან ბერძენიშვილმა და აკი, „სამადლობელი ოდაც“ კი მიუძღვნა „მშობლიურ პარტიას“ ღრმად განსწავლულმა ინტელექტუალ-მთარგმნელმა?

რომელი პოლიტიკური პარტიების უკან ვინ დგას, რომელი უწყება, ყველამ ვიცით! ისიც ვიცით, როგორი მადა აქვთ მათ, ოღონდაც არა მხოლოდ „მშობელი კომპარტიისგან“ ბოძებული, არამედ ჩვენი, რიგითი ადამიანების მიმართ მუდმივად იგივეს ითხოვენ და ასგზის გვინახავს, თვითონ დანაყრებულები როგორ გვმოძღვრავდნენ — დაიშალეთ, პროვოკაციების მოწყობას გვიპირებენ და სისხლს ხომ არ დავღვრითო? არადა, რამდენჯერ დაღვარეს სისხლი, რამდენჯერ გადააბიჯეს „მათი წრის“ მიღმა დარჩენილ რიგით ადამიანებს და რამდენჯერ უვლიათ მიცვალებულების სხეულებზე?! დასაჯეს ვინმე? ერთი-ორი კვირა პატიმრობა და იმის ჯანი — გმირებად ბრუნდებოდნენ, ცრუ გმირებად, რომლებსაც კვლავაც მიჰყვებოდა ხალხი და ასეა დღემდე, ასე იქნება უსასრულოდ, ვიდრე მხოლოდ თვითონ, ჩვენს მიერ გამოკვებილი და ჩვეგნან აღლეტილი ფულებით უცხოეთში სასწავლებლად თუ საცხოვრებლად გაგზავნილი, მათი შვილები არ დარჩებიან მხოლოდ და ვიდრე მათივე ჩამოსხმული ნამგალით და უროთი არ მოგჭრიან და ჩაგვიტანენ ღრმა საფლავებში!



მილიონები იშოვეს სახეცვლილმა კომუნისტებმა, მათმა შვილებმა თუ შვილიშვილებმა, ამ „საშვილიშვილო პატრიოტიზმში“ მათ კვალდავალ მიდიოდნენ და დღემდე მიდიან „სტუკაჩების“ შთამომავლები, ჯალათების შთამომავლებთან ერთად, ე. წ. ინტელიგენცია, რომელსაც მათივე ბელადი ლენინი — „გოვნო“ (განავალი) უწოდებდა მშიერი ხომ არ დარჩებოდა და თანაც მაშინ, როდესაც ყველაფერი იყიდებოდა? ჰოდა, იყიდეს ყველაფერი — მიწები, კომერციული მომგებიანი ფართები, დააარსეს ბანკები, დაიწყეს ბიზნესი, რომელსაც ხელშეუხებლობის (გარანტიები იმავე „კგბ“ მისცა, შეიძინეს და კომერციულ შემოსავლად გახადეს ეკლესიებიც კი, და... დღეს ისე შემოგიყვირებენ, „ვის უბედავო?“ ისე გამოგამწყვდევენ გისოსებში, ისე გადაგიწვავენ სახლ-კარს, ისე გაგაძევებენ სამშობლოდან, შეიძლება, დაიჯერო კიდეც — ბიჭო, ესენი მართლა ერის კაცები ხომ არ არიან და ხელს ხომ არ ვუშლიო?

ცინიზმის პიკია ისიც, რომ ვინც ასეთებს სიმართლეს პირში მიახლით, მაშინვე „ციციკორედ!“ ნათლავენ და თვითონ ვირზე უკუღმა შესმულ, უდანაშაულო ტალახმიყრილ მარიტად მიიჩნევენ თავს, არადა, ხომ ყველამ ვიცით, რომ მათი ცხოვრების წესი ძალიან შორს დგას მარიტასგან? მდიდარი შეთეების და ოხროხინეების ქვეყანაში, ნუთუ ძნელია დაინახო ის, რომ ღარიბი და უპოვარი გედიები ან გალოთდნენ, ან გადაიხვეწნენ, ანდა სულაც ჩაკლეს ან თავი მოაკვლევინეს? ასე თუ გაგრძელდა, ჩაგვაძაღლებენ კი არა, იმას გაგვიკეთებენ, რაც გაეხარდებათ და როცა კი გაეხარდებათ!!! თითოეული რიგითი ქართველი დღეს ან სახლის გაყიდვის ან ქვეყნიდან გაქცევის რეჟიმშია! კერძო იპოთეკარების უკან კი ყველამ ვიცით, რომ პარლამენტარების, მინისტრების, „ბიზნესმენების“ და ათასი ჯურის ჩინოვნიკების დედები, დები, ცოლები, სიდედრები, ცოლისდები დგანან, მაგრამ რა? კანონები მიიღეს ისეთი, უეჭველად უბრალო მოკვდავია წაგებაში და ახალმონათლული „დემოკრატი“ გამსესხებელი კი — მართალი!

ასეა ნებისმიერ შემთხვევაში, და ნებისმიერი მიმართულებით, ოღონდ „ეს შენ გეხება“ სიმძაფრეს განსაკუთრებით მაშინ იძენს ხოლმე, როდესაც არჩევნები ახლოვდება და როდესაც მათივე სისტემის „იმედი ხვალის!“ ჰყავთ ხალხში გამოსაყვანი, როდესაც დიახ, „შენ გეხება“ მისი კარიერული აღმასვლა „არჩევნებით“ დაასაბუთო, როდესაც “შენ გეხება“ არჩეულის ტახტრევანზე დასმა და მისი მიტანა გარკვეულ სიმაღლეზე, მაგრამ იმ სიმაღლიდან შენ უკვე „არ გეხება“ აღარაფერი, არც კანონი და არც სამართალი, რადგან „საშუალება“ იყავი მხოლოდ და საშუალებადვე დარჩები თუ შენს თავს თვითონვე არ უშველე!!!

ბოლოს და ბოლოს პრეზერვატივიც ხომ „საშუალებაა“, რომელსაც მოიხმარენ და შემდეგ სანაგვეში მოისვრიან?

დღეს პოზიცია-ოპოზიციაში, უმრავლეს და უდიდეს შემთხვევაში (ერთეული გამონაკლისების გარდა) წარსულში გადაბირებულების „იმედი ხვალის“-ანი არიან, ჰოდა, „ნამგალი და უროც“ მათ ხელშია, პარტიული ბილეთებიც და კომპრომატებით „დაკასრებული“ ბიოგრაფიებიც!!! ამიტომაცაა, პრეზიდენტიდან დაწყებული, ასე ურცხვად რომ გაჰყვირიან „ნამგალი და ურო“-ო და ისიც მრავალფეროვანი შესრულებითო...

**ირინე გოგოსაშვილი**
555 254 335

# რატომაა აუცილებელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება?



**ქვეყნის მთავარ უნივერსიტეტში განვითარებულ პროცესებზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის ყოფილი დეკანი, უნივერსიტეტის მრჩეველთა საბჭოს წევრი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯემალ მებონია გვესაუბრა:**

– მოგეხსენებათ, განათლების სისტემა ცოცხალი და მგრძნობიარე ორგანიზმია და გამუდმებით ცვლილებებს საჭიროებს, ამიტომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის სიახლეების და ცვლილებების რეჟიმში ცხოვრობდა. ჯერ კიდევ 90-იან წლებში შეიცვალა ფაკულტეტების საბჭოების ფორმირებების წესი, მისაღები გამოცდების პროგრამა ფიზიკაში და ასპირანტურაში მიღების წესი. 1992 წელს ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი გახლდით. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ინგრეოდა, მოვახერხეთ და ორსაფეხურიანი სწავლების პრინციპზე გადავედით, თუმცა უმნიშვნელოვანესი ცვლილება, რომელიც მისაღებ გამოცდებს ეხებოდა, განუხორციელებელი დარჩა. ეს ის პერიოდია, როცა საუბრობენ უნივერსიტეტში გამეფებულ მექრთამეობასა და კორუფციაზე. შესაძლოა, ცალკეული ფაქტები მართლაც იყო, თუმცა ამას მასიური ხასიათი არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, ჩვენ გავაკეთეთ ის მოდელი, რომლის შექმნასაც ახლა ცდილობენ და ეს იყო ორსაფეხურიანი მისაღები გამოცდა. გვინდოდა, რომ სკოლაში ყველა საგნის ჩაბარების შემდეგ ახალგაზრდებს საგნები სპეციალობების და ფაკულტეტების მიხედვით ჩაებარებინათ. ინიციატივას ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა, მაგრამ მოწინააღმდეგეებიც გამოჩნდნენ. ამ ხალხს გარკვეული კავშირები ჰქონდა ხელისუფლებასთან, რომელსაც მიზეზთა გამო, გამოცდების ასეთი მოდელი არ აწყობდა და ჩვენი ინიციატივა „ჩავარდა". მოგვიანებით, ხელისუფლებაში მოსულმა „ნაციონალურმა მოძრაობამ" კორუფციასთან ბრძოლა მოიმიზეზა და უნივერსიტეტს ღიად დაუპირისპირდა- ყველა ეროვნული საკითხი უნივერსიტეტიდან იწყებოდა და ამის დანგრევა იყო საჭირო".

პროფესორი იხსენებს 2004 წლის 21 დეკემბერს მიღებულ კანონს უმაღლესი განათლების შესახებ, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფაკულტეტების გაუმართლებელი გამსხვილება და პროფესორ-მასწავლებელთა ქუჩაში გაშვება მოჰყვა. ჯემალ მებონია აღნიშნავს, რომ ამას სტუდენტების პროტესტი არ მოჰყოლია, რადგან ნაციონალებმა აქტიური სტუდენტების მოსყიდვა თვითმმართველობებში შეყვანით და პრივილეგიების მინიჭებით მოახერხეს. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ იყო სამართლიანობის აღდგენისა და განათლების სისტემაში ჯანსაღი ცვლილებების გატარების მცდელობა, თუმცა, გარკვეული ძალების წინააღმდეგობის შედეგად, ეს მცდელობაც უშედეგოდ დასრულდა.

გემახსოვრებათ, რომ უნივერსიტეტი შეეწინააღმდეგა წინა ხელისუფლების დროს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიღების, თუმცა უშედეგოდ. კანონის მიღების შემდეგ კი ის გაგვიხდა საბრძოლი, რომ ნაციონალებს თავისივე მიღებული კანონი მაინც შეესრულებინათ. სასამართლოებიც კი მოგვიწყვეს და მაინც ის გააკეთეს, რისი გაკეთებაც უნდოდათ. სხვათა შორის, სტუდენტობას მაშინ ხმა არ ამოუღია და მშვიდად უყურებდა, როგორ ინგრეოდა განათლების სისტემა. არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ სტუდენტების აქტიური ნაწილი ხელისუფლებამ თვითმმართველობაში შეყვანით და პრივილეგიების მინიჭებით მოისყიდა და გააჩუმა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, 2012 წლის დეკემბერში „ქართულმა აკადემიის" წევრებმა პარლამენტს განათლების და მეცნიერების სისტემის რეფორმირების იდეა შევთავაზეთ. ვინაიდან, უკანონო და უსამართლო არჩევნების შედეგად, პროფესურის ძირითადი ნაწილი უნივერსიტეტის გარეთ დარჩა, ჩვენი ძირითადი მოთხოვნა გარდამავალი პერიოდის გამოცხადება და სამართლიანი კონკურსის ჩატარება იყო, რომელიც უნივერსიტეტში და მის გარეთ მყოფ მეცნიერებს კონკურსში თანაბარ შანსს მისცემდა. თავიდან პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტმა იდეა მოიწონა, მაგრამ მერე ეს საკითხი სადღაც დაიბლოკა და გაჩერდა. სისტემაში ცვლილებების განხორციელების შანსი მეორედ მაშინ იყო, როცა უნივერსიტეტები კერძოდან საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დააბრუნეს. მაშინაც შეიძლებოდა, რომ გარდამავალი პერიოდი გამოცხადებულიყო და დროებითი მმართველი დანიშნულიყო, მაგრამ დაშვებული იქნა მეორე უმძიმესი შეცდომა და ეს თემა ისევ დაიბლოკა. დღევანდელმა ხელისუფლებამ ბევრი შეცდომა დაუშვა განათლებაში და ეს არა მარტო ხელისუფლებას, არამედ ქვეყანას შემოუტრიალდება ცუდად. შეგახსენებთ, რომ ცუდი განათლების სისტემა კარგ სპეციალისტებს ვერ მოამზადებს. ცუდი სპეციალისტები კი მრეწველობის ვერც ერთ დარგს ვერ განავითარებენ. განათლებაზე ფულის დაზოგვა დანაშაულია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონია მიწასთან იყო გასწორებული და იცით, რა ქნეს? შემოსავლის 30% განათლებაში ჩადეს და რა შედეგი მიიღეს, ყველამ ვიცით. ჩვენ კი შეცდომას შეცდომაზე ვუშვებთ, ამიტომ პრობლემა აუცილებლად სადღაც ამოხეთქავს და ეს სტუდენტების პროტესტმაც დაადასტურა. სხვა საკითხია, ვის რა მიზნები აქვს, თუმცა უკმაყოფილობის რაღაც მოტივი მაინც არსებობს. სტუდენტები მოითხოვენ რექტორის არჩევის წესის შეცვლას, კანცლერისა და აკადემიური საბჭოს არჩევის წესის ცვლილებებს, მაგრამ თუ კანონი არ შეიცვალა, ასეთ ცვლილებებს ვერც განათლების მინისტრი განახორციელებს და ვერც უნივერსიტეტი. დავუშვათ, გადადგა რექტორი. მერე რა? ეს გამოსავალია? ან ახალი რექტორი ვინ უნდა აირჩიოს? აკადემიური საბჭო უფლებამოსილი არაა, იმიტომ, რომ 14 -დან ორმა წევრმა დატოვა. მე რომ მკითხოთ, 12 კი არა, 14 კაციც არაა საკმარისი რექტორის ასარჩევად. ვფიქრობ, მთლიანად შესაცვლელია კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. უნდა იყოს ერთიანი მიდგომა, რომელიც ყველაფერს დაალაგებს და ამაში მიიღებენ მონაწილეობას ახალგაზრდებიც და გამოცდილი ხალხიც.



ვფიქრობ, აუცილებელია, რომ უნივერსიტეტში გამოცხადდეს დაახლოებით ერთწლიანი გარდამავალი პერიოდი. ამ ხნის განმავლობაში შესაძლებელი იქნება საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრა, უნივერსიტეტში სკოლა-ლიცეუმის გახსნა, ობიექტური არჩევნების ჩატარება და უნივერსიტეტის ჯანსაღი პროფესურით დაკომპლექტება. არ მინდა, ისე გამიგოთ, თითქოს უნივერსიტეტში ახლა არაჯანსაღი პროფესურაა, მაგრამ მისი ნაწილი პიროვნულ კომფორტსაა გამოკიდებული და ქვეყნის ბედი არ აინტერესებს. ცნობილია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის რამდენიმე რესპუბლიკაში, (ბალტიის სამივე რესპუბლიკა, უკრაინა, ბელორუსიაში, ყაზახეთში) არსებობს თითო განსაკუთრებული სტატუსის მქონე უნივერსიტეტი. განსაკუთრებული სტატუსი იმას არ ნიშნავს, რომ ვიღაცამ თავზე ხელი გადაუსვას, კარგი ბიჭი ხარ და კარგ პირობებს შეგიქმნიო. ეს, უპირველეს ყოვლისა, ახალი ვალდებულებებია. უკვე არსებობს პროექტი, რომლის თანახმად, განსაკუთრებული სტატუსის მქონე უნივერსიტეტს საბაზო დაფინანსება პირდაპირ ბიუჯეტიდან უნდა ჰქონდეს და უნდა შეეძლოს სასწავლო პროცესის თავისი სტანდარტების და პროგრამების შესაბამისად წარმართვა.

ჯ. მებონია – არ მინდა პოლიტიკაზე ვილაპარაკო, მაგრამ ისეთი განცდა მაქვს, რომ სტუდენტთა ნაწილის უკან პოლიტიკური ძალა დგას. მახსენდება 2004 წელი, როცა ყველა უბედურება რექტორისთვის „გადადექის" ძახილით დაიწყო. ცხადია, დაუმორჩილებელი და ეროვნული მუხტის მატარებელი უნივერსიტეტის ვიღაცებისთვის ყოველთვის ხელისშემშლელი ფაქტორი იყო და მუდმივად იყო მცდელობა, რომ ის საკუთარი გავლენის ქვეშ მოექციათ. არავის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მიმაჩნია, რომ უნივერსიტეტის მართვას გამოცდილება სჭირდება, რაც 28-29 წლის ახალგაზრდას არ აქვს და ვერ ექნება. სავარაუდოდ, მის უკან დგას ძალა, რომელიც უნივერსიტეტში ერთ-ერთი მთავარი თანამდებობის ხელში ჩაგდებას ცდილობს და ეს რომ არ გამოუვიდა, უკვე რექტორზე შეტევა წამოიწყო. მინდა ამ სტუდენტებს ვთხოვო, რომ ნუ იქცევიან იარაღად ვიღაცის ხელში და ნუ გადააყოლებენ საკუთარ პრივილეგიებზე ზრუნვას უნივერსიტეტს. ცნობისთვის, წელს სტუდენტურ თვითმმართველობას ბაკურიანში ჩატარებული სემინარი თითქმის 25 000 ლარი დაუჯდა. ზღაპრები იმაზე, რომ ბაკურიანში უფრო ეფექტური სემინარები ტარდება, ვიდრე თბილისში. არადამაჯერებლად მეჩვენება და მგონია, რომ თვითმმართველობა სწორედ ასეთი პრივილეგიების შენარჩუნებისთვის იბრძვის. რაც შეეხება მათ მოთხოვნას, რექტორის გადადგომაზე საუბარიც კი დაუშვებელია, რადგან ეს ყველაფერი იმის დასამარება იქნება, რაც უნივერსიტეტმა დღემდე მოიპოვა. ამიტომ მთავრობამ კეთილი ინებოს და პარლამენტის წინაშე უნივერსიტეტის განსაკუთრებული სტატუსის საკითხი დააყენოს. დიდი ხანია არსებობს კანონპროექტი უნივერსიტეტის შესახებ, მაგრამ აქამდე საკითხის განხილვა ვერ მოხერხდა და იმედია, ახლა მაინც მოიცლიან ამისთვის. მერწმუნეთ, ეს არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე საუკუნის წინ უნივერსიტეტის დაარსება.

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია

## ღია წერილი ედუარდ შევარდნაძეს

**თბილისი 1992 წელი**

*უსამართლო ძლიერებას საუკუნო არ აქვს ძალი,*
*უძლეველი სამუდამოდ არის მხოლოდ სამართალი.*

აკაკი წერეთელი



თქვენ ებრძოდით საქართველოში ჭეშმარიტ ეროვნულ მწერლობასა და მეცნიერებას, სამაგიეროდ, ააყვავეთ „მურტალო-კუკარაჩების“ და „შემწვარი ნეკების“ ცრუ ლიტერატურა და ანტიეროვნული, ცრუ მეცნიერება. თქვენ არნახული სისასტიკით სდევნიდით არა მარტო დისიდენტურ მოძრაობას, არამედ თვით უმცირეს მისწრაფებასაც თავისუფლებისადმი, რაზეც აქ განსაკუთრებით უნდა შევჩერდე.

1976 წელს თქვენ დახვრიტეთ ქართველი პატრიოტი **ვლადიმერ ჟვანია,** საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი, რომელმაც მოაწყო საპროტესტო აფეთქებები მთავრობის შენობის წინ თბილისში, ქუთაისსა და სოხუმში. 1983 წელს თქვენი ბრძანებით წამებით მოკლეს ქ. თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში პირუთვნელი **ჟურნალისტი ქალი ნაზი შამანაური,** თქვენი მაფიის მხილებისთვის. 1983 წელს დაახვრეტინეთ ცნობილი „თვითმფრინავის საქმეზე“ დაპატიმრებული ახალგაზრდები, თუმც სხვა რესპუბლიკებში მინიმალურ სასჯელს აძლევდნენ ასეთი დანაშაულისათვის. მათთან ერთად დახვრიტეთ უდანაშაულო მღვდელი **თედორე ჩიხლაძე,** როგორც ვითომდაც მათი „იდეური ხელმძღვანელი“, სინამდვილეში კი იმის გამო, რომ არ ისურვა სუკ-ის აგენტობა.

საქართველოს სავალალო მდგომარეობამ, თქვენმა დრაკონულმა რეპრესიებმა, ანტიქართულმა და ანტიდემოკრატიულმა პოლიტიკამ გამოიწვია საპროტესტო მოძრაობა, რომელსაც მე და მერაბ კოსტავა ჩავუდექით სათავეში. ერთხანს ჩვენ ვცდილობდით იატაკქვეშა მოძრაობის პარალელურად ოფიციალურადაც გამოგვეთქვა ჩვენი აზრი, მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალ-გაზეთების რედაქციები დაკეტილი იყო ჩვენთვის, გწერდით წერილებს, განცხადებებს, ქართული ენის, ქართული კულტურის ძეგლების, ქართული ეკლესიის მდგომარეობაზე.

მიღებაზე მუდამ უარს გვეუბნებოდით, განცხადებებზე კი არავითარი რეაქცია არ ჩანს, გარდა იმისა, რომ თქვენს გამოსვლებში დაუსახელებლად ხშირად გვიწოდებდით ანტისაბჭოთა დემაგოგებს, სამშობლოს მოღალატეებს (ცხადია, სოციალისტურ სამშობლოს გულისხმობდით, ვინაიდან სხვა სამშობლო არასოდეს გწამდათ და გწამთ). ბოლოს მთლიანად გადავედით იატაკქვეშა ბრძოლაზე, მჭიდროდ დავუკავშირდით საბჭოთა კავშირის დემოკრატიულ მოძრაობას, ვინაიდან მაშინ ჩვენი ბრძოლა ერთ მიზანს ისახავდა. ამას მოჰყვა ჩვენი დევნა სუკ-ის მიერ, დბარებები, გაჩხრეკები, დაკავებები, ბოლოს კი ჩვენს წინააღმდეგ გაჩაღდა უპრეცედენტო ცილისმწამებლური კამპანია პრესითა და ტელევიზიით, ხოლო 1977 წელს დაგვაპატიმრეთ. სუკ-ის ჯურღმულები არ გვაკმარეთ და ფსიქიატრიულ ციხეებში გვიკარით თავი: **მე მოსკოვში სერბსკის ჯალათ-ფსიქიატრთა „ინსტიტუტში“, ხოლო მერაბ კოსტავას თბილისის ორთაჭალის ციხის საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში. შეშლილებად გსურდათ ჩვენი გამოცხადება** თქვენი დრაკონული რეჟიმის მხილებისა და სიმართლის თქმისთვის. ბოლოს ჰონოლულუს ფსიქიატრთა მსოფლიო კონგრესზე საბჭოთა სადამსჯელო ფსიქიატრიის დაგმობამ გვიშველა, აგრეთვე საფრანგეთის ფსიქიატრთა პროტესტმა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დნეპროპეტროვსკის ფსიქიატრიულ ციხეში ამოგვხდიდნენ ორივეს სულს.

სუკ-ში პოლიტპატიმრობისას წელიწადნახევრის მანძილზე მიწევდნენ შანტაჟს, მემუქრებოდნენ ამერიკის დაზვერვის აგენტად გამოცხადებით, სამშობლოს ღალატის მუხლით გასამართლებით, ოჯახის წევრების ფიზიკური განადგურებით, მოსალოდნელი ახალგაზრდული დემონსტრაციების გაჟლეტით, ხოლო მოსკოვში პატიმრობისას ავადსახსენებელი სუსლოვის ემისრები საქართველოდან აფხაზეთის ჩამოშორებითაც კი მემუქრებოდნენ იმ შემთხვევაში, თუ არ მოვინანიებდი. ჩემი მეუღლე კი, ძუძუთა ბავშვის დედა, დეკრეტულ შვებულებაში მყოფი, სამსახურიდან მოახსნევინეთ, რაც არც ჰიტლერს და არც სტალინს არ ჩაუდენიათ. დღეს თქვენი აგენტები აყალბებენ ჩემი ე. წ. „მონანიების“ არსს, იყენებენ ამას ჩემი დისკრედიტაციისთვის, თითქოს არ იცოდნენ საქმის რეალური ვითარება. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია კიდევ ერთხელ განვმარტო ჩემი ტაქტიკური უკანდახევა სასამართლოზე 1978 წელს.

ჩვენი დაპატიმრების შემდეგ ეროვნულ მოძრაობას განადგურების საფრთხე დაემუქრა. აღარავინ რჩებოდა გარეთ დასავლეთის ქვეყნებთან ხიდის გამდები, თვითგამოცემებისა და იატაკქვეშა მუშაობის ორგანიზატორი. ბოლოს მე და მერაბ კოსტავამ მოვილაპარაკეთ, რომ მე „მოვინანიებდი“ ჩემს ზოგიერთ ქმედებას, გამოვიდოდი ციხიდან და გარეთ განვაგრძობდი საქმიანობას, შევინარჩუნებდი თვითგამოცემას, შევინარჩუნებდი საინფორმაციო ხიდს დასავლეთთან, ხოლო მერაბ კოსტავამ თავად იტვირთა ციხეში დარჩენა, თანაც გააკეთა წერილობითი განცხადება, რომ ჩემი ე. წ. „მონანიება“ აუცილებლობით იყო გამოწვეული ჩვენი საერთო საქმის ინტერესებიდან გამომდინარე. მე გამოვიტანე ეს განცხადება ციხიდან, მაგრამ არ გამომიქვეყნებია, ვშიშობდი, რაიმე ზიანი არ მიმეყენებინა მეგობრისათვის. ბოლოს, განთავისუფლების შემდეგ, მან თავად გამოაქვეყნა იგი 1987 წელს მოსკოვის ჟურნალ „გლასნოსტის“ მეხუთე ნომერში (რედაქტორი ს. გრიგორინი). ამგვარი შინაარსის წერილი მისწერა მან ე. ბონერსაც სახაროვისთვის გადასაცემად ქსნის კოლონიიდან იმავე წელს. მაგრამ, ჰოი საოცრებავ, დღეს თქვენ და თქვენი დამქაშები ჩემს ამ ტაქტიკურ უკანდახევას „ღალატად“ ნათლავთ, **თითქოს მერაბ კოსტავაზე დიდი მორალური ავტორიტეტი იყოთ და ეროვნული მოძრაობის თავკაცები.**

მაგრამ თქვენ სულ სხვა მიზეზის გამო არ გასვენებთ ჩემი „მონანიება“. საქმე ის გახლავთ, ჩემი „მონანიება“ და ციხიდან გამოსვლა რომ არ მომხადრიყო, არ იქნებოდა არც ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა, არც 9 აპრილი და არც იმპერიის ბატონობის დასასრული 1990 წლის 28 ოქტომბრის თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების სახით, ამიტომაც ვერ მოგინელებიათ ჩემი „მონანიება“ და დღემდე კბილებს აღრჭიალებთ მისი გახსენებისას.

ბოლოს გადამასახლეთ **ნოღაეთის** ნახევარუდაბნოში, სადაც ქართველმა მწყემსებმა გადამარჩინეს შიმშილითა და სიცივით სიკვდილს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ თქვენმა დამქაშებმა გამივრცელეს ჭორი, თითქოს მე თქვენი აგენტი გავხდი, რაც ერთხანს ირწმუნა საზოგადოების ნაწილმა და რასაც დიდხანს იმეორებდნენ **ჭანტურია და სხვა მოღალატენი,** ვიდრე თავად არ გამოვლინდნენ, როგორც თქვენი აგენტები. თანაც საზოგადოებამ დაინახა, რომ ისევ მე ვიყავი ერთადერთი კაცი, რომელიც მსოფლიო საზოგადოებრიობას ვაწვდიდი ინფორმაციას საქართველოს შესახებ, ვახერხებდი თვითგამოცემას, ვაწყობდი საპროტესტო აქციებს ახალგაზრდა მეგობრებთან ერთად. ბოლოს ის ახალგაზრდებიც ჩამომაშორეთ და მტრებად მიქციეთ ისინი სუკ-ის ჯოჯოხეთური მანქანის მეშვეობით. გარდა ამისა, ყველა ხედავდა, რომ სუკ-ის ყველაზე დიდი დევნისა და მეთვალყურეობის ობიექტი ისევ მე ვიყავი, ხელახალ დაპატიმრებას კი ვეღარ ბედავდით, ვინაიდან უცხოეთში ძალზე გახმაურდა ჩემი სახელი.

ჰო, მაგრამ, მეტყვიან, თქვენი დამქაშები, და თქვენ შევრდნაძის წარსულზე საუბრობთ, მაგრამ დღეს იგი აღარ არის, რაც იყო. შევარდნაძე გადემოკრატდა. იგი ხომ „პერესტროიკის“ ერთ-ერთი ავტორია, მან თავისი წარსული დაგმო, კომპარტიიდან გავიდა, ნუღარ იხსენებთ მის წარსულს, მის აწმყოზე ილაპარაკეთ. კეთილი და პატიოსანი. განვიხილოთ თქვენი მოღვაწეობა „პერესტროიკის“ შემდეგ. მართალია, თქვენ და გორბაჩოვი იძულებული გახდით, მსოფლიო საზოგადოებრიობის დაწოლით დაგეწყოთ შედარებითი ლიბერალიზაცია, მაგრამ მიუხედავად პოლიტპატიმრების განთავისუფლებისა და რუსი დისიდენტების რეაბილიტაციისა, გრძელდებოდა ქართველი დისიდენტების დევნა და საზოგადოებიდან იზოლაცია. ჩემს წინააღმდეგ ისევ მძვინვარებდა კამპანია 1987-89 წლებში საბჭოთა პრესაში, მაგრამ ამანაც ვერ შეაჩერა ეროვნული მოძრაობის აზვირთება საქართველოში, რისი კულმინაციაც იყო 9 აპრილი, როდესაც თქვენ და გორბაჩოვმა უკანასკნელად სცადეთ სამხედრო ძალით გაგენადგურებინათ ეროვნული მოძრაობა საქართველოში, **დამახასიათებელია ის, რომ თქვენ 9 აპრილს დამსჯელი ოპერაციის ერთ-ერთი ავტორი და დამგეგმავი,** საქართველოში მოგავლინეს და მოგახსნევინეს კომენდანტის საათი (თუმც დღეს მოსკოვის მიერ მოწყობილი პუტჩის შემდეგ ისევ თქვენ დააწესეთ უსასრულო კომენდანტის საათი, რომლის მოხსნასაც აღარ აპირებთ). ბოლოს საქართველოში გაიმარჯვა დემოკრატიამ, ჩატარდა თავისუფალი, მრავალპარტიული არჩევნები, რომელიც თქვენთვის და თქვენი პარტიისათვის კრახით დამთავრდა. იმ დღიდან თქვენ **გულში ჩაიდეთ რევანში** და ყველაფერი იღონეთ იმისთვის, რომ ეს მონაპოვარი გაგენადგურებინათ და მიაღწიეთ კიდეც ამას იმპერიული ძალების დახმარებით. ხალხისთვის თვალის ასახვევად თქვენ მომილოცეთ ტელეგრამით არჩევნებში გამარჯვება, მაგრამ რამდენად გულწრფელი იყო ეს მილოცვა, დაადასტურა შემდგომი დროის მოვლენებმა. თქვენ შექმენით მოსკოვში შტაბი, რომელშიც გააერთიანეთ საქართველოდან გაქცეული ყველა რენეგატი-პარტოკრატი და გააჩაღეთ უპრეცედენტო კამპანია მთელ მსოფლიოში საქართველოს ახალი ხელისუფლებისა და პირადად ჩემს წინააღმდეგ. თქვენს მიერ მოსყიდულ ყოფილ დისიდენტებთან და ეროვნული მოძრაობის მოღალატეებთან ერთად არწმუნებდით მსოფლიოს, რომ საქართველოში დამყარდა ტოტალიტარული რეჟიმი, ფაშისტური დიქტატურა, რომლის დამხობაც აუცილებელია. რა დიქტატურაზე შეიძლებოდა საუბარი, როდესაც გამოდიოდა 20-ზე მეტი ოპოზიციური გაზეთი, ტელევიზიით იკრძალებოდა მხოლოდ ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდება, თავისუფლად დათარეშობდნენ უკანონო შეიარაღებული ფორმირებები და პარტიები, **დავაპატიმრეთ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც სჩადიოდნენ კონკრეტულ სისხლის სამართლის დანაშაულს, ბანდიტიზმს, ქუჩების გადახერგვას ბარიკადებით, ტელევიზიის აღების მცდელობას.**

(გაგრძელება იქნება)

# დავით გაგნიძე:
# მეც ვეთანხმები იმ აზრს, რომ ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, იმ ადამიანებმა, რომლებზეც შეიძლება მაკომპრომენტირებელი კადრები არსებობდეს პოლიტიკური ასპარეზი საკუთარი ნებით დატოვონ



ინტერნეტსივრცეში პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებას დიდი ვნებათაღელვა მოყვა. ნაციონალებმა და „თავისუფალმა დემოკრატებმა“, როგორც ყოველთვის, აქაც ხელისუფლების ინტერესი დაინახეს. ნაციონალი სერგო რატიანი უფრო შორს წავიდა და უშიშროების სამსახურის გაუქმება მოითხოვა, არასამთავრობო სექტორის და საზოგადოების „ელიტურმა“ ნაწილმა საპროტესტო აქცია მოაწყო ეს ჩვენ გვეხება და არიქა, ისევ გვისმენენ და გვითვალთვალებენო. მთელ ამ აჟიოტაჟს რომ დააკვირდები და გაანალიზებ, შთაბეჭდილება დაგრჩება, რომ „პროტესტანტები“ შეგნებულად ცდილობენ საზოგადოების



შეცდომაში შეყვანას, თავს რომ იწონებთ თქვენი სექსუალური ცხოვრებით, ვის უკვირს საქართველოში სექსი, იმის ახსნა გჭირდებათ, რომ სექსის გარეშე ბავშვები არ ჩნდებიან, მაშინ როგორ მოევლინეთ ამ ქვეყანას, რახან წარსულში სექსის სახელით არ მოიხსენიებდნენ არ არსებობდა ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობა? დაშოშმინდით, ნუ აყრით ხალხს თვალში ნაცარს, აქ ოჯახის სიწმინდეზეა საუბარი. არავინ იფიქროს, რომ ამ კადრების გამავრცელებლებს ვამართლებთ, არც ვინმეს საცვლებში ქექვას ვაპირებთ, ვინ ღალატობს ცოლსა და ქმარს ეს საზოგადოებას შეიძლება მაშინ არ აინტერესებდეს, როცა საქმე რიგით მოკვდავებს ეხება. საზოგადოებამ უნდა იცოდეს ვის უცხადებს ნდობას, რა წარსულის ადამიანები ინიშნებიან თანამდებობებზე, რადგან დისკრედიტებული ადამიანები შესანიშნავი სამიზნეები არიან უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებისთვის, რომლებსაც შანტაჟის წყალობით შეიძლება სახელმწიფო ინტერესებისთვის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები მიაღებინონ. აი, რას აცხადებს პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე თავის ერთ-ერთ ინტერვიუში – ამ კადრების ხელში ჩაგდებისთვის საკმაოდ დიდ თანხას გადაიხდის ნებისმიერი, მათ შორის, ჩვენი მეგობარი ქვეყნების სპეცსამსახურებიც კი, რადგან ეს არის შანტაჟის ყველაზე კარგი საშუალება. დარწმუნებული ვარ რუსებს ეს კადრები აქვთ და თუ საჭიროდ ჩათვლიან, გამოიყენებენ. აქ არ არის მარტო პირად ცხოვრებაზე საუბარი, კიდევ უამრავი კადრი არსებობს, რომელიც საზოგადოებისთვის მიუღებელია, ვგულისხმობ იმ კადრებს, რომელიც „დავერბოვკების“ საშუალებას შექმნის. ბუნებრივია, ასეთ თემებზე მუშაობს ნებისმიერი ქვეყნის (როგორი მეგობრულიც არ უნდა იყოს) უშიშროების სამსახური. გერმანიის კანცლერ მერკელსაც უსმენდნენ ამერიკელები, ეს არის სპეცსამსახურების სპეციფიკა. თუ არადა მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილება, რაც ნაციონალებმა შემოგვთავაზეს, საერთოდ გავაუქმოთ უსაფრთხოების სამსახურები და მივიდეთ ასეთ მარაზმამდე. ხვალ კი სახელმწიფოებრიობაც გავაუქმოთო. საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის გაუქმება ვითომ გამოსავალია, სხვა ქვეყნების სპეცსამსახურები აღარ იმუშავებენ კომპრომატების შეგროვებაზე, თუ „რატიანსა და კომპანიას“ მათ გაუქმებაზეც აქვს პრეტენზია? შეიძლება ამ დონის აბსურდამდე მივიდეს „ხალხის რჩეულთა“ ფანტაზია? ხომ არ ჯობდა იმ ხალხმა, რომლებსაც „რჩეულობის“ ამბიცია აწუხებთ, ისე იცხოვრონ, რომ არავის მისცენ დაშანტაჟების საშუალება. ნებისმიერი ქვეყნის უშიშროების სამსახურში ყოველთვის არსებობდა და დღესაც არსებობს სპეციალური განყოფილება იქნება თუ რაც გინდათ დავარქვათ, რომელიც რომ იტყვიან, რენტგენზე ატარებს იმ ადამიანებს, ვისაც პოლიტიკაში მოსვლის სურვილი აქვს, რომ ხელისუფლებაში წესიერი და პატიოსანი ხალხი მოვიდეს, რათა მინიმუმამდე დავიდეს მათი დაშანტაჟებისა და გადაბირების ალბათობა. აქედან გამომდინარე, ხსენებული სამსახურის არსებობა არც გასაკვირია და არც მიუღებელი. ამიტომ სჯობს, თავი დავანებოთ ახალი ველოსიპედის გამოგონების მცდელობას.

პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ **დავით გაგნიძის** განცხადებით, არჩევნები ახლოვდება და უკვე დაიწყო კულუარული ბრძოლა. სისულელეა, ამ ყველაფერში რუსეთის დადანაშაულება, რადგან ჯერ ერთი, მათ ეს არ აინტერესებთ, თუ მათ ვინმე არ მოწონთ, არავის მოერიდებიან და პირდაპირ ეტყვიან. ახლა ერთი ამბავი რომ ატეხეს, თინა ხიდაშელს რუსები ებრძვიანო, უბრალოდ სასაცილოა, ამერიკის პრეზიდენტია თუ პენტაგონის შეფი, რომ მას ბრძოლა გამოუცხადონ. რუსეთმა არა, გაერომ გამოუქვეყნა, ამათ დონეს სხვა როგორ ეკადრება. ბიძინა ივანიშვილისკენ რომ იშვერენ ხელს, მეტი საქმე არ აქვს ბატონ ბიძინას, ამათ ფარული კადრები უქვეყნოს, რა განდიდების მანია ჭირთ ასეთი, ვერ გავიგე, ამ კადრების გამომქვეყნებლები საკუთარ სამეგობროსა და საახლობლოში ეძებონ, სხვას ნურავის დააბრალებენ. ვისზეც არსებობს კომპრომატები, რაც მათ ძალიან კარგად იციან, ჯობია თვითონ ჩამოსცილდნენ პოლიტიკას, ხსენებული კადრების გავრცელება გაფრთხილებად უნდა მიიღონ, უსაზღვრო ამბიციებიც მოთოკონ, რადგან, რაც აქვთ, იმასაც დაკარგავენ. უამრავი ფაილია გატანილი, ვინ როდის რას გამოაქვეყნებს ქვეყნის იმიჯის შესალახად, არავინ იცის, ამიტომ საკუთარ თავს და ქვეყანასაც უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩააყენებენო. ძნელია, რესპოდენტს არ დაეთანხმო, რადგან საზოგადოების უმეტესი ნაწილი ქვეყნის სირცხვილად თვლის, ამგვარი კადრების არსებობას და თანამდებობაზე საეჭვო რეპუტაციის ადამიანების ყოფნას. თუ ვინმეს ჩვენი ნათქვამის სიმართლეში ეჭვი ეპარება, თავად ჩაატაროს ობიექტური გამოკითხვა და დარწმუნდება.

მაკომპრომიტერებელი კადრები, რომელიც მხოლოდ პირად ცხოვრებას არ ეხება, მრავლად რომ არსებობდა, ამაზე მთელი საქართველო ლაპარაკობდა. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, მაშინ რატომ დაინიშნენ ასეთი



ადამიანები საპასუხისმგებლო თანამდებობებზე?

**დავით გაგნიძე:** „ნუთუ აქამდე ვერ დარწმუნდით, რომ ეს ძალით თავსმოხვეული ხალხია? ხომ ხედავთ ძალაობენ, რომ როგორმე თბილი სავარძელი მოირგონ და ხალხს ზემოდან უყურონ. გიორგი კვირიკაშვილს, გიორგი მღებრიშვილს, კახა კახიშვილს, დავით სერგეენკოს და სხვა წესიერ ადამიანებს მათ როგორ შევადრი, ეს სხვა დონის ადამიანები არიან, იმიტომაც არ ჩანან, ჩუმად აკეთებენ თავიანთ საქმეს და არცთუ ცუდად. ამიტომ ვერ იტანენ ეს ვითომ ელიტა, რომლებიც ჩასაფრებულები არიან, ოღონდ რამე ჭორს მოკრან ყური, რომ მერე „ბრძნული“ გამომეტყველებით იტლიკინონ. ამ ტელევიზიებისაც გამკვირვებია, ყველაფერზე ჭკუის საკითხავად მათ რომ მიადგებიან ხოლმე, რა განათლება და დამსახურება აქვთ ასეთი, რა შეუქმნიათ მუდმივად ჭკუას რომ გვარიგებენ. განათლებულობასა და ყველაფრის ცოდნაზე თავს რომ სდებენ, დავიჯერო არ იციან, რომ ყველა ცივილიზებულობაზე პრეტენზიის მქონე სახელმწიფოში მოქმედებს უშიშროების სამსახური, რომელიც მარტო ჭორების შემუშავებასა და დეზინფორმაციის გავრცელებაზე კი არა, იმ ინფორმაციის შეგროვებაზეც მუშაობს, რომ დაცული იყოს სიწმინდეები, იქნება ეს ოჯახური თუ სხვა კუთხით. ხალხს საჯარო პიროვნებებმა უნდა უჩვენონ მაგალითი, ხომ არ შეიძლება ყველაფერი წაიშალოს და ქვეყანა ერთ დიდ საროსკიპოდ გადავაქციოთ. სხვათა შორის, ერთი შემთხვევა გამახსენდა, ჰიტლერის ერთ-ერთი მინისტრი თურმე თვითდაკმაყოფილებას ეწეოდა, რაც მათივე დაზვერვის სამსახურმა გადაიღო და ჰიტლერს მიაწოდა. ამ მინისტრმა თურმე თავი იმართლა, ჩემო ფიურერო, იმდენს ვმუშაობ, ქალებში წასასვლელად დრო აღარ მრჩება და აბა, როგორ მოვიქცეო. ჰიტლერმა ვეღარაფერი უთხრა. ასე რომ, პიროვნების „დამუშავება“ ყოველთვის ხდებოდა, ამაში არაფერია გასაკვირი, ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ არ „დაამუშაონ“. იქნებ შენმა სულიერმა ან ფიზიკურმა მიუღებელმა ქმედებამ გაჟონა და უცხო ქვეყნის დაზვერვამ ჩაიგდო ხელში ეს ინფორმაცია, როგორც უნდა ხომ ისე გამოგიყენებს, ამიტომ პრევენციას ეწევიან. როგორც ჩანს ჩვენმა უშიშროების სამსახურმა უკვე დაიწყო გარკვეულწილად სერიოზული მუშაობა, ეს შთაბეჭდი-

ლება ნაცპარლამენტარ სერგო რატიანის განცხადების შემდეგ გამიჩნდა, საერთოდ გავაუქმოთ უსაფრთხოების სამსახურიო. რატომ უნდა გავაუქმოთ, როცა თვითონ იყვნენ ხელისუფლების სათავეში, მაშინ რატომ არ გაუჩნდა ეს აზრი? ეს სამსახური მუშაობს, ხალხს უცხოური ზეგავლენისგან იცავს, როგორ შეიძლება მისი გაუქმება, მაშინ მარტო პატრული დავტოვოთ, მეტი სტრუქტურა აღარ გვჭირდება? ყველა ქვეყანამ, რომელსაც დღეს განვითარებული სახელმწიფო ჰქვია, ჯერ უშიშროების ძლიერი, უფრო მეტიც, უძლიერესი სამსახური შექმნა. სხვანაირად ქვეყანა ვერ განვითარდება, ქვეყანას, რომელსაც ძლიერი სპეცსამსახურები არ ყავს, დასაღუპადაა განწირული. ვინც უშიშროების სამსახურსა და შსს-ს ფლობს, ქვეყანასაც ის აკონტროლებს, ამიტომაც გამოცვივდნენ ეს ვაიპოლიტიკოსები, არ აწყობთ საქართველოს ძლიერი სპეცსამსახურები ჰყავდეს. უშიშროების სამსახური სახელმწიფო რანგში ოტო ფონ ბისმარკმა აიყვანა, მას როგორმე უფრო მეტი ჭკუა ჰქონდა, ვიდრე ამ ჩვენს არამკითხე მეამბეებს. მსოფლიოს ყველა ქვეყნის დაზვერვის სამსახურები ურთიერთთანამშრომლობენ, რომ კარიბის ზღვის კრიზისის მსგავსი კრიზისი არ მოხდეს. მაშინ (60-იანი) წლები, მსოფლიო ძლივს გადაურჩა მესამე მსოფლიო ომს.

– ბატონო დავით, თუ საკუთარ მოქალაქეებზე ინფორმაციის შეგროვება მიღებული ფორმაა, მაშინ ხომ შეიძლება გვითხრან, ნაციონალებს რაღას ერჩით, ფარულ კადრებს რომ იღებდნენო?

– არა, ეს სულ სხვა რაღაცაა. ნაციონალები თავიანთი პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად, პირადი ანგარიშსწორებისთვის აკეთებდნენ, ხოლო რაზეც გესაუბრეთ, სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა, ამიტომ ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ. ერთ მაგალითს გეტყვით, როცა ნაციონალები ხელისუფლებაში მოვიდნენ, კრიმინალებს ყველაფერი წაართვეს, რაც გარეგნულად მართლაც კარგად ჩანდა, მაგრამ მათთვის წართმეული თვითონ წაიღეს სახლში. ქვეყნისთვის რომ მოეხმარებინათ, ხმას არავინ ამოიღებდა, მაგრამ ამათ უბრალოდ ჩაანაცვლეს დამნაშავეთა სამყარო. აქაც იგივე სიტუაციაა, გარეგნულად თითქოს ყველაფერი კარგადაა, მაგრამ ღრმად რომ ჩაიხედავ, უფრო მეტი სიბინძურეა, რადგან აქ სახელმწიფო არაფერ შუაშია, საკუთარი სარგებლობითვის აკეთებდნენ. ახლა დადგა სახელმწიფო დონეზე, ეს განსხვავებაა. ის ვერსიაც მოვისმინე, რახან „თავისუფალმა დემოკრატებმა“ მხარდაჭერა გამოუცხადეს კონსტიტუციაში იმის ჩაწერას, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაა, ამიტომ „დასაჯესო“, არ მგონია ამ მხარდაჭერას უკავშირდებოდეს ზემოხსენებული კადრების გამოქვეყნება. ასე ყველაზე იარსებებს რაღაც კომპრომატი, მაშინ მათაც გამოუქვეყნებდნენ. მე უფრო პირადი ამბიციების გამო მგონია. სიმართლე გითხრათ, არც ნაციონალების გამოქვეყნებული მგონია, რადგან მათ ძალიან უყვართ ფული, ბატონობა, ვინმე ყურებით რომ ყავდეთ დაჭერილი, აქედან გამომდინარე, ასე საჯაროდ არ განაცხადებდნენ. საიდან და რატომ გაჟონა, ამის გარკვევა გამოძიებას მივანდოთ, მე მაინც მგონია, რომ აქ მავანთა უსაზღვრო ამბიციებია მთავარი ფიგურანტი. ყველაზე გასაოცარი ის არის, დამკვეთისა და გადამღების დასჯას რომ არ ითხოვენ, შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამით თავიანთი დანაშაულის დაფარვას ცდილობენ, ვიღაც არ გააბრაზონ და უფრო მეტმა კადრებმა არ იხილოს მზის სინათლე. მე ისიც ვიცი, რომ მიხეილ სააკაშვილზეცაა გადაღებული რაღაც-რაღაცეები, იმას რატომ არ აჩვენებენ, თუ ბიძინა ივანიშვილი და რუსები არიან „გამავრცელებლები“, ნეტავ ამ შემთხვევაში თავს რატომ იკავებენ, არ გიჩნდებათ ეს კითხვა? ბატონი უსუფაშვილი რომ ბრძანებს, მილიონი ლარი გადავუხადოთ, ვინც გვეტყვის გამავრცელებლის ვინაობასო, ვისი ჯიბიდან უნდა გასცეს ეს ჯილდო, ბაბუამისისა ხომ არა? სადამდე მიდის ამ ხალხის სითავხედე (სხვას ვერაფერს დავარქმევ), გაოგნებული ვარ. მილიონი ლარი იმის გასარკვევად დააწესონ, ვინ მოკლა პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, ვინ გაიტაცა ლევან კალაძე, რამდენი გახმაურებული მკვლელობაა გაუხსნელი და ამ დროს ამხელა თანხას რისთვის აწესებს პარლამენტის თავმჯდომარე. რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის ან საზოგადოებისთვის ვინ გამოაქვეყნა? **დარწმუნებული ვარ ეს „ელიტარები“ ანათემას გადამცემენ, მაგრამ სიმართლე თუ გვინდა, უნდა გამოქვეყნდეს, ხალხმა უნდა იცოდეს ვინ არის ქვეყნის სათავეში და ვის აქვს იქ მოსვლის პრეტენზია, რადგან კომპრომეტირებული ადამიანების ხელისუფლებაში ყოფნა ძალიან სახიფათოა სახელმწიფოსთვის.** ყველაფერში რომ ბაძავენ დასავლეთს, ნახონ იქ როგორ პატივს სცემენ ოჯახს, გაიხსენონ ამერიკის პრეზიდენტს ლამის იმპიჩმენტი რომ მოუწყვეს, თუ რაც არ აწყობთ, ის არც ესმით. ისე, ამათ უნდა უხაროდეთ კიდეც, ეს კადრები რომ გამოქვეყნდა, რადგან უცხოურ დაზვერვის სამსახურებს, თუნდაც რუსეთის, რომელსაც ხშირ-ხშირად ახსენებენ, შანტაჟის საშუალება რომ მოესპოთ. აუცილებლად უნდა ვიცოდეთ თანამდებობაზე ვინ ინიშნება, ხომ ხედავთ რამდენჯერ შევცდით, ახლა ვისაც ავირჩევთ არ უნდა ვიცოდეთ ვინ არიან? აქ მარტო მანდილოსნებზე და პირად ცხოვრებაზე არ არის საუბარი, ხომ შეიძლება ვინმე ნარკოდამოკიდებულია, ან კორუფციულ გარიგებასა და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან ურთიერთობაში იყოს შემჩნეული. ისეთი ხალხი უნდა დავნიშნოთ თანამდებობებზე, რომლებიც კარგად არიან შესწავლილი და მათი რეპუტაცია ეჭვს არ იწვევს, ასეთი ხალხი მრავლადაა. ამ „პროტესტანტთა“ რია-რიას ერთი მიზანი აქვს, ხალხი შეცდომაში შეიყვანონ, ყურადღება სხვაგან გადაატანინონ.



მხარდამჭერთა „მარათონში“ პრეზიდენტი მარგველაშვილიც ჩაერთო, რომელსაც, როგორც ჩანს თავი მხოლოდ რაღაც გარკვეული ჯგუფის პრეზიდენტი ჰგონია, მისი რბილად რომ ვთქვათ, უცნაური განცხადების განხილვას არ ვაპირებ. ამიტომაც არის საჭირო, ყველა ასარჩევი თუ დასანიშნი პირის შესახებ საზოგადოებამ ყველაფერი იცოდეს. ადრეც გითხარით და გავიმეორებ, თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრობა არის საქართველოს სირცხვილი. მაგათ იცით რა უნდათ, თანამდებობებზე იყვნენ წამოსკუპებული, პირდაპირ საბავშვო ბაღიდან დანიშნონ თანამდებობებზე, ვითომ მუშაობენ, როგორც კი სამუშაო დრო დამთავრდება, მერე რაც უნდათ ის აკეთონ. ასე არ არის, რას ჰქვია სამსახურის მერე რასაც გააკეთებს, არავის საქმე არ არისო. თანამდებობაზე რომ ინიშნები, ეს დიდი პასუხისმგებლობაა და ამ პასუხისმგებლობას უნდა გაუძლო. შენ სამსახურის მერე რომ წახვიდე და ვიღაცასთან გაერთო, დალიო და ა.შ. და ამ დროს ქვეყანაში რაღაც უბედურება მოხდეს, მერე სად მიდიხარ? თავდაცვის მინისტრი სააკაშვილივით ციდან რომ ვერ ჩამოვხსენით, კვიროობით და თვეობით რომ დაბრძანდება ევროპაში ბიუჯეტის, ანუ ხალხის ხარჯზე, ვიცით იქ რას აკეთებს? იქნებ იქაური დაზვერვის სამსახურები სპეციალურად უწყობენ რაღაცას, მერე რომ გამოდის და გაუაზრებელ, შტერულ განცხადებებს აკეთებს. ან ის რა იყო ლენინგრადის ბლოკადის დროს რუსები ვირთხებს და კატებს ჭამდაო, ახლა მორიგი „მარგალიტები“ გადმოაფრქვია, მსოფლიოს მოუწოდა რუსეთის წინააღმდეგ დაირაზმეთო. ჩვენ რა ვიცით, იქნებ ვიღაცის დავალებით გააკეთა ხიდაშელმა ეს განცხადებები. საფრანგეთში თავდაცვის სისტემები რომ იყიდეს, რაშიც ამ მშიერმა ქვეყანამ ათეულობით მილიონი გადაყარა, ამიხსნან ვის რაში ჭირდება, რუსეთს შეაშინებენ, ასეთი ჭკუამოკლე როგორ უნდა იყო? დაადებს რუსეთი ემბარგოს ჩვენს პროდუქციას და დამთავრდება ამით ყველაფერი, მერე რას ეუბნებიან კახელ გლეხებს, რომლებსაც ძლივს შემოსავლის წყარო გაუჩნდათ, შენ რომ მშიერი არ ხარ, ეს არ ნიშნავს რომ ხალხიც ასეა. ან რა თქვა ისეთი გოგი თოფაძემ სვავებივით რომ დაესივნენ, მან სრული სიმართლე თქვა, რაც ცხადია, უცხოური გრანტით გამძღრებს არ მოეწონათ. თურმე ამ ერთი მუჭა არასამთავრობოების გადასაწყვეტი ყოფილა, საქართველო როგორ უნდა მოიქცეს. ადრეც მითქვამს, ვინ დანიშნა ესენი საქართველოს დირექტორებად, ვინ აფინანსებს, ვის ინტერესებს ატარებენ? ოღონდ ფული იშოვნონ და სხვა არაფერი აინტერესებთ. მარტო მათი დაფინანსების წყაროების შესახებ კი არ უნდა გვქონდეს ინფორმაცია, მათი პირადი ცხოვრებაც უნდა ვიცოდეთ, რას წარმოადგენს ის ხალხი, ვინც ასე აქტიურად ერევა ქვეყნის ცხოვრებაში, არ უნდა ვიცოდეთ? საქართველო ამ არასამთავრობოების რესპუბლიკადაა გადაქცეული, რომლებსაც რეალურად ვინ მართავს, კაციშვილმა არ იცის. ამ „ტელევარსკვლავად“ ქცეულ გიგაურს, ლომჯარიას თუ ნაცვლიშვილს, რა გაუკეთებია ამ ქვეყნისთვის, რომ მათი დირექტივები ვისმინოთ. დიდი ეჭვი მაქვს, რომ ალენ დალესის პროგრამის განსახორციელებლად არიან ესენი საქართველოში მოვლენილი. ამათ რომ კითხო, თურმე დალესმა კი არა საბჭოთა „კაგებემ“ შექმნა ეს პროგრამა, თუნდაც ასე იყოს, შენ რატომ არ იქცევი მის საწინააღმდეგოდ, რატომ უჯერებ. ისიც ხომ ფაქტია, რომ საქართველო დიღმის რეზიდენციიდან, ამერიკის მეფისნაცვლისა თუ გუბერნატორის მიერ იმართება იმ პროგრამის მიხედვით იმართება, რომლის ავტორიც დალესი იქნება თუ რუსული კაგებე, მნიშვნელობა არ აქვს.



**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# ჰოდა, მე ვბედავ!

## „ჟამი არს, მტერი მამულის მივცეთ ლახვარსა ლესულსა“...

1832 წლის შეთქმულება რუსეთის წინააღმდეგ იესე ფალავანდიშვილის ღალატით გამოაშკარავდა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეამ დროებით, მაგრამ კაი ხნით ადგილი დაუთმო რუსეთის იმპერიაში ქართველი ერის ფიზიკურად გამრავლების, განათლების, კულტურის აღორძინების, იმდროინდელი მოწინავე



ტექნოლოგიების ათვისების და სხვა, ერისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ამოცანებს!

ქართველმა ერმა ელემენტარულად, წერა-კითხვა ისწავლა, ხოლო მისი უკეთესი შვილები პეტერბურგ-მოსკოვ-კიევი-ოდესის გავლით ევროპის სხვა ქალაქების უნივერსიტეტებშიც ეზიარნენ უმაღლეს განათლებას.

მიხეილ ვორონცოვის რუდუნებით დაარსდა პირველი ქართული გაზეთები, თეატრი, ოპერა; სწორედ პეტერბურგიდან მობრუნებულმა ე.წ. თერგდალეულებმა, დიდი ილიას მეთაურობით, შექმნეს ახალი ქართული მწერლობა; განვითარდა ვაჭრობა, მრეწველობა, ტფილისი გახდა სრულიად კავკასიის უმთავრესი ქალაქი, და რაც უმთავრესია, ქართველი ერი ფიზიკური განადგურების საფრთხეს გადაურჩა – XIX საუკუნის დამდეგს, ანუ, რუსეთთან შეერთებისას აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა სულ რაღაც 70 ათას (!) ოჯახს (დემოგრაფ ანზორ თოთაძის მონაცემებით) ითვლიდა, ხოლო XIX საუკუნის მიწურულს რუსეთის იმპერიაში ჩატარებული აღწერის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობამ 1.5 მილიონს გადააჭარბა!..

**1850 წლის ნოვგოროდის იარმარკაზე თბილისელ ვაჭრებს 1.195019 მანეთის საქონელი ჩაუტანიათ. დასავლეთ საქართველოდან სიმინდის დიდი რაოდენობა გაჰქონდათ ინგლისში და ირლანდიაშიც კი.**

აქედან გამომდინარე, ნატოს ქიმერით, ევროპასთან ასოცირების და ახლა უკვე ე.წ. ვიზალიბერალიზაციის ცრუ პერსპექტივებით გონდაბნელებულთა საყურადღებოდ რამდენიმე კითხვას დავსვამ:

**იცით თუ არა, რამდენი ევროს ეკვივალენტია დღეს მაშინდელი „მილიონსჩემტო“ ოქროს რუსული რუბლი. რისი ღირებულების საქონელიც, საქართველოს რუსეთთან “ძალით” შეერთებიდან სულ რაღაც 50 წლის შემდეგ შეუტანიათ თბილისელ ვაჭრებს ნოვგოროდის ბაზრობაზე და როდის, ევროპის ასოცირებასთან “ნებაყოფლობით” მიერთებიდან რამდენი წლის შემდეგ გაიტანს საქართველო მილიარდობით ევროს ღირებულების საქონელს ევროკავშირის ქვეყნებში.**

ეს ისე, მცირე ლირიკულ-რიტორიკული გადახვევა...

ახლა მავანი დამამუნათებს, რუსეთმა გააუქმა ბაგრატოვანთა სამეფო ტახტი და ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, კირით შეგვითეთრეს ფრესკები, ქართველთა გარუსება მოინდომეს და ა.შ. სხვა მრავალი ვნება მოგვაყენეს ჯერ რომანოვების და შემდეგ სტალინის იმპერიაში 200 წლის მანძილზეო და მერე რა?

ეს ყველაფერი ჩემს შესაძლო ოპონენტებზე კარგად იცოდნენ მაშინ მოღვაწე საქართველოს გამორჩეულმა შვილებმა, მაგრამ...



პირუთვნელმა ისტორიკოსებმა მე-19 საუკუნის დასაწყისი მაინც უმნიშვნელოვანეს მომენტად მიიჩნიეს ქართველი ხალხის ისტორიულ განვითარებაში, რადგან ამ დროიდან იწყება ახალი პერიოდი ქართველი ხალხის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

XIX საუკუნის დასაწყისიდან ქართველი ხალხის ბედი მტკიცედ დაუკავშირდა რუსი ხალხის ბედს.

ქართველი ხალხის ფიქრთა მპყრობელმა ილია ჭავჭავაძემ ბრწყინვალე პუბლიცისტურ წერილში, “ასის წლის წინათ”, რომელიც 1899 წლის 26 ნოემბერს დაწერა და საქართველოში რუსის ჯარის პირველად შემოსვლის 100 წლისთავს მიუძღვნა. რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიული მნიშვნელობა შემდეგი სიტყვებით გადმოსცა:

**„დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-ღა დაგვრჩა“...**

ნიშანდობლივია, რომ ალექსანდრე პირველის მანიფესტის გამოცხადებისთანავე საქართველოში აილაგმა ლეკიანობა და ისლამის ოკეანეში კვლავ აღმოჩენის პერსპექტივა არავის აშინებდა...

XX საუკუნის დასაწყისში კი, რუსეთის დუმის დეპუტატი, თავადი ილია ჭავჭავაძე რუსეთის იმპერიის შიგნით ითხოვდა საქართველოს კულტურულ ავტონომიას. ეგ იყო და ეგ, რადგანაც ილია მართალსაც კარგად ესმოდა, რომ საქართველოს ძლიერი შემწე-მფარველის გარეშე გაუჭირდებოდა დამოუკიდებლად არსებობა, საკუთარი ისტორიული მეს შენარჩუნება!

დიდი ილიას შიშები რომ უსაფუძვლო არ იყო, დღეს გამოჩნდა – ვითომ დამოუკიდებელი სახელმწიფო გვაქვს, მაგრამ სამშობლოს გვართმევენ!

რუსეთის იმპერიაში სახელმწიფო არ გვქონდა, მაგრამ გვქონდა სამშობლო...

პარადოქსია ისიც, რომ ქვეყნის „მთავარი ოპოზიციური ძალა“ ნაცბანდა, ნიადაგ ამუნათებს მეოცნებე ხელისუფლებას, რომ ისინი პრორუსულები არიან, პუტინის თამაშს თამაშობენ და ა.შ. ეს უკანასკნელნი კი ხელებს ასავსავებენ, რის რუსეთი, რა პუტინი, პირდაპირ ევროკავშირ-ნატოსკენ გვიჭირავს გეზიო!

არადა, ქვეყანა თავზე გვექცევა – აგერ თითქმის 4 წელიწადია საქართველო-რუსეთის „ახალი ურთიერთობები“ კარასინ-აბაშიძის ფორმატს და რუსეთის ბაზარზე „ორიოდე“ ბოთლი ქართული ღვინო-ბორჯომის შეტანას ვერ გასცილებია.

ამიტომაც არის, რომ რუსეთის მხრიდან ე.წ. მცოცავი ანექსია კონფლიქტის ზონაში გრძელდება და თუ ამჯერად ვიზალიბერალიზაციით დაბოლილები, უილაჯო არა, არას არ მოვიშლით, ცოცვა ხტუნვაში გადაიზრდება და მავთულხლართებს იქით ქუთაისთან, ხოლო აქეთ თბილისთან გადმოიტანენ!

ამ რეალობაში ქართველი ურაპატრიოტები „რკინისებური არგუმენტებით“ გვიპირისპირდებიან პრაგმატულად მოაზროვნეებს – თუ ერთმორწმუნეები არიან და ჩვენთან მეგობრობა უნდათ, დაგვიბრუნონ ჩვენი ტერიტორიების 22 %-ო!

პარადოქსი არ არის, რომ რუსეთს, მხოლოდ მტრად განვიხილავთ, ხოლო მართლაც ისტორიულ მტერს, თურქეთს, რომელსაც სამუდამოდ აქვს მიტაცებული ჩვენი ტერიტორიები, უპირველეს მეგობრად. ქვეყანას, რომლის ეკონომიკური ანექსია უკვე თბილისშიც და განსაკუთრებით აჭარაშია თვალნათელი. სახელმწიფო, რომლის პრემიერ მინისტრი დავიდ ოღლუ პირდაპირ აცხადებს, რომ თურქეთის საბოლოო მიზანი ე.წ. დიდი თურანის იმპერიის აღდგენაა, სტამბოლიდან, ბათუმი, სარაევომდე, რისთვისაც გლობალიზაციის პირობებში სულაც არ არის საჭირო ტანკები და ბომბები – ეკონომიკურ ექსპანსიაზე უკვე მოგახსენეთ და საქართველოს ტელევიზიებში საეჭვოდ მომრავლებული თურქული სერიალები ამ პროცესის პროპაგანდისტული შემადგენელია.

თურქების მიერ ანექსირებულისგან განსხვავებით, რუსეთის მიერ ოკუპირებულის დაბრუნების შანსი ჯერ კიდევ არსებობს და თუნდაც ამიტომ არ ვუწოდებ რუსეთს ოკუპანტს.

ეგეც არ იყოს, და იქნებ ისიც დაგვეთვალა, რამდენი ტერიტორია დააბრუნა XIX საუკუნეში რუსულმა იარაღმა და ირან-ოსმალეთთან ომებში დაღვრილმა რუსულმა სისხლმა, ფორმალურად რუსეთის იმპერიის ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებში, რეალურად კი ერთიან ქართულენოვან კულტურულ სივრცეში. ტერიტორიები, რომლებიც XX საუკუნეში რომანოვების იმპერიის დამხობის შემდეგ უკვე ფორმალურადაც საქართველოს იურისდიქციაში მოექცა და ის, რომ მაშინ დამოუკიდებლობაც დავკარგეთ და ტერიტორიებიც, სტალინ-ორჯონიკიძეზე მეტად უნიათო მენშევიკების ბრალი იყო!..

იქნება ისიც გაგვეხსენებინა, როგორ განუცხადა მოკავშირეებს სტალინმა 1945 წლის იალტის კონფერენციაზე, რომ თურქეთმა უნდა დაუბრუნოს საქართველოს წართმეული ტერიტორიებიო – სიტყვას საქმეც მოაყოლა დიდმა ბელადმა და სარფიდან ვიდრე ტრაპიზონამდე უკვე რაიკომის მდივნობის კანდიდატებსაც კი განიხილავდნენ პოლიტბიუროში და რომ არა დღევანდელი ჩვენი „მეგობარი“ აშშ, რომელმაც სტალინის მადის მოსათოკად, მის დასაშინებლად, უკვე დამარცხებულ იაპონიას ატომური გენოციდი მოუწყო, ვინძლო დღეს ტრაპიზონში ყოფილიყო საქართველოს საზღვარი...

მაშ, ვინ არის „მტერი მამულის“ და ვინ უნდა “მივცეთ მახვილსა ლესულსა“?

სწორი, თანმიმდევრული და რაც უმთავრესია, გულწრფელი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, მით უმეტეს ერთმორწმუნის მოყვრად ქცევა ადვილი შესაძლებელია!

უმადურობა დიდი ცოდვაა, ხოლო ისტორიული უმადურობის ცოდვისთვის პასუხს მთელი ერი აგებს. ამიტომ, როდესაც რუსეთის მხრიდან ქართველებისთვის მიყენებულ ზიანზე ვლაპარაკობთ, არც რუსეთთან თანაცხოვრების სიკეთეები უნდა დავივიწყოთ!

მთავარი მტერი მამულის თავისუფლების ინსტიტუტი და მის ბაზაზე დაჩეკილი გველის წიწილები, ოკეანის გაღმიდან თუ ევროპიდან უხვად ფინანსირებული ასოები, მათი სკოლაგამოვლილი ლიბერასტი პოლიტიკოსები არიან, რომლებმაც რუსეთს ლამის საშვილიშვილოდ გადაგვკიდეს, რომლებიც ყოველგვარ ქართულს, მართლმადიდებლურსა და ტრადიციულს უკვე აშკარად ებრძვიან და სწორედ ისინი უნდა “მივცეთ მახვილსა ლესულსა”. საბოლოო ჯამში დღეს ულმერთობა ებრძვის ღმერთს, უზნეობა, ზნეობას, პედერასტობა – ვაჟკაცობას, ნორმალურობა, არანორმალურს და ყველა ნორმალური ადამიანის სიმპათიები რუსეთის მხარეს იხრება!

მიუხედავად ამისა, საქართველოში დღემდე არ არსებობს ძლიერი, ე.წ. რუსული ლობი და ეს, უწინარესად, თავად რუსეთის ბრალია, რომელიც სერიოზულ კაპიტალს არ დებს ქართულ პოლიტიკაში და რასაც დებს, ისეთ ოდიოზურ პიროვნებებზე გავლით, რომ პრორუსულობის იდეა თავშივეა დისკრედიტირებული.

ამიტომაა, რომ ქართულ რეალპოლიტიკაში შესასვლელი საშვი იმაზე გადის, როგორ გააღმერთებ ამერიკას და, შესაბამისად, როგორ აგინებ რუსეთს!

არადა, თუნდაც მხოლოდ იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთთან ერთ სახლში 2 საუკუნე ვიცხოვრეთ, აბსოლუტურად ნორმალურია, რომ ყოველგვარი „პროების“ გარეშე საქართველოში არსებობდეს ქართული, ეროვნულ-ტრადიციულ-მართლმადიდებლურ ღირებულებებზე დაფუძნებული პარტია, რომელიც საქართველოს მომავალს რუსეთს დაუკავშირებდა და ამის გამო მოღალატედ არ შერაცხავდნენ.

აი, ეს კი იმის ბრალია, რომ საქართველოში დღემდე არ აღმოჩ-



ნდა პოლიტიკოსი, რომელიც პირდაპირ, ყოველგვარი რევერანსების გარეშე დასავლეთის თუ ადგილობრივი ლიბერასტების მიმართ გაბედავდა და ყველაფერს თავის სახელს დაარქმევდა...

ჰოდა, მე ვბედავ...

მხოლოდ რუსეთთან ერთად მიჩანს საქართველოს მომავალი განვითარება, მხოლოდ რუსეთთან ერთად მიჩანს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა! მხოლოდ რუსეთთან ერთად ვხედავ მართლმადიდებლობის გამარჯვებას და, აქედან, მხოლოდ რუსეთთან ერთად მიჩანს საკუთარი იდენტობის გადარჩენა!

რუსეთთან ერთად მიჩანს, რომ სახელმწიფოც მქონდეს და სამშობლოც!

**P.S.** ზემორე თქმულიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობას ალტერნატივა არა აქვს!

მიუხედავად ამისა 4 წელიწადია არ დაადგა საშველი რუსეთ-საქართველოს პირველ პირთა უმაღლეს დონეზე შეხვედრას, რომლის ინიციატივა ყოველთვის რუსეთიდან მოდის. არადა პირიქით უნდა იყოს, რადგანაც კითხვა – ვის უფრო სჭირდება ,ეს შეხვედრა, რუსეთს თუ საქართველოს, რიტორიკულია!

ეს იმას ჰგავს, რომ სახლის შენება სახურავიდან დაიწყო!

სოხუმ-ცხინვალის პრობლემის მოგვარება გრძელვადიანი ამოცანა უნდა იყოს...

მართალია ამ პრობლემის გასაღები მოსკოვშია, მაგრამ ეს ბურატინოს გასაღები არ არის, რომლის ერთი გადატრიალებით სამოთხის კარები გაიღება!

თუ ვინმეს ჰგონია, რომ პუტინის ერთ ბრძანებაზე აფხაზები და ოსები მუხლიჩოქვით მოფორთხდებიან და ქართული ჯარის ამერიკულ ბაშმაკებს დაუწყებენ ლოშნას, ძალიან ცდება!

საერთოდ, უნდა გვესმოდეს და შევეგუოთ იმ აზრს, რომ ეს, თუნდაც მხოლოდ რუსეთის მიერ აღიარებული დამოუკიდებელი სახელმწიფოები ავტონომიური სტატუსით აღარასოდეს შემოვლენ საქართველოს შემადგენლობაში – ყოველ შემთხვევაში უახლოეს მომავალში ეს არ მოხდება!

ის პოლიტიკოსი კი, რომელიც საპირისპიროს ამტკიცებს,




ან ბრიყვი ურაპატრიოტია და ან ჭკვიანი დემაგოგი!

არა და არ წყდება სამთავრობო თუ არასამთავრობო ხლისტების ურაპატრიოტული ღნავილი, რომ შეხვედრა მხოლოდ საქართველოს დეოკუპაციის დღის წესრიგით უნდა შედგეს, რაც იმას ნიშნავს, რომ შეხვედრა არ შედგება, რადგან

ნებისმიერ შემთხვევაში ყველაფერი რუსეთის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული და წადი რა, შეხვდი, დაელაპარაკე, როგორც იტყვიან, იქნებ თხა იყოს, ტყუპი მოიგოს...

წინაპირობების წაყენებას რუსეთს აშშ ვერ უბედავს და საქართველო ვის დაკარგვია?

**გიორგი ჩხეიძე**
234 28 97

**რედაქციისგან: „საერთო გაზეთის“ რედაქცია არ ეთანხმება ავტორის ზოგიერთ უკიდურესად რადიკალურ მოსაზრებას, თუმცა ყველა მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება და მათ შორის იმ მოსაზრებებსაც, რომლებსაც ბატონი დავითი ამ წერილში გამოთქვამს.**

**ამიტომაც გადავწყვიტეთ ამ წერილის გამოქვეყნება და ველით თქვენს გამოხმაურებას, ძვირფასო მკითხველებო!**

**„ს.გ“**

# რაში ჭირდება კონტროლიორს კონტროლიორი?

საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, მიწისზედა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა, აგერ უკვე რამდენი წელია, გაუსაძლისია. მილიონიანი ქალაქი, ფაქტობრივად, უკრაინული წარმოების „ბოგდანის“ მარკის ავტობუსების ამარაა დარჩენილი. სამარშრუტო ტაქსები მხედველობაში მისაღები არ არის, რადგან მოსახლეობის დიდ ნაწილს არ შეუძლია ერთჯერადი მგზავრობისთვის 80 თეთრის გადახდა.

უკრაინიდან ავტობუსები „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პერიოდში შემოიყვანეს. ამას წინ უძღოდა ტრამვაი-ტროლეიბუსების დედაქალაქის ქუჩებიდან გაძევება, რაც, მოსახლეობის აზრით, დანაშაულის ტოლფასი აღმოჩნდა. ამის გარდა, თითქმის ყველა ნომრის ავტობუსებს მარშრუტების მანძილი, ფაქტობრივად, გაუნახევრეს. ამ გარემოებამ კი მგზავრებს დისკომფორტი შეუქმნა, რადგან დანიშნულ ადგილამდე მისასვლელად საჯირო ნომრის ლოდინი დიდი ხნით უწევთ. ამას გარდა, ხშირად ისეთი ჭედვაა, სურვილის მიუხედავად, მგზავრი, უბრალოდ, ვერ ადის ავტობუში. იკარგება ძვირფასი დრო, იხარჯება ზედმეტი ფული.

ნომერი 37-ის მარშრუტი ერთ-ერთ დიდ მანძილზე მოძრაობით გამოირჩევა. თბილისის აეროპორტიდან კახეთის გზატკეცილის გავლით ვაგზლის მოედანზე მიდის. პატარა ავტობუსები კი მგზავრთა ჭარბ რაოდენობას ნამდვილად ვერ აუდის. აქვე სათქმელია, რომ სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო თბილისში მოძრავი ავტობუსების დიდი ნაწილი ამორტიზებულია. ჩვენი მოკრძალებული აზრით, ამის ერთ-ერთი მიზეზი მანქანების მგზავრებით გადატვირთვაა. ახლა მხოლოდ 37 ნომერი ვახსენეთ, მაგრამ ვინც ქალაქში ავტობუსებით მოძრაობს, დაგვეთანხმება, რომ თითქმის ყველა მარშრუტზე ანალოგიური ვითარებაა. ამის გარდა, აეროპორტი ხომ ქვეყნის კარიბჭეა – უბრალოდ, უხერხულია, როდესაც თბილისში ჩამოსულ სტუმრებს ასეთი უსახური ტრანსპორტი ხვდება.

მგზავრების გარდა, ავტობუსებით თავად მძღოლებიც არიან უკმაყოფილო. „რაც ეს მანქანები შემოიტანეს, თითქმის ყველა მძღოლს სხვადასხვა დაავადება გაგვიჩნდა. არც ზაფხულშია გამოსადეგი და არც ზამთარში. აბა, წარმოიდგინეთ, 14-16 საათი საჭესთან გაატარო ადამიანმა, ისიც ისეთ მოძრაობაში, როგორც დღეს თბილისშია. იმასაც გეტყვით, რომ ნებისმიერ დროს შეუძლია ჩვენს ადმინისტრაციას შარი მოგვდოს და დაგვაჯარიმოს, ანუ ხელფასიდან ჩამოგვაჭრან თანხა. მინიმალური ჯარიმა კი 50 ლარია. ზოგჯერ 100-150 ლარსაც აჭრიან ხელფასებიდან მძღოლებს“, – გულახდილად გაგვესაუბრა ერთ-ერთი მძღოლი, რომელმაც ანონიმურად ისურვა საუბარი. ამ გაჭირვების დროს უმუშევრად დარჩენა, თავისთავად, არავის სურს.

მძღოლებს შესვენება მხოლოდ 20-30 წუთი აქვთ. ამ დროში უნდა მოასწრონ სადილობა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ავტობუსების ბოლო გაჩერებებზე, მცირე გამონაკლისის გარდა, არც სველი წერტილები აქვთ. ზაფხულში, პაპანაქება სიცხეში, ხშირად დასალევი წყალიც კი სანატრელი აქვთ.

ავტობუსებში საკასო აპარატების დამონტაჟებასთან ერთად გამოჩნდნენ კონტროლიორებიც,



რომლებიც ბილეთების შეძენას ამოწმებენ. ერთი შეხედვით, ცუდი არაფერია, თუ მგზავრი ცივილურად სალაროში შეიძენს ბილეთს. სიმართლე უნდა ვთქვათ და ავტობუსში კონტროლიორები ეხმარებიან მგზავრებს ბილეთების შეძენაში. განსაკუთრებული თავაზიანობას ასაკოვანი ხალხის მიმართ იჩენენ. მოკლედ, თავიანთ საქმეს პირნათლად ასრულებენ. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მძღოლების მსგავსად პრობლემები მათაც ბევრი ჰქონიათ.

დავიწყოთ იმით, რომ მძღოლების მსგავსად კონტროლიორების სამუშაო დღე 14-16 საათია. მართალია, დღეგამოშვებით მუშაობენ, მაგრამ, როგორც გვითხრეს, დაჯდომის უფლება არა აქვთ! როგორი ასატანია მთელი სამუშაო დღის ფეხზე გატარება, ძნელი წარმოსადგენი არ გახლავთ. „სიმართლეს გეტყვით, მეგობარო, მე ადრეც ვმუშაობდი კონტროლიორად. ვერ გავუძელი პირობებს და მივატოვე. სამწუხაროდ, ისეთი სიტუაცია მაქვს, რომ იძულებული გავხდი, კვლავ დამეწყო აქ მუშაობა. თუნდაც ადგილი იყოს და დავჯდეთ, თუ დაგვინახეს, შენიშვნას გვაძლევენ, მასე ვერ იმუშავებთო. თუ რომელიმე მგზავრი უბილეთოდ დაიჭირეს, მასთან ერთად ჩვენც გვაჯარიმებენ. ვისაც არ ეზარება, ყველა ჩვენი უფროსია. ეჰ, გაჭირვებას რა ვუთხრა, თორემ ასეთ პირობებში ერთი წუთითაც არ გავჩერდებოდი“, – გვითხრა ერთ-ერთ ავტობუსში საშუალო ასაკის კონტროლიორმა მამაკაცმა.

თბილისის სხვადასხვა უბნებში გვხვდებიან კონტროლიორები, რომლებსაც ავტობუსების კონტროლიორების მსგავსად, უნიფორმის ქურთუკებზე „მონიტორინგის სამსახური“ აწერიათ. განსხვავება ქურთუკების ფერებშია. ავტობუსის გამყოლებს მწვანე ფერის ქურთუკები აცვიათ, ქვეითად მყოფებს – ლურჯები, ამასთან, ლურჯფორმიანები ვიდეოთვალითაც არიან შეიარაღებულები და ბილეთებს უმოწმებენ ნებისმიერ ავტობუსიდან ჩასულ მგზავრს, მიუხედავად იმისა, ავტობუსში არის თუ არა კონტროლიორი. თუ მგზავრმა ბილეთი გადააგდო ან, უბრალოდ, დაკარგა, ლურჯფორმიანები უმალ დააჯარიმებენ. ავტობუსის გამყოლები კი, როგორც უკვე ვთქვით, 14-16 საათს მუშაობენ მგზავრებთან, ხოლო „ლურჯები“ მოჭრილად 8 საათს. როგორც კულუარულად გვითხრეს, ანაზღაურებაც მეტი ჰქონიათ.

ყველა მათგანს კი გენინსპექცია აკონტროლებს, რომლებიც აგრესიულობით გამოირჩევიან. პირადად შევესწარი, თუ როგორ მიაყენა ნასვამმა გენინსპექტორმა ახალგაზრდა კონტროლიორს შეურაცხყოფა და ბიჯიც წაართვა...

გასაგებია, რომ „ნაცმოძრაობა“ ყველაფერს თავის სასარგებლოდ აკეთებდა, ნებისმიერ სამსახურში თავიანთ მომხრეებსა თუ აქტივისტებს ასაქმებდა. სავარაუდოდ, ალბათ, ასე იყო „მონიტორინგის სამსახურშიც“. ისიც კარგად გვესმის, რომ ძნელია, ადამიანი უმუშევრად დატოვო, მაგრამ გაუგებარია, თუ რა აუცილებლობას წარმოადგენს კონტროლზე კონტროლის დაწესება. თუ არ ვენდობით, რა საჭიროა მაშინ რომელიმე სამსახურის არსებობა. მით უფრო მაშინ, როდესაც უბილეთოდ ასკოლის მოსწავლეების გარდა, ფაქტობრივად, არავინ მგზავრობს. სახელმწიფო ბიუჯეტს ფულს ყაირათიანი ხარჯვა სჭირდება და არა განიავება.

თბილისის მოსახლეობას ბევრი კითხვა დაუგროვდა „თბილისის ავტობუსისადმი“. კითხვები ასეთია:, განახლდება თუ არა ავტოპარკი? ჭორის დონეზე არის საუბრები, რომ აპირებენ ახალი ავტობუსების შემოყვანას და ამ მიზეზით ხომ არ გაძვირდება მგზავრობა? როგორი მანქანები იქნება, გაუმჯობესდება მგზავრობის პირობები თუ კვლავ იგივე სიტუაცია დარჩება? თუ აღადგენენ შემოკლებულ და, საერთოდ, გაუქმებულ მარშრუტებს? თუ იგეგმება მგზავრობის ღირებულების შემცირება? მძღოლებს და, საერთოდ, მომსახურე პერსონალს გაუუმჯობესდება თუ არა სამუშაო პირობები?

აი, რა კითხვებიც დაუგროვდა დედაქალაქის მოსახლეობას. ჩვენი აზრით, ნამდვილად იმსახურებენ, იცოდნენ, თუ როგორ პირობებში მოუწევთ მგზავრობა.

**გია ბურდული**
551 712 707

# ძლიერი რეგიონები


შეხვედრა გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში

## გურია

### მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის პრეზენტაცია

მიმდინარე წლის 15 თებერვლიდან 31 მარტამდე ქვეყნის მასშტაბით რეგიონების მოსახლეობას კვლავ ეძლევა შესაძლებლობა წარადგინოს საკუთარი ბიზნესიდეა და ჩაერთოს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამაში. 20 მარტს გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში გაიმართა მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის, ბიზნესიდეების კონკურსის პრეზენტაცია, რომელსაც გურიის გუბერნატორი **გია სალუქვაძე,** გუბერნატორის მოადგილე **სოსო ერქომაიშვილი,** მეწარმეები და დაინტერესებული პირები დაესწრნენ.

პროგრამა უზრუნველყოფს მეწარმეების, როგორც ფინანსურ ასევე საკონსულტაციო მხარდაჭერას.

### ჩოხატაურელი მოჭადრაკეები საქართველოს ჩემპიონატზე ითამაშებენ

ფოთში დასრულდა საქართველოს 8, 10, 12 წლის ნორჩ მოჭადრაკეთა ჩემპიონატის I ლიგის ბოლო ტური.

ჩოხატაურელ მოჭადრაკეთა საბოლოო მონაგარი ასეთია:

12-წლის ბიჭებში ლუკა ქორიძემ 5 ქულა მოაგროვა და მე-11 ადგილი დაიკავა, რაც მის ასაკში წინგადადმული ნაბიჯია უმაღლეს ლიგაში პრაქტიკის მისაღებად.

8-წლის ბიჭებს შორის საბა ბოლქვაძემ 5 ქულა მოაგროვა და მე-9 ადგილი დაიკავა, ბიჭების შედეგების მიხედით ის ათეულშია. ახალბედა ნორჩი მოჭადრაკისთვის ურიგო შედეგი არ არის.

10-წლიან ბიჭებში ნიკოლოზ კალანდაძემ 4 ქულით მე-18 ადგილი დაიკავა.

მაისში დაგეგმილ საქართველოს ჩემპიონატში ჩოხატაურელი ლუკა ქორიძე და საბა ბოლქვაძე იბრძოლებენ.


საჭადრაკო ტურნირი ფოთში

## იმერეთი

### ქართული ჩაის ხელშეწყობის პროექტის განხილვა იმერეთში

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს პროგრამის „ქართული ჩაის“ მენეჯერმა **ლევან უროტაძემ** და იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის პირველმა მოადგილემ **პაატა ნადირაძემ** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს, ადგილობრივ კოოპერატივებსა და ფერმერებს პროგრამა „ქართული ჩაი“ გააცნეს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ პროგრამის პირველი ეტაპის განხორციელება თებერვლიდან დაიწყო. პროგრამის მიზანია საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება, ადგილობრივი ჩაის (მათ შორის ბიოჩაის) წარმოების ზრდის ხელშეწყობა, რაც საექსპორტო პოტენციალის გაზრდას უზრუნველყოფს. პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია. საამისოდ დაფინანსებას მიიღებენ იურიდიული პირები, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. განსაკუთრებული შეღავათებია გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის, რაც საქართველოში კოოპერაციის განვითარებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

## კახეთი

### „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა დედოფლისწყაროში

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მოსახლეობასთან შეხვედრები გაიმართა. მუნიციპალიტეტის გამგებელი **ნიკოლოზ ჯანიაშვილი**, გამგებლის პირველი მოადგილე **სოლომონ ღორაშვილი,** საკრებულოს წევრებთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, სოფლების – ზემო მაჩხაანის, მირზაანისა და არბოშიკის მოსახლეობას შეხვდნენ.

სოფელ ზემო მაჩხაანის მოსახლეობის გადაწყვეტილებით, „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გამოყოფილი 40 490 ლარით, სოფელში დარჩენილი 5 უბანში მოეწყობა გარე განათება და კულტურის სახლის ეზოში სველი წერტილი.


„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის პრეზენტაცია

სოფ. არბოშიკის მცხოვრებთა გადაწყვეტილებით, მოეწყობა დარჩენილი უბნების გარე განათება, მოიხრეშება სოფლის შიდა გზები, სპორტულ მოედანზე კალათბურთის ფარები დაყენდება, გაიწმინდება უთრუთაანთ წყლის I სათავე-ნაგებობა, ორმოღელის უბანში მოეწყობა მცირე სანიაღვრე არხი. სამუშაოებისთვის 34120 ლარია გამოყოფილი.

სოფ. მირზაანში „სოფლის პროგრამის მხარდაჭერით“ გამოყოფილია 14 910 ლარი, რომელიც მოხმარდება მირზაანის სასაფლაოების შემოღობვას და გონაანთ უბანში სასმელი წყლის გაყვანას.

### წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები თელავში

ქალაქ თელავის საკრებულოში, დეპუტატთა ინიციატივით, გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოში სახელმწიფო ნავთობკომპანიის, ტრესტ „ნეფთგაზთიქინთის“ წარმომადგენლობის ხემძღვანელი **ფარმაილ მამედოვი,** ქალაქ თელავის საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილ თხლაშიძე,** თელავის მერი და საკრებულოს დეპუტატები.

შეხვედრაზე იმსჯელეს ქალაქში მიმდინარე წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე, რომელსაც ახორციელებს „ნეფთგაზთიქინთი“. აგრეთვე ამ სამუშაოების დროს დაზიანებული საგზაო მონაკვეთების შეკეთებაზე.

პასუხისმგებლობა არსებული პრობლემის მოგვარებაზე კომპანიის წარმომადგენელმა იტვირთა. სამუშაოს დეტალების დასაზუსტებლად ქალაქ თელავის საკრებულოს, მერიისა და თელავის წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრა უახლოეს ერთ კვირაში იგეგმება.

## სამეგრელო-ზემო სვანეთი

### სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ანგარიში

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა **ლევან შონიამ** ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის უნივერსიტეტში სტუდენტებს რეგიონში მთავრობის საქმიანობის 3 წლის და გუბერნატორის საქმიანობის 2 წლის ანგარიში წარუდგინა.

სამი წლის განმავლობაში რეგიონში 1359 მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, რისთვისაც ბიუჯეტიდან 632 მილიონი ლარი დაიხარჯა, სამუშაოების შესრულების დროს დასაქმდა 9 ათასამდე ადგილობრივი მცხოვრები.

გუბერნატორმა სტუდენტებს 2016 წელს დაგეგმილი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები გააცნო.

სამეგრელო-ზემო სვანეთში 2016 წელი ახალგაზრდობის წლად ცხადდება. წელს რეგიონში 3 სპორტის სასახლის მშენებლობა იწყება.

მხარის გუბერნატორმა სტუდენტებს ამცნო, რომ თბილისის შემდეგ ზუგდიდი იქნება მეორე ქალაქი, სადაც ტექნოპარკი აშენდება. უკვე მიმდინარეობს ტერიტორიის შერჩევის პროცესი.

ლევან შონიამ სტუდენტებს ახალი ინიციატივაც გააცნო – ქალაქ ზუგდიდის მერიას უკვე შემუშავებული აქვს პროექტი, რომლის თანახმადაც სტუდენტები საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის დროს ნახევარ ფასს გადაიხდიან, ხოლო სოციალურად დაუცველი სტუდენტები უფასოდ იმგზავრებენ.

სახელმწიფო რწმუნებულმა სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა. შეხვედრას რეგიონის გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები ესწრებოდნენ, სტუდენტებს შეკითხვების დასმა და ამომწურავი პასუხების მიღება მათგანაც შეეძლოთ.

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ასეთ შეხვედრას გეგმავს რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ფოკუს-ჯგუფებთან.

### მესტია: ახალგაზრდების საყურადღებოდ!

სს მისო „კრისტალის“ ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლა აცხადებს 17-დან 30 წლამდე ასაკის იმ ახალგაზრდების მიღებას, რომლებსაც სურვილი აქვთ წამოიწყონ საკუთარი ბიზნესი.

პროგრამა განხორციელდება საქართველოს 21 ქალაქში, მათ შორის მესტიის მუნიციპალიტეტში.

ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლა ითვალისწინებს ორეტაპიან სწავლებას. პირველ ეტაპზე მსმენელები გამოიმუშავებენ გადაწყვეტილების მიღების, თვითორგანიზების, მართვის, დაგეგმვის, ანალიზის და სხვა პრაქტიკულ უნარებს. მეორე ეტაპზე თავად მონაწილეები მოამზადებენ საინვესტიციო წინადადებებს, რომელთაგან საუკეთესოები დაფინანსდება.

მონაწილეები ღია კონკურსის წესით შეირჩევა. კურსი მოიცავს სწავლების თანამედროვე მეთოდებს, რეალურ ბიზნეს-გარემოში პრაქტიკულ სავარჯიშოებს და კონკრეტულ ბიზნეს-წინადადებებზე მუშაობას.

კურსის დამთავრების შემდეგ ყველა მონაწილეს გადაეცემა სერტიფიკატი, ხოლო გამარჯვებული ახალგაზრდა მეწარმეები მიიღებენ ბიზნესის დასაწყებად აუცილებელ კაპიტალს.

გისურვებთ წარმატებებს!

### სენაკში რეგიონალური სამედიცინო ცენტრი შეიქმნება

სენაკს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები – სამედიცინო ინფრასტრუქტურის განვითარების ექსპერტები ეწვივნენ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტაციონარული განვითარების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს ორ ქალაქში – სენაკსა და თელავში აშენდება და განახლდება ფსიქიატრიული დაწესებულებები. ჩინელი ექსპერტები, რომლებიც სენაკის სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერის შენობისა და ტერიტორიის შესასწავლად ჩამოვიდნენ, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელ **გოჩა დგებუაძეს** და შესაბამისი სამსახურებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ. დაგეგმილია დისპანსერის თანამედროვე სტანდარტების დონეზე რეაბილიტაცია, ახალი კორპუსის მშენებლობა და მისი

# ძლიერი საქართველოსთვის



შეხვედრა ჩინური კომპანიის წარმომადგენლებთან სენაკში

აღჭურვა თანამედროვე სამედიცინო აპარატურით. აქვე განთავსდება კრიზისული სისტემის მართვის სამედიცინო დაწესებულება.

## მცხეთა-მთიანეთი

### "მთის კანონის" ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია დაიწყო

2016 წლის 2 მარტს ,რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე **თენგიზ შერგელაშვილი,** სამინისტროს სხვა წარმომადგენლებთან ერთად დუშეთის თვითმმართველობის წარმომადგენლებსა და დაბა ფასანაურის მოსახლეობას შეხვდა. ადგილობრივ მოსახლეობას გააცნო „საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების შესახებ".

შეხვედრაზე თენგიზ შერგელაშვილმა დეტალურად ისაუბრა კანონით გათვალისწინებულ სოციალურ და საგადასახადო შეღავათებზე, სტატუსის მიღების წესზე. სამინისტროს წარმომადგენლებმა მოსახლეობას საინფორმაციო ბუკლეტები დაურიგეს, სადაც მათთვის საჭირო და საინტერესო ინფორმაციაა წარმოდგენილი.

შეხვედრას ესწრებოდნენ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი **ვაჟა ჩოხელი,** მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე **კობა არაბული**.

### დუშეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები

დუშეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები. კარიაულების დასახლებაში, დუშეთის ხევის მიმდებარე ტერიტორიაზე კეთდება ნაპირსამაგრი გაბიონი და სოფელ ტონჩის შესასვლელში მდებარე ხიდის დამცავი კედელი. აღნიშნულ სამუშაოებს ასრულებს შ.პ.ს. „გეო-მონტაჟი".



სამუშაოები დუშეთის მუნიციპალიტეტში

## სამცხე-ჯავახეთი

### ელიაწმინდაში სოფლის სახლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ელიაწმინდაში სოფლის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ლომიძე**.



ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაული მარნეულში

უკვე გამოცვლილია კარ-ფანჯარა და სახურავი. დაგეგმილია სარინელის მოწყობა, ელექტრო- და წყალგაყვანილობის შეცვლა, ფასადის შეკეთება და შენობაში არსებული ოთახების მოწყობა, საკანალიზაციო სისტემის დამონტაჟება.

სოფლის სახლში დაგეგმილია, ამბულატორიის, წარმომადგენლის ოთახისა და ახალგაზრდების თავშეყრის ადგილის მოწყობა.

მშენებლობაზე 12 ადამიანია დასაქმებული. რეაბილიტაცია ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

სოფელ ელიაწმინდაში, სადაც 51 კომლი ცხოვრობს წლების განმავლობაში არ იყო მედპუნქტი, ხოლო ახალგაზრდებს არ ჰქონდათ თავშეყრის ადგილი.

### „ბაკურიანობა 2016"

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით, „ბაკურიანობა 2016" ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. სახალხო დღესასწაულის ფარგლებში გაიმართა როგორც სპორტული, ისე კულტურული ღონისძიებები.

პირველ დღეს დიდველზე სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში შეჯიბრება გიგანტური სლალომსა და სნოუბორდში გაიმართა. ასპარეზობები ჩატარდა ასევე სათხილამურო რბოლაში, ცხენებით ჯირითსა და „ბურანებით" შეჯიბრში.

გამარჯვებულები ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელმა **დიმიტრი ყიფიანმა,** გამგებლის პირველმა მოადგილემ **ანზორ სვანიძემ** და საკრებულოს დეპუტატებმა **ზურაბ პურტანიძემ** და **ზურაბ ხაჩიძემ** დააჯილდოვეს. პრიზების გადაცემაში მონაწილეობა მიიღეს ასევე ბაკურიანში სტუმრად მყოფმა ლეგენდარულმა კალათბურთელმა **ნიკოლოზ დერიუგინმა** და ბაკურიანელმა სპორტსმენმა **გიორგი დიაკონაშვილმა**.

საპრიზო ადგილების მიხედვით მონაწილეებს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტისაგან მედლები, სიგელები, თასები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

როგორც კულტურის სამსახურის უფროსმა **მარინა ხუჯაძემ** აღნიშნა პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასულ მონაწილეებს სპორტული მაღაზია ადრენალინის 100, 70, და 50 ლარიანი ვაუჩერები გადაეცათ, 15 წლამდე ასაკის სპორტსმენებმა კი მაჯის სპორტული საათები მიიღეს.

სპორტული ღონისძებები დღის ბოლოს გალა კონცერტით დასრულდა.

## ქვემო ქართლი

### ნოვრუზ–ბაირამი–2016 მარნეულში

მარნეულის მუნიციპალიტეტში ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული მასშტაბურად აღინიშნა. სახალხო დღესასწაულის მისალოცად და ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ქვემო ქართლის რეგიონს სტუმრობდნენ საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი,** პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი,** ცენტრალური და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები. მათ რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორმა **პაატა ხიზანაშვილმა** უმასპინძლა.

დღესასწაულის აღსანიშნავი ღონისძიებები მუნიციპალიტეტში დილიდან დაიწყო. საზეიმო ღონისძიება მარნეულის ცენტრში გაიმართა. ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და საპატიო სტუმრებმა დაათვალიერეს რაიონების მიხედვით მოწყობილი საგამოფენო კუთხეები, გამგეობის წინ საგანგებოდ ამ დღისთვის მოწყობილი გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ამსახველი ფოტომასალა, აგრეთვე ადგილობრივი წარმოების პროდუქცია, მონაწილეობა მიიღეს სახალხო მსვლელობასა და დღესასწაულისთვის დამახასიათებელ რიტუალებში.

გიორგი მარგველაშვილმა, გიორგი კვირიკაშვილმა და პაატა ხიზანაშვილმა ადგილობრივ მოსახლეობას სცენიდან მიულოცეს ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული.

## აჭარა

### ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები სოფელ ირემაძეებში

ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი **რამინ მეხეშიძე**, გამგეობისა და რესურს- ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად **მერაბ ჭელიძის** სახელობის სოფელ ირემაძეების საჯარო სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს შეხვდნენ. შეხვედრის მიზანი იყო სკოლის მოწაფეებისთვის სამხედრო სამსახურთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება. რამინ მეხეშიძემ სკოლას სამხედრო თემატიკასთან დაკავშირებული ფოტოები გადასცა საჩუქრად. სკოლის მოსწავლეებმა პატრიოტულ თემატიკასთან დაკავშირებული ლექსები წაიკითხეს. შეხვედრაზე ისაუბრეს 2008 წლის ომში გმირულად დაღუპული მერაბ ჭელიძის განსაკუთრებულ ღვაწლზე სამშობლოს წინაშე. გამგეობის წარმომადგენლებმა ახალგაზრდებს სამხედრო სავალდებულო სამსახურთან დაკავშირებულ შეკითხვებზეც უპასუხეს. მსგავსი შეხვედრები სხვა საჯარო სკოლებშიც არის დაგეგმილი.



თათბირი ხულოს მუნიციპალიტეტში

### შუახევში 2016 წელს 25 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება

შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელს **ტარიელ ებრალიძეს** ინფრასტრუქტურული ღონისძიების ფარგლებში მიმდინარე პროექტებზე არსებული მდგომარეობა შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებმა გააცნეს და დაგეგმილ ღონისძიებებზე იმსჯელეს.

შეხვედრას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ნოდარ ქარცივაძე** და სხვა ხელმძღვანელი პირებიც ესწრებოდნენ.

შუახევის მუნიციპალიტეტში 2016 წლის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა დაგეგმილი, რომელთა შესასრულებლად აჭარის მთავრობამ მუნიციპალიტეტს კაპიტალური ტრანსფერის სახით 2 000 000 ლარი გამოუყო, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1 140 000 ლარი დაიხარჯება. 25 ინფრასტრუქტურული პროექტიდან პრიორიტეტულია სხალთის ხეობიდან ფურტიო, ბუთურაულის და ნენისათვის სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა, აგრეთვე ბაგა-ბაღების მშენებლობები და ინვენტარით აღჭურვა, სპორტული მოედნების მშენებლობა და საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა.

# იან ფლემინგი – მხიარული მზვერავი

**2008 წელს შესრულდა 100 წელი ცნობილი მწერლის იან ფლემინგის დაბადებიდან, რომელმაც ლეგენდარული აგენტი 007 ჯეიმს ბონდი შექმნა. იან ფლემინგის პიროვნებაც ისეთივე უნიკალურია, როგორც მისი სუპერგმირისა. ფლემინგის თაყვანისმცემლები თვლიან, რომ მისი გმირის თვისებებს მწერალი საკუთარი თავიდან „იწერდა“.**



## არისტოკრატი–კორესპონდენტი

იან ფლემინგი ქვეყანას 1908 წლის 28 მაისს დაიბადა. ეს მოვლენა ლონდონში მოხდა და ამის შესახებ იქაურ გაზეთებში დაიბეჭდა – არისტოკრატული და მდიდარი ოჯახის მემკვიდრის დაბადება მაღალი წრის ქრონიკის რეპორტიორების ყურადღებას იმსახურებდა.

ფლემინგს უზრუნველი ბავშვობა ჰქონდა, მაგრამ სრულიად ბედნიერს მას ვერ უწოდებ. როცა ბიჭუნა 6 წლის გახდა, მისი მამა გმირულად დაიღუპა პირველ მსოფლიო ომში. გაზეთში დაბეჭდილი ნეკროლოგი თავად უინსტონ ჩერჩილის მიერ იყო დაწერილი, რომელიც აწ გარდაცვლილ მაიორ ვალენტაინ ფლემინგთან მეგობრობდა.

როდესაც იანი წამოიზარდა, წარმომავლობის, კავშირებისა და ფულის წყალობით მის წინ ყველა გზა ხსნილი იყო, მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, როცა ყველაფერი იოლად მოგეცემა, არაფერი აღარ გიზიდავს. ფლემინგი პრესტიჟულ იტონში ძლივს სწავლობდა, ზარმაცობდა და „ამორალური ქცევის გამო“ სასწავლებლიდან გარიცხეს კიდეც. იგი ასევე სწავლობდა მიუნხენისა და ჟენევის უნივერსიტეტებშიც.

ამის შემდეგ ფლემინგი სანდხერსტის სამხედრო კოლეჯში აღმოჩნდა, მაგრამ იქიდანაც გამოაგდეს სასწავლებლის თვითნებურად დატოვების გამო. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ყველაფრის მოგვარება, კოლეჯის ადმინისტრაციისთვის პატიების თხოვნა, მაგრამ ფლემინგისთვის სულ ერთი იყო – იგი ცხოვრებაში წინ მიიწევდა, მისთვის მთავარი იყო მხიარული ცხოვრება, ლამაზი გოგონების საზოგადოება, ძვირფასი ღვინოები და ძვირადღირებული ავტომობილები...

მაგრამ არისტოკრატი დედა სულაც არ აპირებდა უსაქმური შვილის ფულით უზრუნველყოფას და იმ დიდებულებით მის გარემოცვას, რასაც ჩვეული იყო. დედა აძალებდა იანს ესწავლა, გამოცდების ჩასაბარებლად საგარეო საქმეთა სამინისტროში გაგზავნა, რათა დიპლომატი გამხდარიყო, მაგრამ იანმა ცუდი ნიშანი მიიღო ინგლისურში და დიპლომატიური კარიერა არ გამოუვიდა. დედას მთელი თავისი კავშირების გამოყენება დასჭირდა, რათა „უსწავლელი“ შვილი „ნაცნობობით“ მიეღოთ სააგენტო „როიტერში“ კორესპონდენტად. ახალმა სამუშაომ მთლიანად გაიტაცა ყველაფრისგან თავმობეზრებული მდიდარი იანი – აქ იყო თავგადასავლებიც, საფრთხეც, მოგზაურობაც და გარშემომყოფების პატივისცემაც...

## წერილი სტალინს

კორესპონდენტად მუშაობის პერიოდში სად აღარ ყოფილა ფლემინგი. მისთვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მივლინება საბჭოთა რუსეთში, მოსკოვში შედგა. 1933 წელს საბჭოთა კავშირში მოხდა დიდი სკანდალი, რომელიც მშენებარე მეტროპოლიტენში მავნებლობას ეხებოდა.

საბჭოთა „მავნებლებს“ შორის აღმოჩნდა 6 ინგლისელი – ფირმა „მერტროპოლიტენ-ვიკერსის“ წარმომადგენლები. სწორედ უცხოელების არსებობამ შემატა ამ სკანდალს ახალი ნოტა – ბრალდება შპიონაჟში. რადგან 1939 წლამდე ჯერ კიდევ შორს იყო, ყველა უცხოელს მხოლოდ მცირე სასჯელი მიესაჯათ და შემდგომ ისინი მშვიდად დაბრუნდნენ ინგლისში. ფლემინგი პროცესს ესწრებოდა და ნანახით გაკვირვებული დარჩა. როგორც ყველა უცხოელი, ვერც იგი ჩასწვდა საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენების არსს, იგი აშუქებდა ჯაშუშების პროცესს და ვერ ხედავდა მასში ვერც ფარსს და ვერც ტრაგედიას... მაგრამ ფლემინგის რერპორტაჟები ძალიან მოეწონათ სამშობლოში.

საინტერესოა, რომ მოგვიანებით ფლემინგმა წერილი მისწერა სტალინს, რომელშიც სთხოვდა, რომ ინტერვიუ მიეცა მისთვის. მაგრამ ყველა დროისა და ყველა ხალხების ბელადმა უპასუხა, რომ, სამწუხაროდ, მას ამისთვის თავისუფალი დრო არ აქვს...

## მზვერავი ფლემინგი

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ფლემინგმა „როიტერიდან“ წასვლა გადაწყვიტა და საბანკო საქმეში აღმოჩნდა. გარშემომყოფთა გასაკვირად, იგი ძალიან სწრაფად გამდიდრდა. იყიდა ძვირადღირებული სახლი, დაიწყო ძვირფასი მანქანების შეძენა, აწყობდა დახვეწილ საღამოებს, სადაც განუსაზღვრელი რაოდენობით ისმებოდა საკოლექციო ღვინოები და მიირთმევდნენ უამრავ ხიზილალას...

მაგრამ მალე ფლემინგს მობეზრდა ბანკის თანამშრომლის ერთფეროვანი სამუშაო და საბირჟო მონაცემებისთვის თვალის მიდევნება, კვლავ მოუნდა თავგადასავლები, მოგზაურობები, საფრთხის შეგრძნება. და ფლემინგმა გადაწყვიტა, მზვერავი გამხდარიყო.

იან ფლემინგმა გამოიყენა ყველა ნაცნობობა, ყველა კავშირი და 1939 წელს იგი მზვერავი გახდა სამხედრო-საზღვაო ფლოტში. იან ფლემინგის ცხოვრების შესახებ ინფორმაციაში ერთმანეთში გადაჯაჭვული იყო სიმართლე და სიცრუე – ჯაშუშობის პერიოდში მისი მოღვაწეობის ფაქტები გასაიდუმლოებულია და ბიოგრაფები უძულებულნი არიან, მინიშნებებით მიხვდნენ, სინამდვილეში რა ხდებოდა.

დარწმუნებით არის ცნობილი, რომ იან ფლემინგმა დაზვერვაში მთელი მეორე მსოფლიო ომის პერიოდი გაატარა, იგი კოორდინირებას უწევდა ამერიკელ მეკავშირეებთან მუშაობას, ხელმძღვანელობდა ნორვეგიელ სამხედრო ტყვეების გათავისუფლებას მცურავი ციხიდან, იყო დაკავებული გერმანელების საიდუმლო ლაბორატორიების ადგილმდებარეობის დადგენით, რომლებიც რაკეტა „ფაუს“ აწარმოებდნენ. მასვე მიაწერენ ალბანეთის მეფის ევაკუაციის ოპერაციას და მარტინ ბორმანის მოტაცებას... გარდა ამისა, ფლემინგმა ნამდვილი ჯაშუშის „ტყავშიც იცხოვრა“ – იგი ცხოვრობდა ოკუპირებულ საფრანგეთში არალეგალურად და იყო დივერსიული რაზმის წევრი.

ამბობენ, რომ სწორედ დაზვერვაში მუშაობისას გაუღვივდა ფლემინგს ლიტერატურული ნიჭი – მისი ანგარიშებს გაწეული სამუშაოს შესახებ თვალს ვერ წყვეტდნენ, იმდენად ორიგინალური და ფერადოვანი იყო ისინი.

და მალევე ფლემინგს მიეცა შესაძლებლობა, საკუთარი ნიჭი სრულად გამოევლინა.

## წელს ქვემოთ

1946 წელს ფლემინგს მობეზრდა სადაზვერვო თამაშები და თადარიგში გავიდა. ცოტა ხნით ადრე იგი იამაიკაზე მოხვდა და მას ეს ადგილი დედამიწაზე სამოთხედ მოეჩვენა. ფლემინგმა გადაწყვიტა, ამ კუნძულზე მამული ეყიდა და არაჩვეულებრივ ბუნებასა და კეთილგანწყობილ ადამიანებს შორის ეცხოვრა. დროის ნაწილს კვლავ ლონდონში ატარებდა, სადაც თავისდა საუბედუროდ გაიცნო ლედი ანა როტერმერი. ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება, რომელმაც გამოცდილი მზვერავი „ძირს დასცა“...

ლედი ანა გათხოვილი იყო და უბედური შეყვარებული იამაიკაზე დარჩა, თავის მამულში „ოქროს თვალი“, სადაც გადაწყვიტა, დაეწერა რომანი მზვერავების შესახებ. მოგვიანებით ფლემინგი აღიარებდა, რომ მის მიერ გამოგონილი სუპერაგენტი ჯეიმს ბონდი მისი მსხნელი აღმოჩნდა – ლიტერატურული პერსონაჟის დაუცხრომელი ენერგია მის შემქმნელს უშრეტ შთაგონებას ანიჭებდა! და გაუზიარებელი სიყვარულის ვნებანი მეორე პლანზე გადადიოდა.

პირველი რომანი გამომცემლებმა ცუდად მიიღეს, მაგრამ მკითხველები მაშინვე დაინტერესდნენ აღუშფოთებელი, მშვიდი და გონიერი ბონდის თავგადასავლებით და მოითხოვდნენ გაგრძელებას. ფლემინგი აგრძელებდა მუშაობას და მალე ყოველი მისი ახალი რომანი მილიონობით ტირაჟებით იყიდებოდა და შემქმნელისთვის ბევრი ფული და სახელი მოჰქონდა. მწერალს თაყვანისმცემლები ყველა ქვეყანაში გაუჩნდა. ამერიკის პრეზიდენტმა, ჯონ კენედიმაც აღიარა, რომ მისი საყვარელი რომანი იყო „სიყვარულით – რუსეთიდან“.

ჯეიმს ბონდი კი კვლავ და კვლავ ახალი მკითხველების გულებს იპყრობდა. ფლემინგი ამბობდა, რომ თავის წიგნებში უმიზნებს „წელს ქვემოთ“ – ესე იგი, მდაბალ გრძნობებზე თამაშობს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯეიმს ბონდი ყოველთვის ამარცხებდა ბოროტებას. ჯეიმს ბონდის ცნობილ ნომერში „007“ ორი ნოლი აღნიშნავდა, რომ მას მოკვლის უფლება აქვს...

თავად ფლემინგი საკუთარ წიგნებს საკმაოდ არასერიოზულად უყურებდა. ის ამბობდა: „წიგნებს წერენ სახელის, სიამოვნებისა და ფულისთვის. მე ვწერ სიამოვნებისა და ფულისთვის“. მისი ჰონორარები იზრდებოდა და იზრდებოდა. ფლემინგმა იყიდა ციხესიმაგრე ლონდონის მახლობლად და ხან იქ ცხოვრობდადა ხან იამაიკაზე. საყვარელმა ქალმა, ბოლოსდაბოლოს, გადაწყვიტა, მეუღლეს გაყროდა და ფლემინგთან წასულიყო.

იან ფლემინგის ცხოვრება ზღაპარს ჰგავდა – სიყვარული, წარმატება, ფული, მრავალფეროვანი ინტერესები. წერისგან თავისუფალ დროს ფლემინგი წყალქვეშა ცურვით იყო გადაცებული – იგი მონაწილეობას იღებდა ექსპედიციებში ჟაკ-ივ კუსტოსთან ერთად, ეძებდა მეკობრეთა დამალულ ძვირფასეულობებსა და ჩაძირულ გაძეულს...

დაიწყეს მისი წიგნების ეკრანიზაცია, რამაც მას კიდევ უფრო მეტი სახელი და ფული მოუტანა.

მაგრამ ფლემინგმა სამყაროსთან ჰარმონიაში დიდხანს ვერ იცხოვრა. 1964 წლის 10 აგვისტოს გოლფის თამაშის დროს თავი ცუდად იგრძნო, 13 აგვისტოს ღამეს კი გარდაიცვალა გულის შეტევით.

მაგრამ ბონდიანა მისი სიკვდილის შემდეგ არ დასრულებულა. წიგნები და ფილმები მოუხელთებელი აგენტ 007-ის შესახებ კვლავ გამოდის. თუმცა, ფლემინგის თაყვანისმცემლები თვლიან, რომ ბონდის შესახებ ვერასდროს ვერავინ ვეღარ დაწერს, რადგან იან ფლემინგი მის სახეს საკუთარი თავიდან „იწერდა“.



მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22

# იცით თუ არა, რომ...

ტატუირება ძველი წელთაღრიცხვით მეხუთე საუკუნეში, იაპონიაში იღებს სათავეს და მას ირეძუმი ერქვა.

* * *

საფრანგეთში ყველის 125 სახეობა არის ოფიციალურად რეგისტრირებული.

* * *

აღიარებულ მატადორ ქალს ქრისტინა სანჩესს, თავისი კარიერის მანძილზე ოთხასზე მეტი ხარი ჰყავს მოკლული.

* * *

შუა საუკუნის ციხე-სიმაგრეების დილეგებში უმეტესად დამწყვდეული ყავდათ არა კრიმინალები, არამედ ტყვე რაინდები, რომლებიც გამოსასყიდის მიღებას წლების მაძილზე ელოდნენ.

* * *

სირაქლემას თვალები მისივე ტვინზე დიდია.

* * *

ღარიბ ადამიანებს მაიას ტომის ინდიელები საკუთარ სახლში მარხავდნენ.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ენდრიუ ჯონსონს არასოდეს უსწავლია სკოლაში. მას კითხვა 17 წლის ასაკში შეასწავლა მომავალმა მეუღლემ ელიზა მაკარდელიმ.

* * *

მზე ჩვენგან 140 მილიონ კილომეტრზეა. სინათლე 8 წუთს ანდომებს ამ მანძილის გავლას. ბგერა უფრო ნელა მოძრაობს. მაგალითად, შესაძლებელი რომ იყოს და მზეზე ზარბაზანი გაისროლონ, მისი ხმა 14 წლის შემდეგ მოაღწევდა ჩვენს ყურამდე.

* * *

საიათნოვას მამა ალეპოელი მნათე იყო, დედა ავლაბრელი სომეხი. იგი ლექსებს ქართულ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თხზავდა. სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ლექსებს საითნოვა ქართული ასოებით წერდა.

* * *

მსოფლიოში ერთ- ერთი უმსხვილესი „ინგლისის ბანკი“ დაარსა მეკობრე უილიამ პიტერსონმა, რომელიც ბაჰამის კუნძულებზე ყაჩაღობდა და ამ გზით დიდძალი ქონება დააგროვა. 1694 წელს პიტერსონმა ძარცვა- გლეჯას თავი დაანება და... ბანკი დაარსა.

* * *

კათედრა ბერძნული სიტყვაა და სკამს ნიშნავს.

* * *

ნათლობის გარდა, ჩვეულებრივ ადამიანს სიცოცხლის განმავლობაში მირონს აღარ ცხებენ. მირონის მეორედ ცხება მხოლოდ მეფეთა ხვედრია.

* * *

1992-93 წლებში დაახლოებით 7 ათასამდე ჩეჩენი და სხვა ჩრდილოეთ კავკასიელი „ბოევიკი“ იბრძოდა აფსუა სეპარატისტების მხარეს.

* * *

თემურ ლენგი ფილტვების ანთებისაგან გარდაიცვალა.

* * *

დაახლოებით 5 ათასი წლის წინ ჰუნებმა ნაძვის ხე წმინდა ხედ აქციეს. მართალია, ჰუნები თანდათან გადაშენდნენ და მეთექვსმეტე საუკუნემდე მხოლოდ ბავარიაში (გერმანია) შემორჩნენ, მაგრამ ნაძვის ხის კულტი დარჩა და ის ბავარიიდან გვარცელდა მთელს ევროპაში.

# ფინანსური ანგარიში სჰკ „კათარზისი“-ის მიერ მიღებული შემოსავლების წყაროებისა და გაწეული ხარჯების მიზნობრიობის შესახებ 2015 წელი

| | |
|---|---|
| **სჰკ „კათარზისი”<br>მოგება და ზარალის ანგარიშგება<br>2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**<br>(თანხები მოცემულია ლარებში) | |
| შემოწირულობა | 987,890 |
| ამონაგები | 430,286 |
| **საერთო შემოსავალი** | 1,418,177 |
| თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები | 428,484 |
| საქველმოქმედო ხარჯები | 540,957 |
| კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები | 73,241 |
| სპონსორების მოზიდვის ხარჯები | 145,170 |
| სატრანსპორტო და საწვავის ხარჯი | 21,527 |
| სამეურნეო ხარჯი | 75,586 |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები | 55,933 |
| რემონტის ხარჯი | 10,574 |
| სხვა მომსახურებაზე გაწეული ხარჯი | 19,800 |
| სხვა ხარჯები | 40,698 |
| საერთო ხარჯი | 1,411,970 |
| **მოგება დაბეგვრამდე** | 6,207 |
| საგადასახადო ხარჯი | 8,387 |
| **მოგება დაბეგვრის შემდეგ** | (2,180) |
| **წმინდა მოგება** | (2,180) |

**სჰკ “კათარზისი”-ს პრეზიდენტი: /ზ. ალადაშვილი/**

**შპს “მ&მ აუდიტი”-ს დირექტორი: /მ. უჯმაჯურიძე/**

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69



* * *

**– არის თუ არა ვალდებული მემკვიდრე, გაისტუმროს მამკვიდრებლის ვალები?**

დიახ, ვალდებულია.

დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484–მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მემკვიდრეები ვალდებულნი არიან, მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად.

ამავე კოდექსის მე–2 ნაწილის მიხედვით, თუ მამკვიდრებელი მემკვიდრეებზე გადასული ვალებით სოლიდარულად მოვალე იყო, მაშინ მემკვიდრეები სოლიდარულად აგებენ პასუხს.

ამავე მუხლის მე–3 ნაწილის მიხედვით, მამკვიდრებლის ვალებისათვის პასუხისმგებელნი არიან სავალდებულო წილის მიმღები მემკვიდრეებიც.

* * *

**– განქორწინებას ვაპირებ მეუღლესთან. შესაძლებელია თუ არა, ეს მოხდეს სასამართლოს გარეშე?**

– დიახ, ეს შესაძლებელია, თუ არსებობობს ორი პირობა: 1. ორივენი თანახმა უნდა იყოთ განქორწინებაზე და 2. არ უნდა გქონდეთ ქონებრივი დავა, ყოველ შემთხვევაში, განქორწინების ეტაპზე.

თუ არსებობს ეს ორი აუცილებელი პირობა, შეგიძლიათ მიმართოთ სამოქალაქო რეესტრის ორგანოს თქვენი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გადაიხდით სახელმწიფო ბაჟს 45 ლარის ოდენობით და სააგენტო კანონით დადგენილი წესით მოახდენს თქვენს განქორწინებას.

* * *

**– შემაქვს სასამართლოში სარჩელი ყოფილი მეუღლის წინააღმდეგ ალიმენტის მოთხოვნით. რა რაოდენობის ბაჟი უნდა გადავიხადო?**

– როდესაც სარჩელი ალიმენტის გადახდა ეხება, მოსარჩელე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდისაგან თავისუფლდება.

* * *

**– ჩემმა შვილმა პირობითი სასჯელის პერიოდში ჩაიდინა ნაკლებად მძიმე განზრახი დანაშაული და ამჟამად სასჯელს იხდის ერთ–ერთ დაწესებულებაში. როდის იქნება შესაძლებელი მისი პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება?**

– როდესაც მოიხდის ფაქტობრივად დანიშნული სასჯელის სამ მეოთხედს.

* * *

**– ჩემი ქალიშვილი განქორწინებულია მეუღლესთან. მათ ჰყავთ ერთი მცირეწლოვანი შვილი. განქორწინების დროს ჩემს ქალიშვილს არ მოუთხოვია ალიმენტის საკითხის განხილვა. შეგვიძლია თუ არა, ახლა მოვითხოვოთ ალიმენტის გადახდა ბავშვის სასარგებლოდ?**

– შეგიძლიათ.

ალიმენტის მოთხოვნა ყოველთვის შეიძლება ბავშვის სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე.

* * *

– შეიძლება თუ არა საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა?

– თქვენს შეკითხვას პასუხობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლი.

ხსენებული მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდეს ნებისმიერ დროს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ცალმხრივი უარი საქორწინო ხელშეკრულებაზე დაუშვებელია.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულება წყდება განქორწინებისას.

* * *

**– სად და რა წესით ხდება განქორწინების რეგისტრაცია?**

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1137- ე მუხლის მიხედვით, განქორწინების რეგისტრაცია ხდება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამავე კოდექსის1138-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე განქორწინების რეგისტრაციას ახდენს სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინების რეგისტრაციის შემთხვევაში სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ამის შესახებ აცნობებს მეორე მეუღლეს, თუ ცნობილია მისი და სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მისამართი, რომელმაც მოახდინა ქორწინების რეგისტრაცია.

# ყველაზე საშინელი ტრადიციები მსოფლიოში





● რიტუალი სიმაღლიდან ხტომაში სოფელ ბენლუაზში ტარდება. იმ მომენტში, როცა მამაკაცები მზად არიან ხტომისთვის, სოფლის სხვა მაცხოვრებლები მღერიან და ცეკვავენ. მამაკაცებს ფეხები ხის ტყავისგან დამზადებული სპეციალური ღვედებით აქვთ შეკრული. ისინი მიიჩნევენ, რაც უფრო დიდი სიმაღლიდან გადმოხტებიან, მეტად იქნებიან დალოცვილი ღმერთებისგან.

● მზის ცეკვა ამერიკის ინდიელების ერთ-ერთი ტომის ტრადიციული რიტუალია. ცეკვა სრულდება თოკით, რომლითაც უზარმაზარ ხის ბოძზე ძუძუებით არის მიბმული მოცეკვავე. მოძრაობა სრულდება წინ და უკან, თან მოცეკვავის სხეული მიბმულია იმ ხის ბოძთან. ცეკვის დროს ადამიანი იმდენ სისხლს კარგავს, რომ რიტუალი ხშირად რამდენიმე მოცეკვავის სიკვდილით სრულდება.



● მიცვალებულებთან ცეკვა მადაგასკარში ერთ მიზანს ემსახურება – მიცვალებულის სულმა რაც შეიძლება მალე მიაღწიოს საიქიოში ნათელ ცხოვრებას. ამიტომაც მკვდარს გარდაცვალების შემდეგ სასწრაფოდ მარხავენ, რათა ორი წლის შემდეგ ამოთხარონ და მასთან ერთად იცეკვონ ღია საფლავის გარშემო. ხოლო შემდეგ საკუთარ მიცვალებულებს სხვა ადგილას მარხავენ. ასე აკეთებენ ყოველ 7 წელიწადში ერთხელ.

● ინდოეთში ერთ-ერთი ტომის წარმომადგენლები არხორი ბაბები, რომელთა სახელწოდება მათ ენაზე ღმერთის ბნელ მხარეს ნიშნავს, იმით არიან ცნობილნი, რომ მიცვალებულებს ჭამენ. მათ მიაჩნიათ, რომ თუ მიცავალებულს შეჭამენ, სიკვდილის შიში გაქრება. არხორები მიიჩნევენ, რომ არ შეიძლება გარდაცვლილი ორსულების, ბავშვების, წმინდანების, გაუთხოვარი ქალების და იმ ადამიანების კრემირება, რომლებიც გველის ნაკბენისგან გარდაიცვალნენ.

მათ მიაჩნიათ, რომ ადამიანი სულის სიმშვიდეს მაშინ მოიპოვებს, თუ მის გვამს ბოლომდე შეჭამენ.

გარდაცვლილებს მდინარე განგს აყოლებენ, შემდეგ კი გვამები გამოაქვთ მდინარიდან და ჭამენ.

● წმინდა თვის მუხარამის პერიოდში შიიტი ისლამისტები თვითგვემის რიტუალს ატარებენ. ამით ისინი აღნიშნავენ ჰუსეინის გარდაცვალების წმინდა ხსოვნას. რიტუალის დროს ადამიანები სხეულებს ისერავენ სამართებლით, რომელიც მათრახზეა მიმაგრებული. როგორც ამბობენ, ამ დროს მამაკაცები ტკივილს არ გრძნობენ, რადგან ისინი ერთგვარ რელიგიურ ტრანსში იმყოფებიან.

● ზეციური დაკრძალვა წმინდა რიტუალია ტიბეტში. ბუდისტები მიიჩნევენ, რომ არ არსებობს არავითარი აუცილებლობა გარდაცვალების შემდეგ მიცვალებულის დამარხვის, რადგან მისი ხელახლა დაბადება უნდა მოხდეს.

მიცვალებულების სხეულებს მინდორში მტაცებელ ფრინველებს უტოვებენ სხეული რაც შეიძლება მალე რომ გაქრეს, მას ჭრიან პატარ-პატარა ნაჭრებად, რომ ფრინველებს შეჭმა გაუადვილდეთ.

● აღმოსავლეთ აფრიკაში ყველაზე პოპულარულად ვუდუს მიმდევრობა ითვლება. დღესასწაულებზე ადამიანი იღებს განახლებულ სულს, რადგან მიიჩნევენ, რომ სული მთლიანად მოქმედებს სხეულზე, მათი აზრით, ვუდუს სული რიტუალიდან სამი დღის განმავლობაში ადამიანში იმყოფება.



● იანმარის ტომი ერთ-ერთ ყველაზე პრიმიტიულად ითვლება მსოფლიოში. ადგილობრივები მიიჩნევენ, რომ სიკვდილი არ არის ადამიანის ერთადერთი გამოვლინება, ამიტომ მიცვალებულებს წვავენ და ფერფლს ბანანებზე მოაბნევენ, რის შემდეგაც ჭამენ ამ ხილს.

საინტერესო ისაა, რომ ამ ტომების ბელადები არათუ გმობენ მსგავს რიტუალებს, არამედ პირიქით, ტომის ბელადი წყნარად განაგრძობს მათთან ერთად ცხოვრებას... სიკვდილამდე.

მალაიზიაში მიიჩნევენ, რომ ბოროტი ძალების განსადევნად და მამაკაცური ძალის გასაძლიერებლად ფეხშიშველებმა უნდა გაიარონ ცეცლმოკიდებულ ნაკვერჩხალზე. ამ ცრურწმენის 1000-ზე მეტ მალაიზიელს სჯერა და მასიურად იღებენ ამ რიტუალში მონაწილეობას.

● მაგრამ ყველაზე საშიში რიტუალი ყოველ წელს ტაილანდში იმართება. ფესტივალის მონაწილეები დანებს და სხვა ბასრ საგნებს ყბებში ირჭობენ, რადგან მიაჩნიათ, რომ ასეთი რიტუალის შემდეგ ღმერთები დალოცავენ, რაც, საბოლოო ჯამში, იხსნის მათ ბოროტებისაგან და მოუტანს წარმატებებს მომავალში.





მოამზადა
**ანა ვადაჭკორიამ**
568 976 160



**სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)**

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63

ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com